

"ერთიმეორეზე უარესი" პოლიტიკა A4



პრესომბუდსმენი A4



არშემდგარი ქართული დერბი A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 6 ნოემბერი, 2006 წელი. №247 (1399) — ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## 24 საათი აფხაზეთი

არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია "აფხაზია.ინფოს" პროექტი "24 საათი აფხაზეთი" ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება. ყოველ ორშაბათს დევნილები მათთვის საინტერესო სხვადასხვა ინფორმაციას და მიმოხილვას გაეცნობიან. ჩანართი საინტერესოა არა მხოლოდ დევნილებისათვის. ჩანართში მუდმივად გაშუქდება იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები, ახალი ინიციატივები და პროექტები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების საქმიანობა.



საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22

ტიბისი ბანკი TBC Bank

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## ამინდი

| | 6/11 | 7/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 14 |
| ბათუმი | 12 | 12 |
| სოხუმი | 12 | 8 |
| ქუთაისი | 15 | 13 |
| გორი | 7 | 8 |
| ონი | 6 | 3 |
| ზუგდიდი | 15 | 12 |
| ახმეტა | 12 | 14 |
| სამტრედია | 15 | 13 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7355 |
| ევრო | 2.2155 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3103 |
| რუბლი | 0.0650 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# სიმამაცე და ისტორია უნგრეთი 1956

*"აღსდექ, უნგრეთო, აღსდექ!*
*გახსოვდეს, დადგა დრო - ახლა ან არასოდეს!*
*თავისუფლება გსურს, თუ ულირსად, მუდამ ტარება მონურ უღლისა.*
*დავდოთ ეს ფიცი, მაგრამ გვახსოვდეს, ყმად აღარ ვიყოთ აღარასოდეს".*
***"ეროვნული სიმღერა", შანდორ პეტეფი, 1848წ.***

დევიდ. ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ორმოცდაათი წლის წინ საბჭოთა ტანკები შეიჭრნენ ბუდაპეშტის ქუჩებში, სისხლში ჩაახშეს ამბოხი და უნგრეთის რევოლუციას უკვდავება შესძინეს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ ხალხს, ვინც შიშველი ხელებით აღუდგა წინ ტანკებს და მსოფლიო ისტორიას თვალსაჩინო გაკვეთილად მოევლინა.

კატი მარტონი, იმ დროს ახალგაზრდა გოგონა, ამ მოვლენებს 2006 წლის 23 ოქტომბრის "ნიუ იორკ ტაიმს"-ში სულისშემძვრელი სტატიით იხსენებს. 1956 წელს ამ დღეს ბუდაპეშტის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც მოგვიანებით მუშები და ზოგიერთი უნგრელი ჯარისკაციც შეუერთდა. კატი თავის ჟურნალისტ მამასთან ხელიხელჩაკიდებული იდგა ბემის მოედანზე, როცა სტუდენტებმა მოთხოვნები წამოაყენეს: თავისუფალი არჩევნები; საიდუმლო პოლიციის გაუქმება; უნგრეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა; დაბოლოს, უნგრეთის გამოსვლა ვარშავის პაქტიდან.

აივანზე გამოჩნდა ქალი, რომელსაც უნგრეთის სამფეროვანი (მწვანე, თეთრი და წითელი) დროშა ეკავა, თუმცა ამ დროშაზე აღარსად იყო საბჭოური ნამგალი და ურო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქმიანი და პოლიტიკური გაერთიანებები

**B**

*საწვავის ბაზარზე შექმნილი ვითარება, ერთი შეხედვით, ნავთობგიგანტებს დიდი მოგების მეტს არაფერს ჰპირდება. ბარელი "შავი ოქროს" ფასი 55 დოლარზე დაბლა არ ჩამოდის. წელს იყო პერიოდი, როცა ეს მაჩვენებელი 70 დოლარსაც ასცდა, რასაც ნავთობკომპანიებისათვის საარაკო მოგება უნდა მოეტანა. არც ისე დიდი ხანია, რაც ფასი 60 დოლარზე დაბლა დაეცა. მაგრამ ყველამ კარგად იცის - საკმარისია ახლო აღმოსავლეთში ვითარება გამწვავდეს, რომ ნავთობი ისევ გაძვირდება.*



# ირაკლი ხუციშვილი: "გულშემატკივარი მეთექვსმეტე მორაგბე უნდა გახდეს"



A 8

*ესპანეთს მეორე ტაიმის დასაწყისში მოვუღეთ ბოლო.*

# უღალატა თუ არა აშშ-მ საქართველოს

## გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციის მიღებით?

რუსეთის პროექტისა და საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციის საბოლოო ტექსტების შედარებითი ანალიზი

ლევან ალექსიძე

საქართველოსა და რუსეთს შორის უკიდურესად გამწვავებულ პერიოდში ერთ-ერთ მწვავე პოლიტიკურ საკითხად იქცა გაეროს უშიშროების საბჭოში აფხაზეთთან დაკავშირებით მორიგი რეზოლუციის შემუშავების პრობლემა.

აფხაზეთთან დაკავშირებით უშიშროების საბჭო რეზოლუციის პროექტების განხილვისა და, განსაკუთრებით, რეზოლუციის მიღების შემდეგ ქართულ, რუსულ და სხვა საზღვარგარეთულ მასმედიაში და პოლიტიკოსთა შორის სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კეთდებოდა და კეთდება. ყველაზე აქტიურად რუსეთის პოლიტიკური ესტაბლიშმენტის უმაღლესი პირები აქტიურობენ.

ამ პოლემიკის ცენტრში ერთად - ერთი საკითხი დგას - "უღალატა თუ არა აშშ"-მ საქართველოს იმით, რომ დაეთანხმა რუსეთის პოზიციას რეზოლუციის "საბოლოო ტექსტს" ანუ, (როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს) "მართლა გაყიდა აშშ-მ საქართველო რუსეთის ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების შემოღებაზე თანხმობის მიღების სანაცვლოდ?!"

გაგრძელება A3 გვერდზე

# გენერალური შტაბის "ოპტიმალური" უფროსი

*4 ნოემბერს საბოლოოდ დადასტურდა ცნობა, რაზეც სამხედრო უწყების კულუარებში 2 თვის წინ ალაპარაკდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა, მის ადგილს კი მისივე მოადგილე პოლკოვნიკი ზაზა გოგავა დაიკავებს.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრებისა და გენერალური შტაბის უფროსების ხშირი ცვლა ცხადად მოწმობს, რომ ქვეყნის სამხედრო სისტემა საომარი რეჟიმის კანონებით განაგრძობს ფუნქციონირებას, რის გამოც სისტემის გამართული მუშაობისათვის აუცილებელი ოპტიმალური საკადრო შემადგენლობის შექმნა ჯერჯერობით საკმაოდ უჭირს ხელისუფლებას. თუმცა ქართული პრეცედენტი ამ მხრივაც საინტერესოა.

2004 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, რაც თავდაცვის მინისტრად ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნა, თანამდებობას მეორე გენერალური შტაბის უფროსი ტოვებს. თანაც, ყოველ ასეთ ცვლილებას დომინოს პრინციპით მოსდევს ჯარის სახეობათა სარდლებისა და ბრიგადის მეთაურების ცვლა, რაც, გავრცელებული თვალსაზრისით, გამორიცხავს ისედაც მყიფე სამხედრო სისტემის მდგრადობას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზუსტად ერთი თვის წინ, თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად გამორიცხავდა და ჭორს უწოდებდა ინფორმაციას გენერალური შტაბის ხელმძღვანელობაში მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასწრაფოდ მოფიქრებული პოლიტიკური "კომუფლიაჟი" - გენერალური შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ლევან ნიკოლეიშვილისათვის, პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტის გათავისუფლება (ამ პორტფელის მფლობელი მამუკა კუდავა საფრანგეთში საქართველოს ელჩად ინიშნება), - კიდევ ერთი სერიოზული არგუმენტია იმათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი დანიშვნა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ზოგადად პოლიტიკური სისტემის არამდგრადობის ანარეკლია. სამხედრო ექსპერტი შალვა თადუმაძე არ გამორიცხავს, რომ მინისტრი ოქრუაშვილი საკადრო პოლიტიკაში ქვეყნის პრეზიდენტის კომპეტენციაშიც იჭრებოდეს, რადგან გენერალური შტაბის უფროსის მოხსნა-დანიშვნა ან მისი თანამდებობრივი გადაადგილება, თავდაპირველად, პრეზიდენტის ბრძანებით უნდა იყოს გაფორმებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საბოლოო განაჩენი სახრჩობელაზე

## სადამ ჰუსეინს სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა

*ერაყის ყოფილ დიქტატორს სადამ ჰუსეინს სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. "სი ენ ენ"-ის ინფორმაციით, კვირას ერაყის უმაღლესმა ტრიბუნალმა სადამ ჰუსეინი დამნაშავედ ცნო "კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში" და ჩამოხრჩობა მიუსაჯა.*

სადამ ჰუსეინი 1982 წელს ქალაქ დუჯეილში 148 შიიტის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს. შიიტების მკვლელობა მას შემდეგ განხორციელდა, რაც ქალაქში პრეზიდენტის კორტეჟზე თავდასხმა მოხდა. ამავე დანაშაულში ბრალდებულები, ერაყის დაზვერვის ყოფილი უფროსი ბარზან ათთიქრითი (ჰუსეინის ნახევარძმა) და ერაყის რევოლუციური სასამართლოს ყოფილი ხელმძღვანელი ავად ჰამიდ ალ-ბანდერა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე, სიკვდილით დაისჯებიან.

სასამართლომ დამნაშავედ აღიარა და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ერაყის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ტაჰა იასინ რამადანს. შედარებით იოლი სასჯელი - 15 წლით პატიმრობა ელით დანაშაულის თანამონაწილე, პარტია "ბაას"-ის სამ წევრს. გუშინ სასჯელს მხოლოდ ერთი ბრალდებული გადაურჩა.

თავად ჰუსეინი გუშინ აცხადებდა, რომ სიკვდილს უშიშრად შეხვდება. **"მე ღირსეულად და უშიშრად მოვკვდები, ჩემი ქვეყნისა და ჩემი ერის სიამაყით აღსავსე,"** - ყოფილი დიქტატორის ადვოკატთა თქმით ასეთი განცხადება გააკეთა ჰუსეინმა განაჩენის მოსმენის შემდეგ.

განაჩენის გამოტანის დროისთვის სასამართლო შენობის წინ ათასობით ერაყელი იყო შეკრებილი. შიიტები დაუფარავი სიხარულით შეხვდნენ ჰუსეინის ეშაფოტზე ხილვის პერსპექტივას. მაშინ, როცა სუნიტთა რაიონებში სამგლოვიარო განწყობა სუფევდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მოკლედ

## სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 10 თვის შედეგები

სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მიერ უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში და სტატისტიკა წარმოადგინა. როგორც სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, მიმდინარე წელს, რეფორმის ფარგლებში გრანდიოზული სამუშაოები განხორციელდა. პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის მაჩვენებელმა ყველა რეკორდი მოხსნა და ამ დროისთვის, ქვეყანაში საბჭოთა პასპორტებთან დაკავშირებული პრობლემები პრაქტიკულად აღმოფხვრილია.

"ამჟამად, ძველი, საბჭოთა პასპორტები პრაქტიკულად, ერთეულ ადამიანებს აქვთ და ვიმედოვნებთ, რომ ამ პრობლემას უახლოესი ორი თვის განმავლობაში მოვაგვარებთ. გარდა ამისა, სააგენტომ ბევრი სიახლე დანერგა. მათ შორის, გამარტივდა პირადობის მოწმობისა და პასპორტის აღების პირობები, შემცირდა ვადები. ჩვენი მიზანია, სტრუქტურა აბსოლუტურად გამჭვირვალე გახდეს და ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხოთ კაბინეტური სისტემა", - განაცხადა ვაშაძემ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსასმენად სააგენტომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული 91 სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი მიიწვია. სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, გაწეული სამუშაოების განხილვის გარდა, 2007 წელს განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვაცაა გათვალისწინებული.

*24 საათი*

## მკვლელობა ჩხოროწყუში

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში მკვლელობა მოხდა. ავტომატით შეიარაღებული გურამ ბედია აბშილავების ოჯახში შეიჭრა და უმისამართო სროლა დაიწყო. სროლის შედეგად, ელგუჯა აბშილავა დაიღუპა. მას ათზე მეტი ტყვია აქვს მოხვედრილი. ფეხში დაიჭრა ოჯახში სტუმრად მყოფი ემზარ ბებია. წინასწარი ინფორმაციით, ბედია ეჭვიანობის ნიადაგზე სწორედ მის მოკვლას აპირებდა.

დამნაშავემ მიმალვა მოახერხა, მასზე ძებნაა გამოცხადებული.

*ინტერპრესნიუსი*

## გარდაბნის რაიონში კუსტარული საწარმო დალუქეს

ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანში სამშენებლო მასალების კუსტარული საამქრო დალუქეს. როგორც ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილემ ლექსო დალაქიშვილმა განაცხადა, აღნიშნულ საამქროში სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა თურქული ფირმა "ბიტეკისა" და "კაპაროლის" ტომრებში ფასოვდებოდა. დალაქიშვილის თქმით, მიმდინარეობს წინასწარი საგამოძიებო მოქმედებები. სავარაუდოდ, საქმე ფალსიფიცირების ან უცხოური სამარკო ნიშნის უკანონოდ გამოყენების ფაქტზე აღიძვრება. ფინანსურ პოლიციაში საამქროს ხელმძღვანელი, ინდმეწარმე ზაზა კაპანაძე დაიკითხა. შესაძლოა, გამოძიების დასრულების შემდეგ, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს.

*ინტერპრესნიუსი*

## თურქული გემი დაჯარიმდება

თურქული დროშით მცურავ გემს "ოზბეი.S" გარემოს დაბინძურებისთვის 65 ათასი ლარის გადახდა მოუწევს. ბათუმის აკვატორიაში გემიდან ნავთობპროდუქცია ჩაიღვარა. ეს ფაქტი შავი ზღვის დაცვის კონვენციის წარმომადგენლებმა და დაცვის თანამშრომლებმა ერთობლივად დააფიქსირეს. ზღვის სინჯების ლაბორატორიული შემოწმება შავი ზღვის დაცვის კონვენციის ლაბორატორიაში მიმდინარეობს. საბოლოო პასუხის შემდეგ შესაძლოა, ჯარიმა 65 ათასი ლარი 100 ათასამდე გაიზარდოს. მშრალი ტვირთმზიდი ბათუმის აკვატორიაში თურქეთიდან კერძოდ, ტრაპზონიდან შევიდა.

*ინტერპრესნიუსი*

## ფალსიფიცირებული ბორჯომი ამოიღეს

ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს თანამშრომლებმა ფალსიციფირებული მინერალური წყლების რეალიზაციის აღსაკვეთად, ზუგდიდის ბაზარში რეიდი ჩაატარეს. როგორც გაირკვა, ფალსიფიცირებული "ბორჯომის" ბითუმად შემსყიდველთა ერთმა ჯგუფმა საბითუმო განყოფილებაში 3 ათასი ბოთლი "ბორჯომის" ჩაბარება მოასწრო, რომელიც ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტიდან ამოიღეს. ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს უფროსის გიორგი გუგუჩიას განცხადებით, ფალსიფიცირებული "ბორჯომის" ზუგდიდში შემომზიდავთა დაკავების მიზნით მუშაობა მიმდინარეობს.

*ინტერპრესნიუსი*

## ოჯახი თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს

ყოფილი სპეცრაზმელის, 30 წლის ზვიად გაიპარაშვილის ოჯახის წევრები და ახლობლები თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ და გამოძიებას ტენდენციურობაში ადანაშაულებენ. როგორც ცნობილია, ზვიად გაიპარაშვილი 2 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, ერედვის საგუშაგოსთან დაჭრილი იპოვეს, მეორე დღეს იგი თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა გაიპარაშვილის პანაშვიდზე მისი თამშრომლები არ შეუშვეს. სოფელ ერედვის მოსახლეობამ სიმართლის გარკვევა მოითხოვა და გამოძიებას უნდობლობა გამოუცხადა. გაიპარაშვილს ავტომატიდან ფილტვში აქვს ნასროლი. თანამშრომლები ამბობენ, რომ მან თავი მოიკლა. ერთ-ერთი ვერსიით, იგი თანამეწყვილემ მოკლა. მეორე ვერსიით, სპეცრაზმის თანამშრომელი კონტრაბანდისტებმა მოკლეს.

*ინტერპრესნიუსი*

## ოსებმა ქართველები სცემეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ერედვში ოსური მხარის წარმომადგენლებმა ქართველები სცემეს. ოსებმა ქართველებს შეშით დატვირთული მანქანა წაართვეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ ბროწლეთის მცხოვრებლები, რომელთა ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია, სოფელ ერედვის გასასვლელთან ოსებმა გააჩერეს და სცემეს. ორივე ახალგაზრდა სახლში მკურნალობს. როგორც სოფელ ერედვის გამგებელმა ალიკა მეტრეველმა განაცხადა, ინციდენტის ადგილიდან 50 მეტრის დაშორებით რუსეთის სამშვიდობო ძალების ბლოკ-საგუშაგო მდებარეობს, თუმცა რუსმა სამშვიდობოებმა ამ ფაქტის აღსაკვეთად არანაირი ზომები არ მიიღეს. ინციდენტიდან მეორე დღეს სოფელ ერედვის პოლიციამ შეშით დატვირთული მანქანა აღმოაჩინა და მფლობელებს დაუბრუნა.

*ინტერპრესნიუსი*

# რატომ დაილუქა "სონის" ცენტრი

ფინანსურმა პოლიციამ თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზია "სონის" ცენტრის და კაფე "რუსთაველის" შემოწმება დაიწყო. როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ განაცხადა, ამ ეტაპზე დალუქულია "სონის" ცენტრი, სადაც ინვენტარიზაცია და საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმება მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებს კაფე "რუსთაველი" არ დაულუქავთ, ფინანსურმა პოლიციამ იქაც საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმება დაიწყო. ლევან მხეიძის განცხადებით, ამ ეტაპზე დასახელებულ ობიექტებში არსებული თანხის ზუსტი ოდენობა დადგენილი არ არის და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ განისაზღვრება ზარალიც.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსთაველის გამზირზე მდებარე იმ შენობას, სადაც "სონის" ცენტრი და კაფე "რუსთაველია" განთავსებული, თბილისის მერია ყიდის. ობიექტის პრივატიზება საერთაშორისო დონის სასტუმროს აშენებას უკავშირდება. როგორც ცნობილია, ამავე შენობაში განთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროც. ერთ-ერთი ინფორმაციით, მერია დაწესებულებების ხელმძღვანელებთან შენობის დატოვების მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

"სონის" ცენტრის დალუქვის ფაქტს მაღაზიებისა და კაფე "რუსთაველის" მფლობელი იოსებ ქოქოლაძე კანონდარღვევას უწოდებს. იგი კატეგორიულად უარყოფს გამოძიების წინასწარ ვერსიას, რომ "სონის" მაღაზიებში განუბაჟებელი საქონლით ვაჭრობენ. ქოქოლაძეს ინფორმაციით, ამ ობიექტების გაყიდვით თბილისის მერიაა დაინტერესებული. ობიექტების მფლობელმა ფინანსურ პოლიციაში ჩვენება მოწმის სტატუსით უკვე მისცა. მან მომხდართან დაკავშირებით ინფორმაცია უცხოელ პარტნიორებსაც მიაწოდა.

ქოქოლაძის ინტერესებს ადვოკატი სოსო ბარათაშვილი იცავს. ადვოკატის ინფორმაციით, ფინანსური პოლიცია მაღაზია "სონის" ცენტრსა და კაფე "რუსთაველში" გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე შევიდა. როგორც ადვოკატი განმარტავს, ფინანსურ პოლიციაში ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რამაც "სონის" ცენტრისა და კაფე "რუსთაველის" შემოწმება მოითხოვა. აღნიშნულ ობიექტებში პოლიცია 3 ნოემბერს შევიდა. გუშინ ცნობილი გახდა ისიც, რომ ფინანსურმა პოლიციამ ბათუმში "სონის" სათავო ოფისიც დახურა. თუმცა, ამ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცველებს კომენტარი ამ ეტაპზე არ გაუკეთებიათ.

*24 საათი*

# საბრძოლო მასალის გასაღებაში ბრალდებული პატრული

რამდენიმე დღის წინ შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება დაიწყო პატრულის თანამშრომლის მიერ, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის ფაქტზე. იმავე დღეს საქმე, შემდგომი გამოძიების მიზნით, გადაიგზავნა შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ხაშურში მცხოვრები გელა გელაშვილის განცხადება და ფარული ვიდეოჩანაწერი, რომელშიც დაფიქსირებულია, თუ როგორ შეიძინა მან შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ გიორგი ხაჩიძისგან საბრძოლო ვაზნები.

გამოძიებით დადგინდა, რომ ხაჩიძემ, შემდგომი გასაღების მიზნით, დაუდგენელი პირისგან "ლუგერის" სისტემის პისტოლეტებისათვის განკუთვნილი 190 ცალი 9 მმ კალიბრის საბრძოლო ვაზნა შეიძინა, რომელსაც, ასევე, მართსაწინააღმდეგოდ ინახავდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში. ხაჩიძემ ვაზნები თავის ნაცნობს - გელაშვილს შესთავაზა. ეს უკანასკნელი დათანხმდა და შეხვედრის ადგილიც დათქვეს - ხაჩიძის საცხოვრებელი სახლი. დათქმულ ადგილას გელაშვილი, თავის დაზღვევის მიზნით, ვიდეოკამერით მივიდა. 2006 წლის 24 ოქტომბერს შეძენილი ვაზნები და ვიდეო-კამერით გადაღებული ფირი გელაშვილმა ნებაყოფილობით წარადგინა შსს-ს კონსტიტუციური დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოში.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურისა და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აღმოსავლეთ განყოფილების თანამშრომლების მიერ დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიების შედეგად დააკავეს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი გიორგი ხაჩიძე.

2006 წლის 25 ოქტომბერს ხაჩიძეს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. გორის რაიონულმა სასამართლომ დაკავებულ პატრულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქმეზე კი წინასწარი გამოძიება გრძელდება.

*24 საათი*

# სისხლის აღება და სახელმწიფო სამართალი

*პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებში სისხლის აღების ტრადიცია საუკუნეების წინ წარმოიშვა და დღემდე მოქმედებდა. ქისტებს "საკუთარი სასამართლო" ჰქონდათ, რომელიც სოფლის უხუცესებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც ვერდიქტი გამოჰქონდა - ბოლო დრომდე, სწორედ "თემის კანონი" ასამართლებდა დამნაშავეებს. თუმცა დღეს სამართალდამცველები "ადგილობრივი სასამართლოს" აუცილებლობას ველარ ხედავენ. შესაბამისად, თანამდებობას ტოვებს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეც.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

პანკისისხეობელი ქისტების "თემიდა" ყველაზე მკაცარი იმ დროს ხდება, როცა საქმე სისხლის აღებას ეხება.

რამდენიმე წლის წინ, ძმებმა დუიშვილებმა თანასოფლელი რამაზ ხანგოშვილი სცემეს, რომელიც მიყენებული მძიმე ტრავმების გამო გარდაიცვალა. შურისძიებისგან თავის არიდების მიზნით მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა სოფელი იმავე დღეს დატოვეს. მოკლულის ნათესავები მათ წლების განმავლობაში ეძებდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილები დააკავეს.

**"ბევრი დამნაშავე სასჯელის მოხდის შემდეგაც აღარ ბრუნდება პანკისში, რადგან პატიმრობაში გატარებული წლები მას სისხლის აღების ტრადიციისგან არ ათავისუფლებს. გამონაკლისი მხოლოდ ბრალდებულის გარდაცვალებაა. ამ შემთხვევაში მკვლელის ოჯახი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება,"** - ამბობს პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრი ვისერგი ხანგოშვილი.

ქისტური, ტრადიციული სამართლის მიხედვით, სოფლიდან მკვლელის ოჯახიც უნდა გადასახლდეს, რადგან გამორიცხული არ არის, დაზარალებულმა მხარემ უდანაშაულო ოჯახის წევრზე სისხლი აიღოს. თუმცა, ფიცი ქისტურ საზოგადოებაში დიდ როლს თამაშობს - წმინდა წიგნზე (ყურანზე) დადებული ფიცი ღმერთის წინაშე დადებული აღთქმის ტოლფასია. მოკლულის ოჯახთან შერიგებაც მხოლოდ ამ საშუალებით ხორციელდება.

ხანგოშვილის მკვლელობისთვის გასამართლებულმა, ციხიდან გათავისუფლებულმა ელიზბარ დუიშვილმა დაზარალებულის ოჯახთან შერიგება ტრადიციული წეს-ჩვეულებების შესრულების შემდგომ შესძლო. ელდარი სოფელ დიუსში ცხოვრობს. მისი ოჯახი ერთ დროს შეძლებული იყო, მაგრამ იმისთვის, რომ ხანგოშვილის ოჯახისგან პატიება მიეღო, სახლ-კარი გაყიდა, რადგან ქისტური ადათწესების მიხედვით, ბრალდებულმა დანაშაულის გამოსასყიდად გარკვეული თანხაც უნდა გადაიხადოს.

თუ მკვლელი მამაკაცია, მან დაზარალებულს 4 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს, ქალი - 2 ათას დოლარს იხდის.

**"რამაზის მოკვლა არ გვინდოდა, ყველაფერი შემთხვევით მოხდა და ამის გახსენება აღარ მინდა. მე მხოლოდ იმის მოყოლა შემიძლია, თუ როგორ ხდება დაზარალებულის ოჯახისგან მკვლელის შეწყალება,"** - ამბობს შეწყალებული ელიზბარ დუიშვილი და დეტალურად ჰყვება იმ რიტუალის შესახებ, რომელიც პატიების დროს ტარდება.

**"ტრადიციის თანახმად, ამ ცერემონიალზე ბრალდებული თეთრ სუდარაში გახვეული მოკლულის საფლავზე წვება, ხოლო მისი გვარის წარმომადგენლები ქუდს იხდიან და მოკლულის ნათესავებს პატიებას სთხოვენ. ამას წინ უძღვის ხანგრძლივი მოლაპარაკების პროცესი. ქისტური წესების თანახმად, მკვლელის ნათესავებს გარდაცვლილის ოჯახთან კომპენსაციის სახით ათეულობით სული პირუტყვი ან ფული მიაქვთ,"** - გვიამბობს იგი.

ელიზბარ დუიშვილისგან განსხვავებით, მის თანამზრახველს ცაგო დუიშვილს არ გაუმართლა. ციხიდან გამოსული ცაგო რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველი ბაირამობის დღეს (მუსულმანური წმინდა დღესასწაული), პატიების მისაღებად დაზარალებულის ოჯახთან შუამავლებს აგზავნიდა. ამ მისიის შესრულება ჩეჩნეთიდან ჩამოყვანილ, რელიგიურად განსწავლულ ადამიანებსაც უწევთ. მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ხანგოშვილის ოჯახმა ცაგო დუიშვილს დანაშაული არ აპატია. მკვლელობიდან 16 წლის შემდეგ ის მაინც მოკლეს.

შერიგება არ შედგა 20 წლის თემურ ქავთარაშვილთანაც. იგი 18 წლის ასაკში ექა გაურგაშვილმა შელაპარაკების დროს დანით დაჭრა, რომელიც შემდეგ ჩეჩნეთში გაიქცა. ეს ინციდენტი ქავთარაშვილმა ვერ დაივიწყა და შურის საძიებლად პანკისიდან ჩეჩნეთში ფეხით ჩავიდა. მან გაურგაშვილი სახლიდან გამოიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, გაურგაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

**"ამის შემდეგ ქავთარაშვილი პანკისში დაბრუნდა და ნათესავებში იმალებოდა. მისი ოჯახის მხრიდან არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, გაურგაშვილებმა დამნაშავეს მკვლელობა არ აპატიეს,"** - იხსენებს სოფელ დუისში მცხოვრები მოკლულის მეზობელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. თემურ ქავთარაშვილი საკუთარი სახლის კარებთან, დედის თვალწინ ჩაცხრილეს.

თემურ ქავთარაშვილისთვის განაჩენის გამოტანა მის მიერ მოკლული ექა გაურგაშვილის მამის გარდაცვალებამაც დააჩქარა. ეს უკანასკნელი გულის შეტევით იმ დროს გარდაიცვალა, როცა დაზარალებულის ოჯახში ქავთარაშვილის შუამავალი შესარიგებლად მივიდა.

ქისტური ადათ-წესები მამაკაცების მსგავსად, ქალებზეც ვრცელდება. თუ მკვლელობა ქალის ჩადენილია, სისიხლის აღება მის უახლოეს ნათესავზე - ძმაზე ხორციელდება. ასეთი ფაქტი ხეობაში მხოლოდ ერთი ახსოვთ, რომელიც სასიყვარულო ამბავს უკავშირდება. პანკისელები ამ ამბავს ასე იხსენებენ:

**"ეს ამბავი ათეულობით წლების წინ მოხდა. ერთი ცნობილი კრიმინალის (რომელიც ამჯერად საჯელს ადამიანის გატაცებებისთვის და სხვადასხვა დანაშაულებისთვის იხდის) დედამ ჩეჩნეთში ცნობილი "ხუსტაროვის ბანდის" მეთაური მოკლა. ის ქისტ ქალბატონს ჰპირდებოდა, რომ ცოლად მოიყვანდა, მაგრამ მან უარი უთხრა. არადა, ეს ქალი შეყვარებული მამაკაცისგან ბავშვს ელოდებოდა. საქმროსგან გაწბილებულმა ქალბატონმა ტრადიაციას არ უღალატა და შური იძია. იგი ჩეჩნეთში ჩავიდა და "ხუსტაროვის ბანდის" მეთაური ცეცხლსაროლი იარღით მოკლა."** - ეს ამბავი ამით არ დასურლებულა, ბანდის მეთაურის ნათესავებმა შური იძიეს და ამ ცნობილი კრიმინალის ბიძა მოკლეს.

პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში მცხოვრები აჭიშვილების ოჯახი ხეობაში პირველია, რომელმაც სამართლის პოვნა მართალია გვიან, მაგრამ ტრადიციული სისხლის აღების წესის გარეშე გადაწყვიტა.

**"ორი წლის წინ სოფელ დუისში ჩემი შვილი მოკლეს. მკვლელის გასამართლებას სისხლის აღებით ვაპირებდით, ამიტომ პოლიციას ის ნივთმტკიცებები, რომლებიც ხელთ გვქონდა, დავუმალეთ, მომხდართან დაკავშირებით არ მივეცი ჩვენებები. თუმცა ამჯერად ვნანობ, სამართალდამცველებთან თანამშრომლობაზე უარი რომ განვაცხადეთ. ერთი მკვეელელი ხეობიდან გაქცეულია, მეორე კი სოფელშია, მაგრამ ჩადენილ დანაშაულს ვეღარ ვუმტკიცებთ. პოლიციამ კი საქმე დახურა,"** - ამბობს გარდაცვლილი ფეიზულ აჭიშვილის დედა ნადია აჭიშვილი.

ფეიზულ აჭიშვილი სოფელ დუისში ერთ-ერთი თანასოფლელის ეზოში გაურკვეველ ვითარებაში ნახეს მოკლული. როგორც აჭიშვილები ამბობენ, მათთვის დამნაშავის ვინაობა ცნობილი იყო, მაგრამ მკვლელმა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქს შეაფარა თავი.

სისხლის აღების ტრადიციებთან დაკავშირებით, ხეობაში აზრთა სხვადასხვაობაა. აღსანიშნავია, რომ სისხლის აღების ტრადიციის შედეგად გასამართლებულთა რიცხვი ბოლო წლებთან შედარებით შემცირდა, რადგან მოსახლეობის ნაწილს მიაჩნია, რომ პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი გზით და სახელმწიფოს ძალით შეიძლება.

**"გვინდა თუ არ გვინდა, ეს ტრადიცია ჯერ კიდევ შეინარჩუნებს ძალას, თუმცა სახელმწიფოს სიძლიერისთვის უმჯობესია ყველა ერთ კანონს - სახელმწიფო სამართალს ემორჩილებოდეს,"** - ამბობს დუისელი შორენა ხანგოშვილი.

თუმცა, ხეობაში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც ტრადიცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაკანონებული სამართალი.

**"სასამართლომ დამნაშავეს დახვრეტაც რომ მიუსაჯოს, ის მაინც ტრადიციული სისხლის აღების წესით გასამართლდება, ოცი წელიც რომ გავიდეს მაინც,"** - ამბობს სოფელ ბირკიანში მცხოვრები ჯ.ა.

არადა, ამ დროისათვის თანამდებობა დატოვა უხუცესთა საბჭოს და სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ სულეიმან მანგოშვილმა. მას მიაჩნია, რომ იგი დღეს ხელისუფლებას აღარ სჭირდება. მას ამ თანამდებობაზე ყოფნა იმ დროს მოუწია, როცა საქართველოს იურისდიქცია პანკისში არ ვრცელდებოდა და ხეობა კონტროლს ვერ ექვემდებარებოდა.

**"2000-2002 წლებში ხელისუფლებისგან დამევალა, მათ გვერდით დავდგომოდი, დახმარება გამეწია, ვითარება გამენეიტრალებინა და ის ადამიანები შემეჩერებინა, ვინც მოსახლეობას მშვიდად ცხოვრების საშულებას არ აძლევდა... ბევრი დამნაშავე სამართალდამცველებს ჩავაბარეთ. დავაბრუნეთ არაერთი გატაცებული ადამიანი,"** - იხსენებს სულეიმან გუმაშვილი, რომელმაც "უფლებამოსილება" საკუთარი ნებით აიყარა და ხეობაში სახელმწიფო კონტროლის დამყარება ამჯობინა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის თქმით, ხეობა კონტროლს ექვემდებარება და სახალხო სასამართლოები აუცილებლობას არ წარმოადგენს.

**"21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და გვყავს დემოკრატიული პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო. აქედან გამომდინარე, ტრადიციული სასამართლოები და ე.წ. სისხლის აღების წესი უნდა დავივიწყოთ,"** - აცხადებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

პანკისის ხეობაში სახელმწიფო მართლმსაჯულების აღდგენისკენ სვლა დაწყებულია.

უცხოეთი

## ანა პოლიტკოვსკაია კრიმინალური დაჯგუფების ლიდერის იარაღით მოკლეს

რუსული მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველები, რომლებიც ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეს იძიებენ, მკვლელების "კვალზე" გავიდნენ. როგორც რუსული პრესა წერს, ქილერი "გაყიდა" შემთხვევის ადგილზე დაგდებულმა "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტმა. მკვლელობის საქმეში ახალი მტკიცებულება მას შემდეგ გაჩნდა, რაც სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა მიიღეს.

"შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება თქმა, რომ მკვლელი არ იყო პროფესიონალი", - აცხადებენ სამართალდამცველები.

ბალისტიკურმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ პისტოლეტი, რომლითაც მოკლეს ანა პოლიტკოვსკაია, ეკუთვნოდა მოსკოვში მოქმედი ერთ-ერთი ეთნიკური კრიმინალური დაჯგუფების წევრს, რომელსაც "მდიდარი კრიმინალური ბიოგრაფია ჰქონდა".

სამართალდამცველთა ინფორმაციით, კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის მოსკოვში მომხდარი ერთ-ერთი ბოევიკის დროს, იარაღით, რომლითაც პოლიტკოვსკაია გამოასალმეს სიცოცხლეს, მოკლეს ცნობილი კრიმინალი, რომელიც "სევერიანის" ზედმეტსახელით იყო ცნობილი. ამ დროისთვის რუსეთის შსს ამოწმებს, არის თუ არა ამოღებული იარაღით კიდევ სხვა დანაშაული ჩადენილი. მილიცია ამოწმებს იმასაც, თუ საიდან შეიძლებოდა მომხდარიყო კრიმინალური დაჯგუფების ლიდერის იარაღი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელის ხელში.

## გიორგი ღონღაძის მკვლელობის ორგანიზატორმა ვინაობა შეიცვალა

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილმა, უკრაინის შსს-ს დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა ალექსეი პუკაჩმა, რომელიც საერთაშორისო ძებნილია, გარეგნობა და გვარი შეიცვალა. ასეთი განცხადება გააკეთა უკრაინის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა.

"ის ცოცხალია, ასი პროცენტით, დანამდვილებით ვიცი. ვფიქრობ, მან გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, შეიცვალა გარეგნობა და გვარი", - განაცხადა პისკუნმა.

მან გაიხსენა, რომ პუკაჩი დაკავებული იყო, მაგრამ გაუშვეს, რამაც ღონღაძის მკვლელობის საქმის გახსნას ხელი შეუშალა. "თუ პუკაჩს არ გაუშვებდნენ, საქმე გაიხსნებოდა. მან ღონღაძის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცის", - განაცხადა პისკუნმა.

გიორგი ღონღაძის მკვლელობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი პუკაჩის შესახებ უკრაინელ სამართალდამცველებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ის იმყოფებოდა ისრაელში და, ამის გამო, ისრაელის გენერალურ პროკურატურას მისი ძებნისა და დაკავების თხოვნით მიმართეს კიდეც. თუმცა, პუკაჩის კვალს ისრაელში ვერ მიაგნეს.

## სტრასბურგის სასამართლოში შესული საჩივრების დიდი ნაწილი რუსეთიდანაა

რუსეთის ფედერაცია კვლავ ლიდერობს სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების მიხედვით; საჩივართა 21 პროცენტი სწორედ რუსეთიდანაა. ამის შესახებ სტრასბურგის სასამართლოს წარმომადგენელმა ლუციუს ვილდჰაბერმა განაცხადა.

მეორე ადგილი რუმინეთს უკავია. ამ ქვეყნიდან შესულმა საჩივრებმა სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი სარჩელების 10 პროცენტი შეადგინა.

რუსეთიდან შესული საჩივრების განხილვის დასაჩქარებლად სტრასბურგში რუსული ენის მცოდნე სასამართლოს თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა გახდა საჭირო.

რაც შეეხება მოსამართლეებს, მათი რაოდენობა არ გაიზრდება, რადგან ევროპის კონვენციის თანახმად, ერთ ქვეყანაზე ერთი მოსამართლეა გამოყოფილი.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# სიმამაცე და ისტორია
# უნგრეთი 1956

პირველი გვერდიდან

იმ საღამოს, კატის მამამ "ასოშიეთედ პრესისთვის" მოამზადა სტატია სათაურით "დღეს ბუდაპეშტში სტალინის გიგანტური ქანდაკება ჩამოაგდეს". მომდევნო დღეს ქალაქში საბჭოთა ტანკები შევიდნენ.

მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. იმრე ნადი პრემიერ-მინისტრი გახდა. მან გააუქმა საიდუმლო პოლიცია, ზეწოლას ახორციელებდა მოსკოვზე, რათა ამ უკანასკნელს უნგრეთიდან ჯარები გაეყვანა. და, რაც მთავარია, მოამზადა მრავალპარტიული არჩევნები. 30 ოქტომბერს რუსულმა ტანკებმა ქალაქი დატოვეს. თითქოსდა უნგრელმა ხალხმა გაიმარჯვა.

მაგრამ ეს შედეგი ორმა მოვლენამ შეცვალა. 29 ოქტომბერს ისრაელი შეიჭრა ეგვიპტეში და კიდევ უფრო გააღრმავა სუეცის კრიზისი, რითაც მსოფლიოს ყურადღება ცენტრალური ევროპის პატარა ქვეყნიდან ახლო აღმოსავლეთისკენ გადაერთო. შემდეგ, 1 ნოემბერს ნადიმ გამოაცხადა, რომ უნგრეთი ვარშავის ხელშეკრულებას ტოვებს. საბჭოთა ჯარებმა საზღვრები გადმოლახეს. 4 ნოემბერს ათასი რუსული ტანკი შეიჭრა ბუდაპეშტში.

05.15 საათზე რადიოში ნადის ბოლო მიმართვა გაისმა - "დღეს გამთენიისას საბჭოთა ჯარებმა, უნგრეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მიზნით, იერიში მიიტანეს დედაქალაქზე. ეს მიმართვა კეთდება მთელი მსოფლიოს გასაგონად".

ამერიკა ახლო აღმოსავლეთზე იყო კონცენტრირებული. რუსეთმა ვეტო დაადო გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას. არავინ შეეპასუხა.

ხელჩართული ბრძოლები ბუდაპეშტის ქუჩებში მთელი კვირა გრძელდებოდა მანამ, სანამ 11 ნოემბერს მოსკოვმა გამარჯვების შესახებ არ გამოაცხადა. დაიღუპა 5 ათასი უნგრელი. დაახლოებით 200 ათასი, მათ შორის კატი და მისი ოჯახი ავსტრიასა და იუგოსლავიაში გაიქცა. 13 ათასი დააპატიმრეს. აქედან 300 - სიკვდილით დასაჯეს. თავად ნადი დააპატიმრეს, გადაიყვანეს ციხეში რუმინეთში, სადაც 1958 წელს რუსეთის ბრძანებით ჩამოახრჩვეს.

უნგრეთის რადიოს, 4 ნოემბერს ნადის გამოსვლიდან სამი საათის შემდეგ, ეთერი გაუთიშეს, მაგრამ უნგრეთის რევოლუციის ხმა მაინც გადარჩა.

მისი გამოძახილი გაისმა 1980 წელს გდანსკში, როდესაც ლეხ ვალენსამ "გამაოგნებელი" კითხვა დაუსვა გემთმშენებელის "ბოსს": "გახსოვარ?"

მისი გამოძახილი ისმოდა 1987 წელს ბერლინში ბრანდენბურგის ჭიშკართან, როდესაც რონალდ რეიგანმა გორბაჩოვს მოუწოდა - "დაანგრიე ეს კედელი!" მისი სულისკვეთება იყო 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე, როდესაც საბჭოთა ჯარებმა ქართველი პატრიოტები დახოცეს. დაბოლოს, იგი იგრძნობოდა 1991 წლის 26 დეკემბერს წითელ მოედანზე, როდესაც ნამგალი და ურო საბოლოოდ დაემხო.

მართალია, ამ ყველაფერმა 35 წელიწადი მოითხოვა, მაგრამ 1956 წელს უნგრელებმა დაამტკიცეს, რომ კომუნიზმი, როგორც რეიგანი იტყოდა - "დროებითი გადახრა" იყო.

სამწუხაროდ, თავისუფლება არასოდესაა თავისუფალი, ყოველ შემთხვევაში დიდი ხნით. შესაბამისად, უნგრეთის რევოლუციიდან ორი გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ.

პირველი - ის, რომ რუსეთს საშუალება ეძლევა, ცუდი საქმეები აკეთოს, როცა ამერიკის ყურადღება სხვაგანაა. ისევე როგორც 1956 წელს, დღესაც ამერიკის მთელი ყურადღება ახლო აღმოსავლეთზე - ერაყზე, ისრაელის წინააღმდეგ ჰეზბოლას ომსა და ირანის ბირთვულ პროგრამაზეა გადატანილი. ამ ყველაფერს 9 ოქტომბერს ჩრდილოეთ კორეაში ბირთვული გამოცდაც დაერთო.

ეს მაშინ, როცა მოსკოვი აძლიერებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და (რაც არ უნდა ცუდად მოხვდეს დასავლელთა ყურს) სამხედრო ზეწოლას საქართველოზე. 1956 წელს რუსეთის მიერ იარაღად შერჩეული იყო ტანკები. 2006 წელს იგი ენერგოგამოძალვასა და სავაჭრო ემბარგოს ამჯობინებს, თუმცა, იარაღიც აქვს ჩუმად მომარჯვებული.

შეერთებული შტატების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღეს იგი ისეთივე "ყრუ" არ არის, როგორც უნგრეთის ამბოხების დროს იყო. პრეზიდენტმა ბუშმა, მიუხედავად ლიბანის კრიზისისა, ივლისში სანკტ-პეტერბურგის "დიდი რვიანის" სამიტზე საქართველოს სუვერენიტეტის საკითხი მაინც წამოსწია პუტინთან შეხვედრისას. სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც მოითხოვა რუსეთისგან საქართველოს წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისის საკითხზე რუსეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყო ჩასული.



თუმცა, სამწუხაროა, რომ ამერიკელმა დიპლომატებს მოუწიათ, კრემლის მიერ ფხენიანის დაგმობის სანაცვლოდ, დათანხმებულიყვნენ რუსულ სიტყვებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს 13 ოქტომბრის რეზოლუციაში, რომელიც აკრიტიკებს საქართველოს (სამართლიან) ქმედებებს კოდორის ხეობაში. სამწუხაროა, რომ მათ არ მიაქციეს ყურადღება სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპელი ექსპერტების რჩევებს. ეს მიანიშნებს არა მხოლოდ ძალიან შეზღუდულ გათვლაზე, არამედ იმ უსაფუძვლო იმედზეც, რომ რუსეთი უფრო თვალსაჩინო დახმარებას გაუწევს ჩრდილოეთ კორეის ან ირანის საკითხში.

აი, კიდევ ერთი მსგავსება 1956 წელთან - რუსეთი ჯერაც ვერაგულად იყენებს ვეტოს უფლებას გაერო-ს უშიშროების საბჭოში.

თბილისმა უკეთ უნდა გაიაზროს გლობალური გეოპოლიტიკა და დიპლომატიური გრაფიკი და "პიარი" ამის მიხედვით დაგეგმოს. ვაშინგტონმა კი, აშკარად უნდა დახვეწოს მრავალი "ბურთით ჟონგლირების" ტექნიკა და აღიაროს რუსეთის ნამდვილი სახე.

გაერო-ს რეზოლუციით აღჭურვილი რუსები, უეჭველად შეგვახსენებენ ჩვენივე სიტყვის ფასს. აი, ეს არის 1956 წლის მეორე გაკვეთილი. 1956 წლის ნოემბრის იმ კვირაში მრავალი უნგრელი დაიხოცა, რადგანაც სწამდა ამერიკის დახმარების. წლების განმავლობაში, ამერიკელი ლიდერები, ამერიკული რადიო-გადაცემები და აეროსტატიდან გადმოყრილი ლიფლეტებიც კი, მათ აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. როცა საბჭოთა ტანკები ბუდაპეშტს მიადგნენ, რადიო "თავისუფლება" მსმენელებს "მოლოტოვის კოქტეილების" დამზადებასაც კი ასწავლიდა. თუმცა, როცა საჭირო გახდა: **"ამერიკა საკმაოდ შორს აღმოჩნდა თავისი რიტორიკისგან,"** - წერს ჰენრი კისინჯერი.

**"სურვილის არქონა, ომის რისკის ფასად დაემხო კომუნისტების მმართველობა აღმოსავლეთ ევროპაში, ათწლეულების მანძილზე ამერიკის აშკარა პოლიტიკა იყო,"** - ამბობს კისინჯერი. მიუხედავად ამისა, **"უფრო მტკიცე, უფრო მკაფიო ამერიკული პოზიცია საკმარისი იქნებოდა, რათა საბჭოელებს უარი ეთქვათ ასეთი მსხვერპლიანი, ან ყოველ შემთხვევაში, ასეთი ღია შედეგების მქონე შეჭრის გადაწყვეტილებაზე. კრემლს ეცოდინებოდა, რომ რეპრესიები უნგრეთში მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზარალთან არის დაკავშირებული..."**

ორმოცდაათი წლის შემდეგ ამერიკა ანალოგიური დილემის წინაშე დგას - ის არის თავისუფალი სამყაროს ლიდერი, მშვიდობისა და სტაბირულობის გარანტი, მოკავშირეთა და მეგობართა დამცველი. ვაშინგტონმა უფრო დაკვირვებით უნდა ისაუბროს, ხოლო მეგობრებმა და მოკავშირეებმა უფრო კარგად უნდა გაიაზრონ, რასაც ისმენენ მისგან.

**"თქვენს მიერ არჩეული თავისუფლების გზა არ არის იოლი, მაგრამ ამ გზაზე თქვენ არ იქნებით მარტო,** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა თბილისში 2005 წლის 10 მაისს გამოსვლისას, - **საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა სახელმწიფომ უნდა სცეს პატივი."** თუ ეს სიტყვები სიმართლეა, თუ ჩვენ მართლა ვაპირებთ, თავიდან ავიცილოთ იმის მსგავსი დილემა, როგორის წინაშეც 1956 წელს უნგრეთში აღმოვჩნდით, მაშინ ამერიკა და მისი მოკავშირეები უნდა ჩაერთონ ისეთი ტიპის მტკიცე დიპლომატიაში, როგორიც კისინჯერმა უნგრეთის შემთხვევაში დახატა.

იმ დროს, როცა გაერო-ს უშიშროების საბჭო ირანის ბირთვულ პროგრამაზე მსჯელობას დაიწყებს, დასავლელმა მოკავშირეებმა უარი უნდა თქვა ნებისმიერ ვაჭრობაზე - საქართველოს გაწირვაზე, ირანზე რუსეთის შესაძლო მხარდაჭერის სანაცვლოდ. შემდეგ, მათ აქტიურად უნდა მოახდინონ რუსეთზე ზეწოლა, რათა ამ უკანასკნელმა კონსტრუქციული ნაბიჯები გადადგას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების დარეგულირებაში. აი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება თქმა, რომ "1956 წლიდან" გაკვეთილი მივიღეთ.

*დევიდ ჯ. სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი.*

## გენერალური შტაბის "ოპტიმალური" უფროსი

პირველი გვერდიდან

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ საიტზე კი მხოლოდ პოლკოვნიკ ნიკოლეიშვილის ახალ დანიშვნაზეა საუბარი, მისი ძველი თანამდებობიდან დათხოვნის მოტივზე და პრეზიდენტის შესაბამის განკარგულებაზე კი არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება გენერალური შტაბის უფროსობის მომავალ და ერთადერთ პრეტენდენტს, პოლკოვნიკ ზაზა გოგავას. იგი გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის პოსტზე ამა წლის 26 აგვისტოს დაინიშნა და ზოგიერთი სამხედრო ექსპერტი უკვე მაშინ უწინასწარმეტყველებდა მას გენერალური შტაბის უფროსის სავარძელს. გოგავას უპირატესობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წინამორბედისაგან განსხვავებით, მას სამხედრო ნაწილებში დაბალ სამეთაურო თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება აქვს და, რაც მთავარია, 2004 წლის ზაფხულში, შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მხარდამხარ, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში საბრძოლო ოპერაციაშიც იღებდა მონაწილეობას.

და კიდევ ერთი მომენტი. არ დაგვავიწყდეს, რომ ახლოვდება 2007 წლის 1 იანვარი, თარიღი, როდესაც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა უნდა შეასრულოს მისი კარიერის უმთავრესი დანაპირები - შეხვდეს ახალ წელს ცხინვალში. ამ ამოცანის შესასრულებლად ოქრუაშვილს გაბედული შემსრულებელები უფრო ესაჭიროება, ვიდრე პრესტიჟული სამხედრო აკადემიების კედლებში კვალიფიკაციაშეძენილი ლევან ნიკოლეიშვილი, რომელიც, როგორც საბრძოლო მეთაური, ყველა მის წინამორბედზე გამოუცდელი და სუსტი გახლდათ.

## თავდაცვის სამინისტრო რუს სამშვიდობათა განცხადებას უარყოფს

*ქართული მხარე უარყოფს შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწის, ვლადიმირ ივანოვის განცხადებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი რადიოსალოკაციო სადგურისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის აღჭურვილობის აღმოჩენის შესახებ.*

ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტმა შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლის განცხადებაზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სოფელ შავშვებიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი რადიოსალოკაციო სადგური და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის აღჭურვილობა აღმოაჩინეს.

სეპარატისტების ვერსიით, მათ საბრძოლო იარაღის არსებობის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2 ნოემბერს მიიღეს და ინფორმაციის დასაზუსტებლად მონიტორინგის ჩატარებას აპირებდნენ. როგორც ოსური მხარე ამტკიცებდა, მონიტორინგი იმის გამო ჩაიშალა, რომ ქართველმა სამშვიდობოებმა მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

მომხდართან დაკავშირებით, შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა წერილობით მიმართა შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებსა და ეუთო-ს მისიას საქართველოში.

**"შერეული სამშვიდობო ძალები კიდევ ერთხელ ახსენებენ ქართულ მხარეს, რომ თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და სამხედრო ტექნიკის ყოფნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ყველა არსებულ შეთანხმებას ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, ქართული სამხედრო პოლიციის არსებობა კონფლიქტის ზონაში შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას არღვევს,"** - ნათქვამია კულახმეტოვის წერილში.

გუშინ დღის პირველ ნახევარში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური იუწყებოდა, რომ სამშვიდობოების და ოსების განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარს გააკეთებდნენ თავდაცვის უწყების წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, კომენტარი მოგვიანებით ისევ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა გააკეთა. მან კატეგორიულად უარყო კონფლიქტის ზონაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი რადიოსადგურის არსებობა. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნანა ინწკირველის განმარტებით, ხსენებულ რეგიონში სამხედრო ჰოსპიტალი შენდება. "აქედან გამომდინარე, ოსური მხარის მტკიცება რადიოსადგურის არსებობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება," - შენიშნავს ინწკირველი.

*24 საათი*

## საბოლოო განაჩენი სახრჩობელაზე

პირველი გვერდიდან

სასიკვდილო განაჩენი ჰუსეინისთვის "მართლმსაჯულების დაცინვაა", - განაცხადა ამანში მყოფმა ერაყის დამხობილი პრეზიდენტის ადვოკატთა კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა ბუშრა ალ-ჰალილმა.

განაჩენს ასევე სამარცხვინოს უწოდებს საერთაშორისო უფლებადამცავი ორგანიზაცია "ამნესტი ინტერნეშნლ"-ის ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის პროგრამის დირექტორი მალკოლმ სმარტი. **"ეს სასამართლო ერაყში სამართლიანობისა და კანონიერების დამკვიდრებისათვის საფუძველი უნდა გამხდარიყო... რეალურად კი სამარცხვინო, სერიოზული დარღვევებით შელახულ საქმედ იქცა. ისინი (დარღვევები) ეჭვს ბადებენ, რომ ტრიბუნალს შეუძლია განახორციელოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართლმსაჯულება,"** - განაცხადა სმარტმა.

ამასობაში ბაღდადში კომენდანტის საათი მოქმედებს. დაკეტილია აეროპორტი, ძირითად მაგისტრალებზე არსებული საკონტროლო პუნქტებზე უსაფრთხოების ზომებია გაძლიერებული.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელის ედუარდ კოკოითის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე, თუ საქართველოს ხელისუფლება კოდორის ხეობიდან და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან შეიარაღებულ ქვედანაყოფებს გაიყვანს. ასევე, კოკოითის თქმით, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას აუცილებლად უნდა დაესწროს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, რადგან "რუსეთი კავკასიაში მშვიდობის მთავარი გარანტია".

*მედიანიუსი*

■ ■ ■

რომში მრავალათასიანი საპროტესტო მარში გაიმართა. პროტესტის მიზეზი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი გახდა. აქციის მონაწილეების აზრით, ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შემუშავებისას ძალიან ცოტა დრო დაეთმო უმუშევრობის პრობლემას. მათივე თქმით, იტალიის ბიუჯეტი ჯერ დამტკიცებული არ არის, ამდენად მასში ცვლილებების შეტანა რეალურია, მით უფრო იტალიის პრემიერ-მინისტრის განცხადების გათვალისწინებით. რომანო პროდიმ კი განაცხადა, რომ ბიუჯეტის ზოგიერთი პუნქტი შეიძლება გადაიხედოს.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

ანგლიკანური ეკლესიის ამერიკული შტოს ხელმძღვანელი, პირველად 500-წლიანი ისტორიის განმავლობაში, ქალი გახდა. კეტრინ ჯეფერტს შორი ამ პოსტზე ივნისში აირჩიეს, საზეიმო ცერემონია კი ვაშინგტონის ეროვნულ საკათედრო ტაძარში 4 ნოემბერს გაიმართა. ანგლიკანური ეკლესიის ნაწილი, თავის დროზე, გამოვიდა თხოვნით, წარედგინათ სხვა კანდიდატურა, თუმცა სხვა კანდიდატურა ეკლესიას არ წარუდგენია. წარსულში ოკეანოგრაფი და მფრინავი კეტრინ ჯეფერტს შორი ეპისკოპოსად ნევადას შტატში მსახურობდა.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

ყირგიზეთის ოპოზიცია საპროტესტო აქციების გამართვას რეგიონებში იწყებს. ბიშკეკის მახლობლად, ალამუდუნსკის რაიონის ადმინისტრაციის შენობასთან მომიტინგეებმა კარვები უკვე გაშალეს. სამართალდამცავები აქციის მონაწილეებს ხელს არ უშლიან და მოვლენებს შორიდან აკვირდებიან. ბიშკეკის ცენტრალურ მოედანზე კი საპროტესტო აქცია უკვე მეოთხე დღეა მიმდინარეობს, რომლის ორგანიზატორიც არის ოპოზიციური მოძრაობა "რეფორმებისთვის".ოპოზიცია ყირგიზეთში კონსტიტუციის რეფორმირებას მოითხოვს, რომლითაც საპრეზიდენტო ხელისუფლება მნიშვნელოვნად უნდა შეიზღუდოს.

*ინტერპრესნიუსი*

# უღალატა თუ არა აშშ-მ საქართველოს
## გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციის მიღებით?



პირველი გვერდიდან

რასაკვირველია, მიღებული რეზოლუცია შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს და ვერ ასახავს ქართული მხარის ყველა მოთხოვნას. მაგრამ ყოველი რეზოლუციის მიღებისას წარმოებს გაცხოველებული დისკუსია, ხოლო აფხაზეთთან დაკავშირებით ყოველთვის ძირითადი ბარიერია რუსეთი, რის გამოც, ზოგჯერ რეზოლუციები უკბილო დოკუმენტს წარმოადგენდა, მაგრამ ბოლო რეზოლუციის მიღებისას განსაკუთრებით მოსალოდნელი იყო რუსეთის უძლიერესი იერიში საქართველოს წინააღმდეგ.

მართლაც, რუსეთმა იხელთა დრო და მოისურვა საქართველოს მიმართ თავისი აგრესიული პოზიციის განმტკიცება უშიშროების საბჭოს რეზოლუციით. **პირველად უშიშროების საბჭოს პრაქტიკაში აფხაზეთის თაობაზე მისაღები რეზოლუციის პროექტი თვით რუსეთმა შემოიტანა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ ასეთი რეზოლუციის მიღება მოსკოვის დიდი გამარჯვება იქნებოდა.** მაგრამ აშშ-ს მედგარი ბრძოლის შედეგად რეზოლუციის ტექსტმა სულ სხვა ჟღერადობა მიიღო და რუსეთის პოზიცია თითქმის ნულამდე დავიდა.

***ეს კარგად ჩანს სტატიის ბოლოს მოყვანილ შედარებითი ანალიზის სქემაში.***

როგორც ვხედავთ, რეზოლუციის საბოლოო ვარიანტში რუსეთის მიერ შემოთავაზებული არც ერთი მკაცრი ტერმინი და საერთოდ მკაცრი ტონი არ დარჩა, ამოღებულ იქნა კოდორის ხეობიდან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების გამოყვანის მოთხოვნა და Status quo-ს აღდგენა.

რეზოლუცია განსაკუთრებით მწვავედ მოითხოვს სეპარატისტებისაგან, დააბრუნონ აფხაზეთში ლტოლვილები და გადაადგილებული პირები და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება, დაიცვან ადამიანის უფლებები და საცხოვრებელი ადგილები.

კიდევ ერთი გაუგებრობის შესახებ: როგორც რუსეთის დუმის წევრები და პოლიტიკოსები, ასევე საქართველოში ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ რეზოლუციამ გააგრძელა "რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატი" 2007 წლის 15 აპრილამდე. **სინამდვილეში, რეზოლუციამ ექვსი თვით გაუგრძელა ვადა საქართველოში გაეროს სამშვიდობო მისიას (UNOMIG)** (იხ. რეზოლუციის პ. 17)**, საგულისხმოა, რომ წინა რეზოლუციებისაგან განსხვავებით საბჭო უკავშირებს ამას დსთ-ს სამშვიდობოების მანდატების სტატუსს** - წინათ აღინიშნებოდა, რომ UNOMIG-ის მანდატი შეიძლება შეიცვალოს "დსთ-ს სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლის შემთხვევაში" (რეზ. 1666, 2006 წლის 31 მარტი).

ერთადერთი რაც არასასურველია რეზოლუციაში, არის ის, რომ ტერმინის "კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო" ნაცვლად რამდენიმე ადგილას ფიგურირებს ტერმინი "ქართულ-აფხაზური კონფლიქტი". პირველად ეს ტერმინი გაჩნდა ა/წლის 31 მარტის რეზოლუციაში (№ 1666). უნდა აღდგეს ტრადიცია, რომელიც 12 წლის წინ დაიწყო და გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში გამოიყენება - "კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო". თუმცა რეზოლუციის 1 პარაგრაფი და ბოლო, რომელიც შეიცავს ტერმინს "სიტუაცია აფხაზეთში, საქართველო" ათანასწორებს ამ ხარვეზს.

**ამგვარად, მიღებული რეზოლუცია არანაირად არ აგდებს საქართველოს "რუსეთის ხახაში" და ამდენად ლაპარაკი აშშ-ს "ღალატზე", "კატასტროფულ დათმობაზე საქართველოს საზიანოდ" ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.**

**საქართველოს სამართლიან პოზიციას დღეს მთელი მსოფლიო უჭერს მხარს, ხოლო ევროკავშირის პარლამენტის რეზოლუცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ იყო მიღებული და თავისი შინაარსით რუსეთის იმპერიალიზმის მხილების უპრეცედენტო დოკუმენტს წარმოადგენს, ჩვენი ქვეყნის მიერ ახლო მომავალში თავისი ისტორიული კუთხეების დაბრუნების საწინდარია.**

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ გაეროს და ევროკავშირის რეზოლუციებს, რასაკვირველია, იმ მიმართულებითაც, რაც მოითხოვს საქართველოსგან, გაატაროს უფრო შემწყნარებლური პოლიტიკა და არა ღიად მილიტარისტულ რიტორიკით ტყუილად ქმნიდეს დაძაბულობას, რომელსაც მოხერხებულად იყენებენ სეპარატისტები და მათი რუსი მფარველები. **დიადი საქმეები წყნარი, მაგრამ შეუქცევადი ნაბიჯების გადადგმით ხორციელდება.**





# ქალი და ჯანმრთელობა

სარძევე ჯირკვალში რაიმე პათოლოგიის ან კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში არ აჰყვეთ პანიკას! გაითვალისწინეთ, რომ სარძევე ჯირკვლის კვანძების უმრავლესობა უვნებელია. მაგრამ შიში გიპყრობთ, არ იცით, როგორ მოიქცეთ...

რასაკვირველია, უამრავი შეკითხვაც გაგიჩნდებათ, გაინტერესებთ, თუ რა არჩევანი არსებობს, როგორ ხდება ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკა, რა აუცილებელი გამოკვლევებია ჩასატარებელი, რათა საუკეთესო მკურნალობა მიიღოთ და ასე შემდეგ.

"დროულად მიაკითხეთ მამოლოგს. ნუ მოგერიდებათ, დაუსვით შეკითხვები და მიიღეთ გონივრული გადაწყვეტილება," - გვირჩევენ ონკოლოგები.

ერთი ცხადია, დაავადებასთან ბრძოლაში ყველაფერი მნიშვნელოვანია: დროული აღმოჩენა, თანამედროვე სრულყოფილი დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება და ეფექტური მკურნალობა. და კიდევ, შეიტყვეთ ამ დაავადების შესახებ უფრო მეტი და მას აუცილებლად დაამარცხებთ. გაითვალისწინეთ, ძუძუს კიბო არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია, ახალი, რთული ცხოვრების დასაწყისი.

"ვიცოდეთ, დავძლიოთ დაავადება და ვიცხოვროთ" - სწორედ ამ ეგიდით ხორციელდება "ძუძუს კიბოს დაძლევის საინფორმაციო პროგრამა", რომლის ინიციატორია შვეიცარიული კომპანია "ჰოფმან - ლა როში" წარმომადგენლობა საქართველოში.

"ჰოფმან - ლა როში" უნიკალურ შესაძლებლობასაც გაძლევთ და თქვენი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით ყოველ ორშაბათს სპეციალურ რუბრიკას - "ქალი და ჯანმრთელობა" - გთავაზობთ.

## ძუძუს კიბო დღეს და მისი მკურნალობა

წლების განმავლობაში კიბოს მკურნალობის ძირითად საშუალებებს ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია წარმოადგენდა, რომლებიც გარკვეული გვერდითი მოვლენებით ხასიათდება. მაგრამ ადამიანის გენეტიკური კოდის გაშიფვრასთან ერთად, მეცნიერებს საშუალება მიეცათ, კიბოს საწინააღმდეგო ახალი, ეფექტური საშუალებები შეემუშავებინათ, როგორიცაა მონოკლონური ანტისხეულები (ჰერცეპტინი, ლაპატინიბი, ავასტინი...) რომლებიც დამიზნებით მოქმედებენ კიბოს უჯრედებზე. აღნიშნულ პრეპარატებს ძალუძთ, კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება გამოავლინონ უშუალოდ ავთვისებიან უჯრედებში და არ გამოიწვიონ მძიმე გვერდითი ეფექტები, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ სარძევე ჯირკვლის დაავადების ზუსტი დიაგნოზი საკვანძო მომენტია, არა მარტო კიბოს დადასტურების თვალსაზრისით, არამედ შესაბამისი მკურნალობის ჩატარების მხრივ. გადაწყვეტილება, თუ რომელი მკურნალობაა ყველაზე შესაფერისი, მიღებულ უნდა იქნას სრულ გამოკვლევაზე დაყრდნობით.

**"მთელ რიგ გამოკვლევებზე დაყრდნობით უნდა დაისვას სწორი დიაგნოზი. ოპერაციის წინ კი აუცილებელია სრულად შეფასდეს დაავადების სტადია და სტატუსი, მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მასზე განხორციელდეს მიზანმიმართული მკურნალობა, კერძოდ, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია და, თუ სასურველია, ქირურგიული ჩარევაც. შესაძლებელია, მკურნალობა კომპლექსურ და კომბინირებულ ხასიათს ატარებდეს. მამოლოგმა აუცილებლად უნდა შეაფასოს დაავადების ჰორმონალური სტატუსი, რათა განსაზღვროს, რა სახის სიმსივნესთან აქვს საქმე. აუცილებელია ჩატარდეს მორფოლოგიური გამოკვლევა, რომელიც ადგენს არამხოლოდ სიმსივნის მორფოლოგიურ ტიპს, არამედ სიმსივნის ბუნებას, კერძოდ, რამდენად ჰორმონდამოკიდებულია, აგრესიულია სიმსივნე და სხვა. აღნიშნული სამკურნალო საშუალებები გამოიყენება როგორც დაავადების მკურნალობისთვის, ისე კიბოს გავრცელების შესაჩერებლად და სიმპტომების შესამსუბუქებლად. ამ დროს გეძლევათ შანსი, სწორად დაგეგმოთ მკურნალობა, და გაითვალისწინოთ, რომ კიბო ქრონიკული დაავადებაა და მას სისტემატური მეთვალყურეობა სჭირდება,"** - ძუძუს კიბოს მიზანმიმართული მკურნალობის აუცილებლობაზე საუბრობს კლინიკა "მედულას" ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **დავით თაბაგარი**.

## HER 2 დადებითი - ძუძუს კიბოს ყველაზე აგრესიული ფორმა

ძუძუს კიბოს მრავალი იშვიათი ბიოლოგიური მახასიათებლის გამოვლენის მიუხედავად, ჯერჯერობით მნიშვნელოვანია მხოლოდ ჰორმონალური რეცეპტორების სტატუსი და ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის მეორე ტიპის რეცეპტორის (HER 2) არსებობა. როგორც ჰორმონალურ რეცეპტორებს, ისე (HER 2)-ს შეუძლია მოგვაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძუძუს კიბოს სავარაუდო პროგნოზის შესახებ.

**"ძუძუს კიბოს HER 2 დადებითი ფორმა სიმსივნის განსაკუთრებული ბუნების მაჩვენებელია. საკმაოდ აგრესიული სიმსივნეა, რომელიც სწრაფი პროგრესირებით ხასიათდება და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამის გამო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, HER2/ნეუ რეცეპტორი განისაზღვროს ძუძუს კიბოს დადგენისთანავე და არ უნდა გადაიდოს დაავადების რეციდივამდე ან პროგრესირებამდე. შესაბამისად, განისაზღვროს დაავადების მკურნალობის ტაქტიკა და პროგნოზი,"** - აღნიშნავს ბატონი დავითი.

## ახალი იმედები - რა არის ჰერცეპტინი?

უკანასკნელ წლებში იმუნოლოგიის და ბიოტექნოლოგიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ, კერძოდ, მონოკლონური ანტისხეულების აღმოჩენამ და მისმა სინთეზმა გარდატეხა შეიტანა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში სპეციალურად სინთეზირებული მონოკლონური ანტისხეულებით შესაძლებელი გახდა ორგანიზმში უჯრედის ზედაპირული რეცეპტორული ცილის ბლოკირება, რაც ამორჩევით იწვევს სიმსივნური უჯრედების ზრდის დათრგუნვასა და სიკვდილს ისე, რომ არ აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს.

სწორედ ასეთია **ჰერცეპტინი.** ეს არის სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი, რომელიც სპეციალურად შეიქმნა სარძევე ჯირკვლის HER 2 დადებითი კიბოს სამკურნალოდ.

**"მონოკლონური ანტისხეულები - ეს არის მნიშვნელოვანი ნახტომი თანამედროვე მედიცინაში, რომელიც დროულად და სწორად უნდა გამოვიყენოთ. თუ მას ყველა პაციენტს დავუნიშნავთ, მეთოდის დისკრედიტაცია მოხდება. ამიტომ აუცილებელია სწორი დიაგნოსტიკა და მიზანმიმართული მკურნალობა. სწორ დიაგნოსტიკაში კი იგულისხმება იმუნოჰისტოქიმიური კვლევა. ეს ახალი მეთოდია, რომლის ფართოდ დანერგვა აუცილებელია. ცივილურ ქვეყნებში ყველა ნაოპერაციებ მასალას იმუნოჰისტოქიმიური კვლევა უტარდება. ეს არის საფუძველი სწორი მკურნალობისა, რომელიც მოიცავს ქიმიოთერაპიას, სხივურ თერაპიას, ჰორმონოთერაპიასა და იმუნოთერაპიას. მკურნალობაში წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომით,"** - მიაჩნია დავით თაბაგარს.

Roche

# "ერთიმეორეზე უარესი" პოლიტიკა

## რუსულ-ქართული ურთიერთობები ვიქტორ შენდეროვიჩის თვალით

დიმიტრი ავალიანი

*ცნობილი მწერალი, სატირიკოსი და პუბლიცისტი ვიქტორ შენდეროვიჩი მოსკოვიდან თბილისში ერევნის გავლით ჩამოვიდა. ამ გზის გავლა შენდეროვიჩს იმისთვის დასჭირდა, რომ ქართული საზოგადოებისათვის რუსულ-ქართული ურთიერთობების გამწვავების გამო რუსეთის საზოგადოების სახელით ბოდიში მოეხადა. ვითარების უკიდურესად გამწვავებას იგი ორივე ქვეყნის ხელისუფლებას აბრალებს.*



**"სანამ წამოვიდოდი, მოსკოვში ასეულობით ადამიანმა ქართველებთან ბოდიშის მოხდა დამაბარა. ისინი ამბობენ. რომ პუტინი და ივანოვი რუსეთის ხალხში არ უნდა აგერიოთ,"** - აცხადებს ვიქტორ შენდეროვიჩი. მისი თქმით, დღეს რუსეთში მიმდინარე მოვლენები ქვეყნისთვის სამარცხვინოა. თუმცა, შენდეროვიჩი აცხადებს, რომ ამ ვითარებაში ორივე ხელისუფლების ქმედებები **"ერთიმეორეზე უარესია"**.

**"ხალხის და პოლიტიკოსების ინტერესი ერთმანეთს ხშირად რადიკალურად ეწინააღმდეგება. ორივე ხელისუფლებამ წარმოდგენა დაკარგა იმ კონტექსტზე, რასაც ხალხთა ასწლოვანი მეგობრობა წარმოადგენს და გადაწყვეტილებებს ხშირად პერსონალურ ამბიციებზე დაყრდნობით იღებენ,"** - აცხადებს შენდეროვიჩი.

მისი აზრით, გრუ-ს აგენტების დაკავებით საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის პროვოცირება მოახდინა. **"ყველა ქვეყანა ჯაშუშობს, ვიცით, როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში ცივილიზებული ქვეყნები. ეს ჩვეულებრივი, ყველასთვის ნაცნობი პროცედურაა. დადგმული, ტელევიზიით გადაცემული დაპატიმრებები არსად ხდება,"** - მიიჩნევს სატირიკოსი.

**"ორივე მხარე ყველა ზღვარს გადავიდა, თუმცა რუსეთის პასუხისმგებლობა უფრო დიდია, წონითი კატეგორიების განსხვავებას თუ გავითვალისწინებთ." "რუსეთი დიდხანს ეძებდა მტერს, რომელსაც მოერეოდა, და იპოვა კიდეც,"** - აცხადებს შენდეროვიჩი .

მისი შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების ქმედება **"უფრო ცინიკური და პროფესიონალური"** იყო, ხოლო რუსეთის ხელისუფლება **"იდიოტურად წამოეგო"**. **"როგორც ტალეირანი ამბობდა - ეს დანაშაულზე მეტია, ეს შეცდომაა"**. მისი თქმით, **"როდესაც პრეზიდენტი იწყებს საუბარს "ძირძველი მოსახლეობის უფლებებზე", ადგილებზე ეს "პოგრომებს" ნიშნავს". "სამარცხვინო დეპორტაცია, სამარცხვინო დემაგოგია,"** - ასე აფასებს რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს შენდეროვიჩი და კითხულობს: **"გრუ-ს აგენტები რომ არ დაეპატიმრებინათ, ზურაბ წერეთელის მიერ გადასახადების დამალვას ვერ აღმოაჩენდნენ?"**

შენდეროვიჩი აცხადებს, რომ რუსეთში არანაირი მასობრივი ანტიქართული განწყობა არ არის, "ქართულ" თემაზე ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვის შედეგებს კი **"დაუცველ ცნობიერებაზე მასობრივი შეტევის ნაყოფს"** უწოდებს.

მისი პროგნოზით, დაპირისპირება სახელმწიფოებს შორის კვლავაც გაგრძელდება, თუმცა ის უკვე ნელ-ნელა კლებულობს. **"ახლა ორივე ხელისუფლება ისეთ გამოსავალს ეძებს, რომ საკუთარი ხალხის თვალში გამარჯვებული გამოვიდეს,"** - მიიჩნევს პუბლიცისტი. თუმცა, მისი აზრით, **"პოლიტიკოსების იმედი არ უნდა გვქონდეს"**.

გამოსავალს შენდეროვიჩი შემდეგნაირად ხედავს: **"თავად გამოვასწოროთ ურთიერთობები, ხელისუფლებებს ვაგრძნობინოთ, რომ ისინი მხოლოდ ადმინისტრაციაა და ჩვენს უკეთეს ცხოვრებაზე უნდა იზრუნონ."**

4 ნოემბერს რუსეთში ნაციონალისტური ძალების მიერ გამართულ "რუსულ მარშებზე" საუბრისას შენდეროვიჩი აცხადებს, რომ **"ფაშისტები რუსეთის ხელისუფლების რესურსია. სააკაშვილს ერის კონსოლიდირებისთვის რუსეთიც ჰყოფნის. მსგავსი საფრთხობელა პუტინსაც სჭირდება. მაგრამ შეძლებენ კი ისინი ნაციონალისტური ტალღა გააკონტროლონ, როდესაც მათ სახლში ასეთი ბასკერვილების ძაღლი ცხოვრობს?"**.

გარდა ამისა, მისი აზრით, ხელისუფლებას სურს დასავლეთს დაანახოს - ან ვიქნები მე, მესამე ვადით, ადამიანის უფლებების გარეშე და ა. შ., ან ესენი. **"მათ ჯინი გაათავისუფლეს, რომლის უკან ბოთლში შეშვება საეჭვოა. კონდოპოგას მოვლენები უკვე მთელ ქვეყანაზე გავრცელდა."**

ვიქტორ შენდეროვიჩი რუსეთში ვითარების ზუსტ პროგნოზს ვერ აკეთებს: **"2008 წელს რაღაც შეიცვლება, თუმცა სასწაულს ნუ ველოდებით. საბოლოო ჯამში, რუსეთს განვითარების ორი შესაძლო მიმართულება აქვს - დემოკრატია ან ფაშიზმი."**

## ომბუდსმენი

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

"თავისუფლების ქვეყანაში", ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მაღალია პატიმართა წილი. ყოველ ოლქსა და პატარა ქალაქს თავისი საპყრობილე აქვს, თანაც ყოველთა სტანდარტთა შესაბამისი და სათანადოდ დიფერენცირებული, ანუ კაცთა, ქალთა და არასრულწლოვანთა.

ესეც შენი "თავისუფლების ქვეყანა" — ნიშნის მოგებით ჩაიქირქილებენ მავანნი და იმასაც დააყოლებენ: ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთო. იმედი უნდა გავუცრუო: არც იმ "ვაის" გავყრილვართ საბოლოოდ და არც იმ "ვუის" შევყრილვართ, როგორც საჭიროა. წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვიძევს და ამ გზამ იმაზე უნდა გაიაროს, რასაც კანონის უზენაესობად მოვიხსენიებთ ყველანი — თეთრებიცა და შავებიც, ვარდისფერებიც და ცისფერებიც, რუხებიცა და ჭრელებიც. ასე კი მოვიხსენიებთ, მაგრამ რას ვგულისხმობთ?

ამ კითხვაზე პასუხი ძნელია და რთული. აჯობებს თავიდან "ომბუდსმენურად" დავიწყოთ, მერე კი გამოჩნდება. ომბუდსმენი, შეგახსენებთ, უფლებათა დამცველს ნიშნავს, ჰოდა, მეც უნდა დავიცვა მკითხველის უფლებები, თუმცა ესენი ყოველთვის როდი ირღვევა (ან ვერ ვამჩნევ ხოლმე, რადგან მეც ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ) და ამიტომ მიწევს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების მიმოხილვა, რათა ვინმემ ემანდ ომბუდსმენი და მუქთამჭამელი არ გააიგივოს. დღეს კი მცირე საბაბი მომეცა პირდაპირ მოვალეობათა შესასრულებლად: 2 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია *სახალხო დამცველი გენპროკურორს მოვალეობას ახსენებს*. ტექსტი მოგვითხრობს **გიორგი მიქიაშვილის** შესახებ. დავიწყოთ მისი კითხვა და ვნახოთ, რისი გაგება შეუძლია ტექსტიდან მკითხველს.

დასაწყისშივე ვგებულობთ, რომ გიორგი მიქიაშვილი პატიმარია, თანაც ფსიქიკურად დაავადებული. დიახ, სტატია შემდეგი სიტყვებით იწყება: "**ფსიქიკურად დაავადებული პატიმარის, გიორგი მიქიაშვილის მდგომარეობა კვლავ უკიდურესია**". იკვეთება ორი მომენტი: 1) პატიმარი; 2) ფსიქიკურად დაავადებული. ორივე მომენტს სტატია თავიდანვე უაპელაციოდ გვაწვდის. მაგრამ რას ვიგებთ ტექსტიდან?

1) **პატიმარი**. სტატია გვამცნობს: "**საქმე ის გახლავთ, რომ 22 წლის გიორგი მიქიაშვილი, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავეს**...". ამით იწურება ეგრეთ წოდებული ობიექტური მონაცემები. უცნობი რჩება, რა ვითარებაში მოხდა პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა და რა სტადიაზეა მიქიაშვილის საქმე — იმყოფება ის წინასწარ პატიმრობაში თუ უკვე განაჩენი აქვს გამოტანილი. ამ დეტალების უგულებელყოფა ზოგადი წარმოდგენისათვის უდანაკარგოდ არ ჩაივლის. რაც უფრო მძიმეა მიყენებული მუხლი, მით უფრო მეტი ხმაური ღირს თავის დასაძვრენად — არა, მე არაფერს ვამტკიცებ, მე უბრალოდ ეჭვი მიპყრობს იმის გამო, რომ ბრალდების შინაარსს მიმალავენ, შინაარსს, რომლის გადმოსაცემად ერთ-ნახევარი სტრიქონიც იკმარებს. ყოველ შემთხვევაში, ეს ინფორმაცია არანაკლებ მნიშვნელოვანია პატიმრის ასაკსა და მისი დის პროფესიაზე, რაც სტატიამ დაწვრილებით მოგვახსენა.

ამის გარდა, მკითხველისთვის უცნობია პატიმრის სტატუსი — განსასჯელებსა და მსჯავრდებულებს შორის განსხვავება ფუნდამენტურია და ბევრ რამეს განაპირობებს — მაგალითად, რეჟიმის კონკრეტულ სახეს და მისი შეცვლის შესაძლებლობებს. რატომ არ მაცნობეს, მიქიაშვილი რომელ კატეგორიას ეკუთვნის?

ქვემოთ ვიგებთ, რომ ჩვენი სტატიის მთავარი გმირი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეექვსე დაწესებულებაში იმყოფება. ეს რომელია, ძველი თუ ახალი? არც ესაა უმნიშვნელო გარემოება: სტატიაში ნათქვამია, რომ პატიმარს "არაადამიანურ მდგომარეობაში" ამყოფებენ. ერთი წამით თავი დავანებოთ ტერმინის ბუნდოვანებას — ნებისმიერ შემთხვევაში მისი კონკრეტული აზრი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ საპატიმროს ეხება საქმე.

ახლა კი ვნახოთ, რას ნიშნავს "არაადამიანური მდგომარეობა": "**ნინო მიქიაშვილის ინფორმაციით გიორგი მიქიაშვილს დაკავების შემდეგ სულ 12-ჯერ სცემეს — მას ხან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები, ხანაც კი ადმინისტრაციის დავალებით, პატიმრები სცემდნენ**". სტოპ! უკან გადაახვიეთ და გაადიდეთ! — როგორც იტყოდა ჩემი საყვარელი სერიალის, "საიდუმლო მასალების" პერსონაჟი ფოქს მალდერი: **ადმინისტრაციის დავალებით, პატიმრები სცემდნენ... პატიმრები სცემდნენ**. საიდან შეიძლება ვიცოდეთ, რომ მაინცდამაინც ადმინისტრაციის დავალებით სცემდნენ? არსებობს პატიმრების აღიარებითი ჩვენებები? ან იქნებ პირდაპირი მტკიცებულება იპოვა ვინმემ — მაგალითად, ფირზე გადაღებული მოლაპარაკება? ოდნავ ქვემოთ ვკითხულობთ ამონარიდს მიქიაშვილის მდგომარეობის აღწერიდან, რომელიც სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეადგინეს: "**ის ნახევრად შიშველი დარბოდა საკანში, ამტვრევდა საკანში განთავსებულ ნივთებს, აზიანებდა კედლებს და სველ წერტილებს**". რომელ საკანში? იქ მარტო იყო? ან იქნებ მის გარშემო მყოფ არანაკლებად "არაადამიანურ პირობებში" მცხოვრებ გაღიზიანებულ და გაბრაზებულ ადამიანებს ადმინისტრაციის ფარული თუ ცხადი ნებართვა სჭირდებოდათ აღწერილ საქციელზე ადეკვატური რეაგირებისთვის?

ვიმეორებ, მე არავის ვამართლებ და არავის ვამტყუნებ. მე, უბრალოდ, ყურადღებით სამჯერ წავიკითხე სტატია და ახლა იმას გადმოვცემ, რისი გაგებაც იქიდანაა შესაძლებელი.

ასევე სტატიიდან ვიგებთ შემდეგს: "**დაკავებულის ადვოკატის, ზაზა ხატიაშვილის მტკიცებით, გიორგი მიქიაშვილის ცემა-წამება მას შემდეგ დაიწყო, რაც დაკავებულის საქმე ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) სასამართლოში გადააგზავნეს. მოსარჩელე მხარე მიქიაშვილისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის 3 მილიონი ლარის გადახდას მოითხოვს. 'იმის გამო, რომ პატრულის იმიჯი არ შეილახოს, მიქიაშვილს სარჩელის უკან გამოტანას აიძულებენ, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ უკვე წარმოებაში მიიღო, — აცხადებს ხატიაშვილი**". ერთობ მრავლისმეტყველი ფრაგმენტია. ჯერ ერთი, ვისაც მოგების შემთხვევაში 3 მილიონის პრეტენზია აქვს, სწორედ მას აძლევს ხელს მიქიაშვილის წამება. რაო, ცინიკური დასკვნაა? — მაგრამ გაიხსენონ მორალურ სიმაღლეებზე აცოცებულებმა, რამდენი შემთხვევა ახსოვთ, როცა ადამიანები გაცილებით ნაკლებისთვის იმეტებდნენ მოყვასს სასიკვდილოდ? სანამ მორალისტები ფიქრებს მისცემიან, განვაგრძოთ დასკვნების გამოტანა: როგორც კი სტრასბურგში სარჩელი შევიდა, ციხის ადმინისტრაციამ ჭეშმარიტად სტახანოვური ტემპებით დაიწყო შრომა მოსარჩელეთათვის მტკიცებულებების მისაწოდებლად.

ნუ დავიწყებთ სულელებივით იმის მტკიცებას, რომ ადვოკატი ტყუის. კაცმა რომ თქვას, არაა იშვიათი შემთხვევა, მაგრამ დავუჯეროთ მის სიტყვებს და ვნახოთ, რა სურათი შეიძლება გამოიკვეთოს ამ შემთხვევაში. მართლაც არსებობს ერთი გარემოება, რომელიც ციხის ადმინისტრაციას და მიქიაშვილის ქომაგებს მოწინააღმდეგეებად კი არა, მომხრეებად აქცევს და ეს გარემოება საქართველოში მიმდინარე სასჯელაღმსრულებელი სისტემის რეფორმაა. ამ სისტემაში დაბალ და საშუალო პოზიციებზე მომუშავე კონკრეტულ ადამიანებს იმის იმედი აქვთ, რომ ატეხილი აურზაური დაამუხრუჭებს ცვლილებებს, ამისთვის კი ღირს მარტივ ვითარებაში არაადეკვატურად რეაგირება.

აქ არის ერთი სუსტი ადგილი: რა იმედი აქვთ, რომ თვითონ არ გადაჰყვებიან ამ საქმეს? პასუხი აქაც შესაძლებელია: აბა, მოძებნონ რეფორმატორებმა ნეხვში ნებაყოფლობით თავის ჩაკვრის მსურველი! არაა ადვილი ამ ტიპის კადრების განახლება.

2. **ფსიქიკურად დაავადებული**. როგორც ვთქვით, სტატია თავიდანვე ისე უაპელაციოდ აცხადებს მიქიაშვილს ფსიქიკურად დაავადებულად, რომ საქმე გადაწყვეტილი გვგონია. ბოლოს კი ვიგებთ, რომ სახალხო დამცველი სწორედ ექსპერტიზის დანიშვნას მოითხოვს გენერალური პროკურორისაგან და ამითაა განსაზღვრული თვით სტატიის სათაურიც.

აქ საინტერესოა, მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი სახალხო დამცველის წარმომადგენელთა მიერ შედგენილი საბუთიდან: "**ადმინისტრაციის განცხადებით, გიორგი მ. საკანში წყლის დაგროვებას ცდილობდა და აცხადებდა, რომ ის ვენეციაში იყო და ა. შ.**". დავიოკოთ ა. შ.-ს გაშიფრვის სურვილი და ამაზე ბევრად საინტერესო გარემოებას შევხედოთ: "**ადმინისტრაციის განცხადებით**". რატომ არ მალავს ადმინისტრაცია ფაქტს, რომელიც ზურგს უმაგრებს მიქიაშვილის ადვოკატებს? ვის ან რის წინააღმდეგ თანამშრომლობს ასე ხალისიანად ციხის ადმინისტრაცია სახალხო დამცველის აპარატთან? — ძლიერი სიძულვილი ყველაზე ადვილად გათქმევინებს უარს ჩვეულ ტაქტიკაზე, სიძულვილის ობიექტი კი სასჯელაღმსრულებელი სისტემის რეფორმაა. სხვა მოტივაცია უფრო ძნელი მოსაძებნი იქნებოდა.

ამის გარდა, სტატიაში ვკითხულობთ, რომ მიქიაშვილის მდგომარეობა შეაფასა ცენტრ "ემპათიას" პრეზიდენტმა, საერთაშორისო ექსპერტ-ფსიქიატრმა, **მარინა ჯიშკარიანმა**. ეს შეფასება ასე გამოიყურება: "**ფსიქოზური რეგისტრის აშლილობა ფსიქო-მოტორული აგზნების სინდრომითა და აფექტურ-ბოდვითი მდგომარეობით**". შთამბეჭდავია, არა? — მაგრამ ჩვენ კი რა გავიგოთ? წარმოიდგინეთ, ვინმე მეგობარი გამოგიტყდათ, რომ "ჰერპეს სიმპლექსი" სჭირს — ადამიანურ ენაზე ეს "ნათაგურს" ნიშნავს. წარმოიდგინეთ, რა ელეგანტურად ითქმის ლათინურ ენაზე, მაგალითად, "ჯიბლიბო"! ვიცი, ახლაც ჟრუანტელი გივლით და ცინიკოსად მიმიჩნევთ. მაგრამ წავიკითხოთ, რა წერია განსახილველ სტატიაში: "**ექსპერტი არ გამორიცხავს ჰალუცინაციური სინდრომის არსებობასაც. ამის გამო ავადმყოფი სოციალურად საშიშია საკუთარი თავისა და ირგვლივ მყოფთა მიმართ, — ირწმუნება მარინა ჯიშკარიანი**". დიახ, გაზეთში ისეა დაწერილი, თითქოს ქ-ნი ჯიშკარიანი საკუთარ თავზე მესამე პირში მეტყველებდეს. მაგრამ, თუ ჩემს გამოცდილებას ენდობით, ექსპერტის პირდაპირი დასკვნა სტატიის ავტორს არ წაუკითხავს, მან რაღაც სხვა დასკვნა წაიკითხა, რომელსაც არ ასახელებს და რომელიც ნამდვილად არ ეკუთვნის თვით ექსპერტს. ციტატას სათანადო რედაქტირება სჭირდება, რომ ნაკერები არ გამოჩნდეს — სინამდვილეში, არაა გამორიცხული, რომ ვიღაცამ ტელეფონით დაურეკა ფსიქიატრს და ჰკითხა, კაცი ოთახში წყალს რომ აგროვებს და ვენეციაში ჰგონია თავი, რას უნდა ნიშნავდესო, ამაზე ფსიქიატრმა ზარმაცად მიუგო რაღაც, მერე ჰკითხეს სოციალურ საშიშროებაზე და მანაც "არ გამორიცხა". მე არ ვიცი, როგორ იქნა შედგენილი დოკუმენტი, რომელსაც სტატიის ავტორი ეყრდნობა, მაგრამ რეალური ადამიანის მიმართ ასეთი გულგრილობა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ჩემი სიტყვიერი ანგლობა, რომელსაც დიდი-დიდი უნიჭო შავ იუმორად თუ მონათლავ. მაგრამ როგორ უნდა შეაფასო მათი უპასუხისმგებლობა, ვინც ასე მაზალოდ შედგენილ ტექსტს ბოლოში მიაწერს: "24 საათი"?

იმ საერთაშორისო ექსპერტისა არ იყოს, არც მე გამოვრიცხავ, რომ სასჯელაღმსრულებელ სისტემაში ბევრი უსამართლობა ხდება, მათ შორის ისეთიც, რასაც მეტ-ნაკლებად ემოციური ადამიანები საშინელებად აფასებენ. მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მოვლენათა გადმოცემაში ცხელ გულთან ერთად ცივი გონებაც უნდა ავამოქმედოთ და, რაც მთავარია, შრომისმოყვარეობა. 2 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ეს ტექსტი კი არაფერს აშუქებს საყოველთაო სიზარმაცისა და გაუბედაობის გარდა: ჟურნალისტს ეზარება საქმეში ჩაღრმავება და ვერ ბედავს საზოგადოებრივი აზრის ინერციის წინააღმდეგ წასვლას, პაუსხისმგებელ პირებს ეზარებათ და ეშინიათ ხალხის წინაშე ანგარიშის ჩაბარება, სამოქალაქო საზოგადოებას ისტორიის ფეხდაფეხ ასაყოლად არც გამბედაობა და არც ჭკუა ჰყოფნის. ჰოდა, ვართ ასე: ანგარებიანი ადვოკატებისა და უნამუსო პერსონალის ამარა. აბა, სხვანაირად რომ იყოს, **ელენე თევდორაძეს** ნამდვილად შერცხვებოდა თავისი სატელევიზიო განცხადებისა — გახსოვთ, **გია ნუცუბიძის** საქმეს რომ მოაყოლა, რას დაიჭირეს, ციხეში ადგილი არ არისო...

# პროკოფიევის დღიურები ბრიტანეთში



2002 წელს პარიზში პირველად გამოვიდა ცნობილი რუსი კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის დღიურები, რომელიც მისმა შვილიშვილმა სერგეი სვიატოსლავიჩმა გამოაქვეყნა. ამ დღიურების პრეზენტაცია 2003 წლის 13 მაისს მოსკოვის ხელოვნების ცენტრ "ნეგლინნაიში" შედგა, როცა მთელმა მსოფლიომ მისი გარდაცვალებიდან 50 წელი აღნიშნა. მის თაყვანისმცემლებს კარგად ემახსოვრებათ, რომ კომპოზიტორის პატივსაცემად არა მარტო რუსეთში, - სადაც მნიშვნელოვანი აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორის ახლობლებმა, მუსიკისმცოდნეებმა და მისი ბიოგრაფიის მკვლევარებმა, ხოლო მთავარი ორგანიზატორი გამომცემლობა "კლასიკა XXI" იყო, - არამედ ლონდონშიც რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. ფესტივალი რამდენიმე საკონცერტო დარბაზსა და სამხატვრო გალერეებში მიმდინარეობდა, სადაც მისი ნაწარმოებები რუს მუსიკოსებთან ერთად ბრიტანელმა შემოქმედებმაც შეასრულეს.

ამჯერად ბრიტანელებმა კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, სურვილი აისრულეს. ენტონი ფილიპსმა კომპოზიტორის დღიურები თარგმნა და გამოაქვეყნა. მისი თქმით, "პროკოფიევი გულახდილი ადამიანი და არაჩვეულებრივი მწერალი იყო, რომელსაც ბევრი საინტერესო აზრი ჰქონდა. მისი დღიურები პირველ რიგში იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ინფორმაციული და საინტერესოა. პირადად ჩემთვის ნამდვილი საოცრება იყო, როცა მისი ავტობიოგრაფიიდან მხოლოდ 17 წლის ასაკამდე 200 ათასი სიტყვა აღმოვაჩინე."

ცნობილი დღიურები 1907-1914 წლებს ასახავს, როცა კომპოზიტორმა პეტერბურგის კონსერვატორია დაამთავრა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის გარდაცვალებამდე, 1953 წლამდე, წლების განმავლობაში კომპოზიტორის ჩანაწერების უმეტესი ნაწილი უცნობი იყო. დღიურები სამი ტომისგან შედგება. პირველი ორი ტომი სწორედ მისი "ავტობიოგრაფიით" იწყება, რომელიც შემოქმედმა 1932 წელს დაწერა. მასში გადმოცემულია ემიგრაციაში ყოფნისა და მისი ცხოვრების უცნობი დეტალები, აგრეთვე ის ფაქტი, რამაც აიძულა კომპოზიტორი 30-იან წლებში სამშობლოში, რუსეთში დაბრუნებულიყო. საუბარია მუსიკასა და ბუნებაზე, კომპოზიტორის თანამედროვეებთან ურთიერთობაზე, შეხვედრებზე - სკრიაბინთან, ბუნინთან, რახმანინოვთან, დიაგილევთან, მაიკოვსკისთან. უნდა ითქვას, რომ მისი დღიურები ცხოვრებისეულია, დაწერილია საინტერესოდ, არის იუმორით სავსე და იკითხება როგორც რომანი. მესამე ტომი კი შეიცავს მისი ოჯახის ფოტოალბომს. აღსანიშნავია, რომ ამ დღიურებს კომპოზიტორი 26 წლის განმავლობაში წერდა.

კომპოზიტორი, რომელმაც ორი რევოლუცია გაიარა, შექმნა ბალეტი "რომეო და ჯულიეტა", ოპერა "ომი და მშვიდობა", მუსიკა ფილმისთვის "ალექსანდრ ნევსკი", შვიდი სიმფონია და არაერთი კონცერტი. 1953 წლის 5 მარტს, სწორედ იმ დღეს, როცა იოსებ სტალინი, ტვინში სისხლის გაჟონვით გარდაიცვალა.

## ქართული წარმოშობის მსახიობები

დღეს სანკტ-პეტერბურგის ქართული წარმოშობის მსახიობები და მათი რუსი კოლეგები კონცერტის გამართვას გეგმავენ.

სანკტ-პეტერბურგის კლუბ "ნა ოსტროვზე" გაიმართება საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვლადიმერ ტატასოვი, ლიანა ჟვანია, ლარისა დმიტრიევა, ირმა ნიორაძე, ერიკ ყენია, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კოლექტივი "ივერია", ბავშვთა მუსიკალური თეატრი მარია ლანგეს ხელმძღვანელობით.

საღამოზე ნაჩვენები იქნება დოკუმეტური ფილმი თანამედროვე საქართველოზე. მსახიობები წაიკითხავენ ქართველი პოეტების ლექსების რუსულ თარგმანებს. გაჟღერდება მაიაკოვსკის, მანდელშტამის, პასტერნაკისა და სხვა რუსი პოეტების საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები.

როგორც საღამოს ორგანიზატორი ლარისა დმიტრიევა აცხადებს, საღამოზე მოსულთ საინტერესო პროგრამა ელით. მისივე თქმით, ორგანიზატორებისა და მონაწილეთა მიზანია წარმოაჩინოს ის ხიდი, რომელიც "მრავალი საუკუნის განმავლობაში აკავშირებდა ქართველ და რუს ხალხს და ეს ხიდი იყო კულტურა". **ჯი-ეიჩ-ენი**

## ანიმაციური კინოს საერთაშორისო ფესტივალი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ქართველ ანიმატორებს შტუტგარტის ანიმაციური კინოს საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად იწვევს.

როგორც ეროვნული კინოცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ეს ანიმაციური კინოს ყველაზე მასშტაბური ფესტივალია მსოფლიოში.

მონაწილეები ერთმანეთს ხუთ კატეგორიაში ეჯიბრებიან: საერთაშორისო კონკურსი, სტუდენტური, საბავშვო ანიმაციური, სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმები და სატელევიზიო ანიმაციური სერიალები.

საორგანიზაციო კომიტეტში განაცხადისა და ფილმის შესარჩევი ასლის (VHS, DVD) გაგზავნის ბოლო ვადა 2006 წლის 1 დეკემბერია. ქართველმა ანიმატორებმა სრული ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ვებგვერდზე :www.itfs.de.

ანიმაციური ფილმების მე-14 საერთაშორისო ფესტივალი გერმანიის ქალაქ შტუტგარტში 2007 წლის 26 აპრილიდან 1 მაისამდე ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

## ევროპული კინოფესტივალი ბორბლებზე

ნოემბერში თბილისი უმასპინძლებს "ევროპულ კინოფესტივალს ბორბლებზე". ეს ფესტივალი ტრადიციულად თურქეთის ქალაქებში ტარდება. წელს ის პირველად გადალახავს საზღვარს და ანკარისა და ყარსის შემდეგ ჯერ თბილისს, შემდეგ კი ბაქოს ეწვევა.

ფესტივალის მონაწილეები თბილისში 17 ნოემბერს ყარსიდან ჩამოვლენ. საქართველოში მათი მასპინძელია საქართველოს ეროვნული კინოცენტრი. საფესტივალო ჩვენებები გაიმართება 17-21 ნოემბერს კინოთეატრ "ამირანში". იქვე იმუშავებს ფესტივალის პრესცენტრი.

ფესტივალზე ნაჩვენები იქნება ვისკონტის, ბუნუელის, მოლინეროს, ნორშტეინის, მენ რეის, ახალი თურქული და ევროპული ფილმები. **ინტერპრესნიუსი**




# სტუდენტებს, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებენ, მაღალი ხარისხის განათლება უნდა შევთავაზოთ

## აკრედიტაცია - 2006

*"იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებმაც წელს ვერ გაიარეს აკრედიტაცია, სტუდენტები 2 წლის მანძილზე აკრედიტებული სასწავლებლის სტუდენტების რეჟიმში გააგრძელებენ სწავლას. მათ ასევე არ შეეხებათ სავალდებულო სამხედრო სამსახური" - აცხადებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორი ნინო ჩუბინიძე.*





**- დღეს აკრედიტაციის ეროვნული სამსახური აკრედიტაციის შედეგებს გამოაქვეყნებს. რა შემთხვევაში და რა ვადით მიენიჭათ აკრედიტაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს?**

- დაწესებულებებისთვის ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭება 2007-2008 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მოხდა, გარდა პირობითი აკრედიტაციის მინიჭებისა. 32 აკრედიტირებულმა დაწესებულებებმა დააკმაყოფილა ყველა ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმი.

**- ანუ, უმაღლესი სასწავლებლები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შეამოწმეთ. მთავარი მოთხოვნა რა იყო?**

- ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით სასწავლებლის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო ერთ სტუდენტზე არანაკლებ 4 კვ/მ ფართი, რომელიც გამოიყენებოდა სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის და აღჭურვილი იყო სტუდენტთა განთავსებისთვის აუცილებელი ინვენტარით; უმაღლესში 30 სტუდენტზე განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ერთი აკადემიური პერსონალი; 25 სტუდენტზე - ერთი კომპიუტერი; ძირითად კრიტერიუმებში შედიოდა ევროპული ტრანსფერის საკრედიტო სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანილი სასწავლო პროგრამებისა და მათი შესაბამისი გეგმების წარდგენა. ასევე ბიბლიოთეკა და ვებ-გვერდი, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა შესაბამისი პირობები.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, მაინც როგორი უნდა იყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა?**

პირველ რიგში, ბიბლიოთეკა უნდა ყოფილიყო დაწესებულების საკუთრებაში, სტუდენტთა და მასწავლებელთა რაოდენობის ადეკვატური ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეულით, აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზით. გარდა ამისა, აუცილებელია ყოფილიყო საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული კატალოგი, ინვენტარის წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, მკითხველთა ბარათები, წიგნადი და არაწიგნადი ფონდი და სხვ. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა დაწესებულებამ დააკმაყოფილა ძირითადი კრიტერიუმები, მაგრამ დამატებითი კრიტერიუმები სრულად ვერ დააკმაყოფილეს.

**- მაგალითად... არ ჰქონდათ სასწავლო და სამეცნიერო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარი?**

- არა მხოლოდ. პირველ რიგში, ეს იყო არასრულყოფილი სასწავლო პროგრამები, გეგმები, სტუდენტთა შეფასების სისტემა, პროგრამების შესაბამისი სილაბუსები. სინამდვილეში სტუდენტებს, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებენ და აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში ხვდებიან, ვალდებულნი ვართ განათლების მაღალი ხარისხი და გარემო დავახვედროთ. სწორედ ამისთვის, დაწესებულებებს უნდა წარმოედგინათ სასწავლო პროგრამის აღწერა, მოდული, კურიკულუმი სათანადო კრედიტებისა და აკადემიური საათების მითითებით, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა. მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს, რომ ეს უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, სადაც სწავლების პირველ საფეხურზე გათვალისწინებული 240 კრედიტი გადანაწილებული იქნება 4 სასწავლო წელზე, თითოეულ წელზე არანაკლებ 60 კრედიტი. დამატებით კრიტერიუმებში შედიოდა აგრეთვე, რომ ბიბლიოთეკას უნდა ჰქონოდა სასწავლო გეგმებისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი წიგნადი (ერთ სტუდენტზე 10 სახელმძღვანელო) და არაწიგნადი ფონდი ინფორმაციის აუდიო, ვიდეო და ციფრული მატარებლის სახით და სხვ. პირობითი აკრედიტაცია 4-მა დაწესებულებამ მიიღო.

**- ხომ შეიძლება დაწესებულება აკმაყოფილებდეს ყველა ძირითად კრიტერიუმს, მაგრამ დამატებითი კრიტერიუმიდან მხოლოდ ერთი ვერ დააკმაყოფილოს?**

- ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა რამდენიმე დაწესებულებამ პირობითი აკრედიტაცია მიიღო. ასეთ შემთხვევაში განმეორებითი აკრედიტაცია ჩატარდება არაუგვიანეს 2 წლისა.

**- ვინ ხელმძღავანელობდა აკრედიტაციის პროცესს?**

- აკრედიტაციის პროცესს ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის განათლების ცენტრი და მასთან არსებული საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაფუძნებული უმაღლეს საგანმანათებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო. აკრედიტაციის პროცესს ახორციელებდნენ სამსახურის მიერ კონკურსის გზით შერჩეული და გადამზადებული აკრედიტაციის ექსპერტები. აკრედიტაციის პროცესის წინ აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული იქნა ექსპერტთა ეთიკის კოდექსი, რასაც თითოეულმა ექსპერტმა მოაწერა ხელი. ამ დოკუმენტის ხელმოწერით მათ დაადასტურდეს მზაობა მასზედ, რომ იქნებოდნენ მიუკერძოებელი და ობიექტური. აკრედიტაციის ექსპერტთა რაოდენობა და დაწესებულებაში მათი ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სიდიდით. ყველაზე ხანმოკლე ვიზიტი იყო 5 დღე, ყველაზე ხანგრძლივი კი 8 კვირა. ჯგუფის სიდიდე მერყეობდა 5-დან 18-მდე.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელისა და წევრების კანდიდატურები შეთანხმებული იყო თითოეულ დაწესებულებასთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები და უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშები განიხილა აკრედიტაციის საბჭომ და სამსახურის დირექტორს წარუდგინა რეკომენდაციები აკრედიტაციის მინიჭების, პირობით მინიჭების და აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

**- როგორ განისაზღვრება და ვინ განსაზღვრავს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები სტუდენტების რაოდენობას?**

- მისაღები კონტინგენტის რაოდენობა იცვლება აკრედიტაციის შემოწმების შედეგად. ანუ, ამ მიზნით ჩვენი სამსახური აწარმოებს სტუდენტთა და პრფესორ-მასწავლებელთა რეესტრს. აკრედიტებული დაწესებულებისა და მისი ფილიალების მისაღებ სტუდენტთა რაოდენობები ცალ-ცალკე დგინდება. გადაწყვეტილებაში (ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ) აღნიშნულია მომდევნო კალენდარულ წელს და აკრედიტაციის ვადის განმავლობაში სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა. ამასთან, ახლადდაფუძვნებული ლიცენზირებული დაწესებულებისათვის მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა მოხდა ლიცენზიის ფარგლებში სამინისტროში წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად.

**- გამოდის, რომ თუ დაწესებულება ვეს გაივლის აკრედიტაციას ის ვერც სტუდენტებს მიიღებს?**

- მართალი ბრძანდებით. არააკრედიტებული დაწესებულება მომდევნო კალენდარულ წელს და აკრედიტაციის მიღებამდე სტუდენტებს ვერ მიიღებს.

**- თუ უმაღლესმა პირობითი აკრედიტაცია მიიღო?**

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულების მიხედვით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაშიც დაწესებულებას არ აქვს სტუდენტთა მიღების უფლება.

**- თუ მომავალ წელს არ იქნება სტუდენტთა მიღება ეს პროფესორთა ხელფასებსა და საშტატო დატვირთვაზეც იმოქმედებს?**

- გარწმუნებთ ფინანსების სწორად განკარგვის და ადმინისტრირების პირობებში ეს არ არის მოსალოდნელი. თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებას სასწავლო პროცესთან ერთად აქვს კიდევ ერთი უმთავრესი ფუნქცია - სამეცნიერო. ცხადია, ამ ტიპის დაწესებულებები ეცდებიან სამეცნიერო საქმიანობაზე მიმართონ აკადემიური პერსონალის რესურსები.

**- რა ბედი ელით იმ სტუდენტებს, რომლებიც აკრედიტაციის შედეგების გამოცხადების შემდეგ არააკრედიტებულ სასწავლებლებში აღმოჩნდებიან?**

მოხარული ვარ, რომ ეს მკითხეთ. აქ მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს, რომ აკრედიტაცია პირველ რიგში სტუდენტების მოთხოვნის და ინტერესების დაცვისთვის ხორციელდება. იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებმაც წელს ვერ გაიარეს აკრედიტაცია, სტუდენტები 2 წლის მანძილზე აკრედიტებული სასწავლებლის სტუდენტების რეჟიმში გააგრძელებენ სწავლას. მათ ასევე არ შეეხებათ სავალდებულო სამხედრო სამსახური.

**- 2 წლის წინ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი 2-ჯერ შეამცირეთ. თუმცა, ზოგიერთი აკრედიტებული დაწესებულება შესაბამისი განათლების ხარისხს ვერც ამ რეჟიმში უზრუნველყოფდა...**

- სწორედ ამიტომ გამკაცრდა აკრედიტაციის მოთხოვნები. 2004-05 სასწავლო წლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 248-დან 117-მდე შემცირდა. მათ აკრედიტაცია 2 წლის ვადით განესაზღვრათ. განმეორებითი აკრედიტაცია 2006 წლის 25 აპრილს დაიწყო.

სამწუხაროდ, მიუხედავად კომპრომისებისა, ზოგიერთმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მათმა ფილიალმა წელს აკრედიტაცია ვერ გაიარა. თუმცა, ხარვეზების აღმოფხვრა სწორი ადმინისტრირების პირობებში უმოკლეს ვადაშია შესაძლებელი. იმედი გვაქვს, 6 თვეში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება.

**- გამოდის, რომ განათლების ხარისხი გაიზრდება, მას მერე, რაც უმაღლესები ინსტიტუციურ აკრედიტაციას გაივლიან?**

- ეს ის აუცილებელი ბარიერია, რომელიც ყველა დაწესებულებამ უნდა გადალახოს, რომელიც ბოლონიის პროცესშია ჩართული. ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია ხომ განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანამანათლებლო სივრცეში ინტეგრირების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010-11 წლამდე პროგრამული აკრედიტაცია უნდა უზრუნველყოს. აქაც განათლების ხარისხის მთავარ ინდიკატორად სტუდენტები რჩებიან.

**- თქვენ არაეფექტური მართვა ახსენეთ. გამოდის, რომ ის სახელმწიფო სასწავლებლები, რომლებმაც აკრედიტაცია ვერ გაიარეს, არაეფექტურად მართავენ?**

- ჩვენ ძალიან ბევრ დათმობაზე წავედით. აღმოჩენილია კანონდარღვევები. საქმეებს პროკურატურა უკვე იძიებს.

**- დადგება თუ არა იმ ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხი, სადაც ასეთი უხეში კანონდარღვევები გამოვლინდა?**

აუცილებლად. მოხარულები ვართ, რომ ახალი აკადემიური საბჭო, პროფესურა და სტუდენტობა სრულ მზადყოფნაშია, რომ ამ 6 თვეში ერთად დავძლიოთ პრობლემები.

***ესაუბრა დავით გაბუნია.***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52,ტელ-ფაქსი:8(293)7-01-48),bjojua@potiseaport.com საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Poti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხავა სახის გადამტვირთავი ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე.

2. სპეც ტექნიკის დასახელება

**ლოტი N1** - KALMAR DRD420-60S5; **ლოტი N2** - KALMAR LMVDC 10-600;

**ლოტი N3** - KALMAR Ro-Ro 25-1200; **ლოტი N4** - KOMATSU wa200-1;

**ლოტი N5** - LIEBHER L531; **ლოტი N6** - CUKUROVA 848H; **ლოტი N7** - SISU TR160L3.

**ლოტი N8** - Terberg-RT25-008; **ლოტი N9** Terberg YT180-4X2

3. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით. (CIF-ფოთი)

4. **საქონლის მიწოდების სასურველი ვადებია: 2007 წლის 31 იანვრამდე.**

5. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული კანცელარია. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

6.1. **იურიდიული პირებისათვის:**

6.1.1.ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე.

6.2. **იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

6.2.1.მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი).

6.2.2.ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

6.2.3.უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება. სასურველია მიმწოდებელს გააჩნდეს საერთაშორისო ხარისხის სერთიფიკატი.

| № | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |

7. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

10. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება **2006 წლის 7 ნოემბრის 9.00 საათიდან 2006 წლის 24 ნოემბრის 17.00** საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. შესყიდვების სამსახური, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

11. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის **27 ნოემბრის 17.00** საათამდე განცხადების მე-5 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

14. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

16. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

17. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ხარისხს, საქონლის მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების პირობებს და საქონლის ღირებულებას. ტენდერში მონაწილემ სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის, შესაბამიოსობისა და წარმოშობის სერთიფიკატები.

18. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48), ხოლო ტექნიკური მონაცემების შესახებ ვლადიმერ ხოხობაია შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს დირექტორო წარმოებისა და ექსპლუატაციის დარგში ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-02, მობ/ტელ: 8(99) 57-01-03 **vchochobaia@potiseaport.com**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
# სოხუმის ფილიალი

2006-2007 სასწავლო წელს

მიღებას აცხადებს შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

**მათემატიკური მოდელირება, სტატისტიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები** (მოდულები: ბუნებისმეტყველების მათემატიკური მოდელები და ტექნოლოგიები; სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება; დაპროგრამების ტექნოლოგიები; გამოყენებითი სტატისტიკა და სადაზღვევო საქმე).

**მათემატიკური ანალიზი.**

**ელემენტარული პროცესები პლაზმაში და კონდენსირებულ გარემოში.**

**ბიოსამედიცინო ფიზიკა და ინჟინერია.**

**ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია.**

**კვანტური ქიმია.**

**კვების პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპერტიზა.**

**კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა.**

**გენეტიკა** (მოდულები: გამოყენებითი გენეტიკა; გენეტიკა და ბიოუსაფრთხოება).

**მიკრობიოლოგია.**

**საბაღო-საპარკო დიზაინი.**

**ეკოლოგია** (მოდულები: რადიაციული ეკოლოგია; ბიოეკოლოგია; გეოეკოლოგია).

**სოციოლინგვისტიკა.**

**ქართველური ენათმეცნიერება.**

**ქართული ლიტერატურის ისტორია** (მოდულები: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია; ახალი (XIXს) ქართული ლიტერატურის ისტორია).

**ფილოლოგია (უახლესი ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია).**

**ინგლისური ენა და თარგმანი** (მოდულები: პროფესიული ინგლისური და ლინგვისტიკა; ინფორმაციის მენეჯმენტი და თარგმანი).

**გერმანისტიკა და თარგმნა.**

**კომპარატივისტიკა.**

**რუსისტიკა.**

**ქართულ - სლავური ლიტერატურული ურთიერთობები.**

**ისტორია** (მოდულები: საქართველოს ისტორია; ძველი მსოფლიოს ისტორია;შუა საკუნეების ისტორია; რუსეთის ისტორია).

**არქეოლოგია.**

**სოციალურ - პოლიტიკური მეცნიერებები** (მოდულები: საერთაშორისო ურთიერთობები და შავი ზღვის ქვეყნები; სოციალური ურთიერთობების მართვა; საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტექნოლოგიები (PR); ადგილობრივი თვითმმართველობა და მუნიციპალური მართვა).

**ეკონომიკა** (მოდულები: საერთაშორისო ეკონომიკა; მაკროეკონომიკა; რეგიონალური და მუნიციპალური ეკონომიკა).

**ბიზნესის ადმინისტრირება** (მოდულები: ფინანსები და საბანკო საქმე; მარკეტინგი; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი);

**სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსანტების მიღება წარმოებს გასაუბრება - ტესტირების გზით.**

**საბუთები მიიღება 2006 წლის 30 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით. მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ. N9, ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი N206.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 541409, 893769880. ვებ-გვერდი: www. sokhumi-su.edu.ge**

# განცხადება კონკურსის ფორმით ქონების გასხვისების შესახებ

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში "გამყიდველი") აცხადებს კონკურს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებაზე.**

გასაყიდი ქონება:

ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა N68-ში მდებარე 1 720 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობა.

**გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 1 060 000 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე, საიდანაც 1 720 კვ.მ. მიწის ღირებულებაა 1 008 000 აშშ დოლარი, ხოლო ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობის ღირებულებაა 52 000 აშშ დოლარი.**

განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა (შემდგომში "კონკურსანტი") განაცხადები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 ნოემბრის 18:00 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები და საკონკურსო წინადადებები აღარ მიიღება.

განაცხადები და საკონკურსო წინადადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68.

კონკურსის "რეგისტრატორი"

**ელენე ქავთარაძე**

საკონტაქტო ტელეფონი: მობ: 8 77 46 01 45
ფაქსი: 33 23 15

შენიშვნა: განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00-18:00 საათამდე.

"ბეს" და კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის გადასახდელი თანხის გადახდა წარმოებს ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები:
სს "ბანკი რესპუბლიკა"
ანგარიშის N 000 700 499
ბანკის კოდი: 220 101 757

კონკურსანტების წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 16 ნომბრის 18:00 საათზე ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N68-ში, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხდომათა დარბაზში.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კონვერტების გახსნის დღიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

საკონკურსო პირობები

1. გასაყიდი ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

2. რვა მეტრი სიგანის ასფალტიანი სამანქანო გზის გაკეთება ჩიქოვანის ქუჩიდან ყოფილი "ტელეფილმების" შენობამდე. ხსენებული გზის გაკეთება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. გზის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.

3. მყიდველი გასაყიდ ქონებასთან მისასვლელად ისარგებლებს მხოლოდ მეორე პუნქტში მითითებული გზის საშუალებით ჩიქოვანის ქუჩიდან.

4. ამ თავის მეორე პუნქტში მითითებული გასაკეთებელი გზა არ შედის გასაყიდი ობიექტის ფართში. გზის გაკეთების შემდეგ, მასზე გავრცელდება საერთო სარგებლობის უფლება და მისი გამოყენება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი როგორც მყიდველისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე სხვა ნებისმიერი მესამე პირის მიერ.

5. გასაყიდ ობიექტზე არსებული საყრდენი კედელის გამაგრება.

6. გასაყიდი ობიექტის შემოსაზღვრა ღობით.

7. გასაყიდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების იმგვარად წარმოება, რომ ამით ხელი არ შეეშალოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ნორმალური ფუნქციონირების განხორციელებაში.

*შენიშვნა:*

*1. კონკურსანტს შეუძლია გაეცნოს სავარაუდო გზის ესკიზს და საჭიროების შემთხვევაში გადაიღოს მისი ასლი.*

*2. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს გზის გასაკეთებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა.*

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

**1.** კონკურსანტის მიერ შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის ვინაობა (იურდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება), საკონტაქტო მონაცემები, გასაყიდი ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

**2.** კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში რომელიც ილუქება მის მიერ;

**3.** "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ან იმავე ოდენობის თანხაზე გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

**4.** კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**5.** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

**6.** ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსანტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

**7.** ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პირი ქმედუნარიანია (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

**8.** კონკურსანტი იურიდიული პირის შემთხვევაში, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ყადაღის ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის მიერ;

გ) ცნობა გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოების შესახებ სასამართლოდან;

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესი.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური ფასის გადახდა.

კონკურსის ჩატარების წესი

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

2. კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებები აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს და კრიტერიუმებს და საზოგადოებრივი მაუწყებელს შესთავაზებს უკეთეს პირობებს.

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დადგენილ დღეს და საათზე იხსნება კონვერტები შემოსული წინადადებებით. დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადებები არ პასუხობს კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება შესაბამისი აქტით.

4. კონკურსანტს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას.

5. საზოგადოებრივი მაუწყებელი იხილავს კონკურსანტების წინადადებებს მათი დასწრების გარეშე, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას.

6. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა რომელიმე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადების უპირატესობა დანარჩენ შემოთავაზებულ წინადადებებთან შედარებით, მაშინ, საზოგადოებრივი მაუწყებელს შეუძლია გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტების გახსნის დღესვე.

7. საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლება აქვს საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს გადაწყვეტილება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 6 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. თუ რამოდენიმე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასის და სხვა პირობების შესახებ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით დაადგინოს (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) საუკეთესო წინადადებები და შემდგომში აწარმოოს მათთან დადეგნილი რიგითობის მიხედვით მოლაპარაკებები. ასეთ შემთხვევაში თითოეულ კონკურსანტთან მოლაპარაკების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს.

9. მოლაპარაკებების წარმოების შემდგომ ან კონკურსის ჩატარების წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოავლენს გამარჯვებულს, რომელთანაც გაფორმდება გასაყიდ ქონებაზე შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება.

10. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ბრძანებით და რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

a) გასაყიდი ობიექტის დასახელებას;

b) მონაცემებს კონკურსის მონაწილეთა შესახებ;

c) კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს დანართების სახით;

d) კონკურსში გამარჯვებულის დასახელებას;

e) კონკურსის შედეგად დადგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქონების გასაყიდ ფასს;

f) კონკურსის შედეგად დადგენილი საკონკურსო პირობების შესრულების ვადები და განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა.

11. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულს კი ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

12. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ:

a) 2006 წლის 15 ნოემბრის 18.00 საათამდე არ იქნა შემოტანილი არც ერთი განაცხადი;

b) წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების გაფორმების წესი

1. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია საზოგადოებრივ მაუწყებელთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით).

2. ხელშეკრულებაში სხვა პირობებთან ერთად აისახება მყიდველის ვალდებულება საკონკურსო პირობების დაკმაყოფილების შესახებ, ასევე პირგასამტეხლო - აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

3. სხვა მონაცემები კონკურსის და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. გასაყიდი ობიექტის შეძენისას შეტანილი "ბე" მყიდველს ეთვლება ანგარიშსწორების დროს.

5. კონკურსანტების მიერ კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისთვის გადახდილი 100 ლარი რჩება საზოგადოებრივ მაუწყებელს.

6. დანარჩენ მონაწილეებს "ბე" უბრუნდებათ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ მათი მოთხოვნის საფუძველზე 7 დღის განმავლობაში.

7. თუ კონკურსში გამარჯვებულის მიზეზით ამ თავის 1-ელ პუნქტში მითითებულ ვადაში არ გაფორმდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, მის მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია ხსენებული თანხის გადახდა მოითხოვოს საბანკო გარანტიის გამცემისაგან.

8. მყიდველი ვალდებულია დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 3 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს საზოგადოებრივ მაუწყებელს.

9. საკონკურსო პირობების სრულად შესრულებამდე მყიდველს საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება კონკურსის ფორმით გაცემული ქონება განკარგოს.

10. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 0,05%-ის ოდენობით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში -200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი ჯავახისვილის 12, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**ლოტი: 1** - მსუბუქი მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალება - 13 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ორკარიანი.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 1.500 - 1.700 სმ3.
- სიმძლავრე - არანაკლები 60 ცხენის ძალა.
- სიჩქარე - არანაკლები 100 კმ/სთ.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- გამოშვების წელი 2006 წელი.

**ლოტი: 2** - მსუბუქი ავტომანქანა - 9 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი.
- ძარა სედანის ტიპი
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 1.600 სმ3.
- სიმძლავრე - არანაკლები 100 ცხენის ძალა.
- სიჩქარე - არანაკლები 180 კმ/სთ.
- უსაფრთხოების 2 ბალიში
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- კონდინციონერით, ელექტრო შუშებით.
- გამოშვების წელი 2006 წელი.

3. მიწოდების ადგილი - ქ. ქუთაისი.
4. მიწოდების სავალდებულო ვადები: ლოტი 1 2006 წლის 5 დეკემბერი, ლოტი 2-3 2006 წლის 15 დეკემბერი.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 27 ნოემბრის 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, მისამართზე: ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის 12 სატენდერო აპარატი.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა)ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ)ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - ბიუჯეტი.
9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10.გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: **კახა ლაბაძე ტელ. 877 52 85 27,**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება

**სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი**
**(აკადემიკოს ფ. თოდუას ცენტრი)**

სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი (აკადემიკოს ფ. თოდუას ცენტრი) და გაერთიანებული ქართული ბანკი პირველად საქართველოში გთავაზობთ ერთობლივ პროექტს - ყველა სახის სადიაგნოსტიკო და სტაციონარული მომსახურება (ნეიროქირურგიული, ზოგადქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციები) ბანკის მიერ გაცემული უპროცენტო კრედიტის საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს (პაციენტებს) აღნიშნულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.

მისამართი: თ. მღვდლის ქ. 13.
ტელ.: 94-02-89; 899 546 032.

# საკონკურსო განცხადება

თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს ბიურო აცხადებს კონკურსს გამგებლის თანამდებობაზე.

მსურველებმა წარამოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
1. განცხადება;
2. ავტობიოგრაფია;
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. შრომითი ბიოგრაფია

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 3 ნომებრიდან 16 ნოემბერის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.
მისამართი: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.34.

**თეთრიწყაროს რაიონის საკრებულო**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ახალი და მეორადი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში -200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ოზურგეთი გენადი გიორგაძის -7, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**ლოტი: 1** - ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება - 1 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ოთხკარიანი
- საწვავის ხარჯი: ბენზინის შემთხვევაში 100კმ-ზე - მაქსიმალური 18 ლიტრი,
- ძრავის მოცულობა 2000-დან 4000-მდე კბ.სმ.
- სიმძლავრე - არანაკლები 70 ცხენის ძალა.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური.
- გამოშვების წელი - 2006 წელი.

**ლოტი: 2** - მსუბუქი მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალება - 4 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ორკარიანი.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 1.500 - 1.700 სმ3.
- სიმძლავრე - არანაკლები 60 ცხენის ძალა.
- სიჩქარე - არანაკლები 100 კმ/სთ.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- გამოშვების წელი 2006 წელი.

**ლოტი: 3** - მსუბუქი ავტომანქანა მეორადი- 1 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ოთხკარიანი.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 1600-2000 სმ3.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური
- კონდინციონერით, ელექტრო შუშებით (მინიმუმ ორი).
- გამოშვების წელი მინიმუმ 1999 წელი.
- ფერი არათეთრი

3. მიწოდების ადგილი - ქ. ოზურგეთი.
4. მიწოდების სავალდებულო ვადები: 2006 წლის 5 დეკემბერი
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 27 ნოემბრის 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, მისამართზე: ქ. ოზურგეთი გ. გიორგაძის -7 სატენდერო აპარატი.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა)ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ)ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - ბიუჯეტი.
9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10.გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მამაკაიშვილი ტელ. 877 57 73 79,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ახალი და მეორადი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში -200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **კახეთის სამხარეო** შს მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: **ქ. თელავი აჩინებული,** რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**ლოტი: 1** - ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება - 8 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ოთხკარიანი
- საწვავის ხარჯი: ბენზინის შემთხვევაში 100კმ-ზე - მაქსიმალური 18 ლიტრი,
- ძრავის მოცულობა 2000-დან 4000-მდე კბ.სმ.
- სიმძლავრე - არანაკლები 70 ცხენის ძალა.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური.
- გამოშვების წელი - 2006 წელი.

**ლოტი: 2** - მსუბუქი ავტომანქანა (მეორადი) - 14 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი.
- ძარა სედანის ტიპი
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 2.000 სმ3.
- საწვავის ხარჯი: 100კმ-ზე - მაქსიმუმ 11 ლიტრი
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- გამოშვების წელი მინიმუმ 1995 წელი.
- ფერი- არა თეთრი

**ლოტი: 3** - ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომანქანა (მეორადი) - 6 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 3000-4500 სმ3.
- სიმძლავრე - არანაკლები 90 ცხენის ძალა.
- უსაფრთხოების 2 ბალიში
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური ან ავტომატიკა
- კონდინციონერით, ელექტრო შუშებით (მინიმუმ ორი).
- გამოშვების წელი მინიმუმ 1995 წელი.

**ლოტი: 4** - ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომანქანა (მეორადი) - 1 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 3000-4500 სმ3.
- სიმძლავრე - არანაკლები 90 ცხენის ძალა.
- უსაფრთხოების 2 ბალიში
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი ავტომატიკა
- კონდინციონერით, ელექტრო შუშებით (მინიმუმ ორი).
- გამოშვების წელი მინიმუმ 1998 წელი.

ლოტი 7 მიკროავტობუსი (მეორადი) - 1 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- საწვავის ტიპი - დიზელი.
- ძრავის მოცულობა - 2500-3000 სმ3.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- მგზავრთა რაოდენობა მინიმუმ 10.
- გამოშვების წელი მინიმუმ 1995 წელი.

3. მიწოდების ადგილი - ქ. თელავი.
4. მიწოდების სავალდებულო ვადები: 2006 წლის 15 დეკემბერი
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 27 ნოემბრის 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თელავი აჩინებული სატენდერო აპარატი.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა)ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ)ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - ბიუჯეტი.
9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10.გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: **შოთა დიმიტრის ხიზანიშვილი ტელ. 877 52 35 53,**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**"განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"**

I. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად. კონკურსი ცხადდება შემდეგ თანამდებობებზე:

ა) სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) კერძო სამართლის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) საერთაშორისო და კონსტიტუციური სამართლის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

დ) სამართლის თეორიისა და ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

II. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

III. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებასთან უნდა დაურთოს:
1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
5. ერთი სამეცნიერო ნაშრომის / სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს;
6. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები, კავშირი სასწავლო პროცესთან და ა.შ.);
7. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
8. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია).

IV. კონკურსანტის შერჩევისას შესარჩევ კომისიას შეუძლია გაითვალისწინოს ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა:
1. გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);
2. მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;
3. მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;
4. სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;
5. კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოს ორგანიზაციების გამოცდილება.

V. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

VI. საბუთების მიღება იწარმოებს 6 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე. მისამართი: ქიქოძის №3, 0105 თბილისი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.

VII. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა ა.წ. 6 დეკემბერი (1 თვე).

VIII. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: თბილისი, ქიქოძის ქ. №3. ტელ.: 98-32-16, 98-32-14, 98-32-47. ვებ-გვერდი: www.lawinstitute.ge

**პასუხისმგებელი პირი**
**ნუნუ ბუღაძე.**

# არშემდგარი ქართული დერბი



ფაჩულია ფარზე ბატონობდა.

შაბათ-კვირას NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი ორი ტური გაიმართა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, შაბათს ატლანტაში გამართული მატჩი იყო, რომელშიც ადგილობრივმა "ქორებმა" სეზონის პირველ საშინაო მატჩში "ნიუ იორკს" უმასპინძლეს.

ჩვენ, ცხადია, გვქონდა იმედი, რომ ამ დღეს ქართული დერბი შედგებოდა, მაგრამ ნიუიორკელთა მწვრთნელმა ნიკა ცქიტიშვილი განაცხადშიც კი არ შეიყვანა და მოედანზე მხოლოდ ერთი ქართველი კალათბურთელი ირჯებოდა.

მატჩი საინტერესო გამოდგა. ფაჩულიას გუნდმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა შეხვედრის მეორე მეოთხედში, რომელიც 11-ქულიანი უპირატესობით მოიგო. რაც შეეხება ზაზას, მან თავის გუნდს 22 ქულა შესძინა, 7-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. მასპინძელთა შორის საუკთესო იყო ჯონსონი, რომლის ანგარიშზე 30 ქულა, 4 მოხსნა და 8 შედეგიანი გადაცემაა.

სტუმართა რიგებში გამოირჩეოდა სტივ ფრენსისი.

"ატლანტა" ჩვენთვის ყოველთვის რთული მეტოქე იყო. ძალიან კარგად თამაშობენ დაცვაში. რაც მთავარია, ფარზე ბრძოლა მოგვიგეს. მიმაჩნია, რომ ამან განაპირობა ჩვენი მარცხი", - განაცხადა მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ისაია ტომასმა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ჯო ჯონსონისა და ზაზა ფაჩულიას კარგი თამაშის წყალობით მოახერხა "ატლანტამ" მეორე მეოთხედში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება.

ატლანტაში განცდილი მარცხის შემდეგ "ნიუ იორკმა" "მედისონ სკვერ გარდენში" "ინდიანას" უმასპინძლა. ცქიტიშვილი არც ამჯერად აღმოჩნდა თავისი გუნდის შემადგენლობაში, ტომასის გუნდმა კი ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია.

**3 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ორლანდო - ფილადელფია | 103:105 |
| ტორონტო - მილუოკი | 109:92 |
| მაიამი - ნიუ ჯერსი | 91:85 |
| მემფისი - შარლოტი | 96: 83 |
| ჩიკაგო - საკრამენტო | 88:89 |
| დენვერი - მინესოტა | 109:112 |
| გოლდენ სტ. - პორტლენდი | 102:89 |
| ინდიანა - ნიუ ორლეანი | 91:100 |
| ბოსტონი - დეტროიტი | 88:101 |
| ატლანტა - ნიუ იორკი | 102:92 |
| სან ანტონიო - კლივლენდი | 81:88 |
| ფენიქსი - იუტა | 104:108 |
| ლეიკერსი - სიეტლი | 116:112 |

**4 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| შარლოტი - კლივლენდი | 92:88 |
| ნიუ იორკი - ინდიანა | 95:109 |
| მილუოკი - საკრამენტო | 104:91 |
| იუტა - გოლდენ სტეიტი | 106:82 |
| კლიპერსი - ფენიქსი | 114:108 |
| ვაშინგტონი - ბოსტონი | 124:117 |
| დეტროიტი - მემფისი | 95:86 |
| ჰიუსტონი - დალასი | 107:76 |
| პორტლენდი - მინესოტა | 88:86 |

# ირაკლი ხუციშვილი: "გულშემატკივარი მეთექვსმეტე მორაგბე უნდა გახდეს"



ესპანეთმა ჩვენი შერკინება ვერ შეაჩერა, პორტუგალიამაც ვერ უნდა შეაჩეროს.

კახა ფაჩუაშვილი

ბორჯღალოსნები გადამწყვეტი შეხვედრებისთვის ემზადებიან. თუ ორი მატჩის ჯამში პორტუგალია დავამარცხეთ, გაისად სექტემბერში საფრანგეთის მსოფლიო თასზე ვიასპარეზებთ. ეს უკვე მეორე მსოფლიო თასი იქნება ქართული ჟინითა და შეუპოვრობით გაჯერებული ბორჯღალოსნებისთვის და, რა თქმა უნდა, დიდი პატივი ჩვენისთანა პატარა, მაგრამ მებრძოლი ქვეყნისთვის.

ცხადია, ქართველი მორაგბეები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ განმეორებითი მატჩის წინ სოლიდური ფორა შეიქმნან და ორი მატჩის ჯამში წარმატებას მიაღწიონ, მაგრამ გულშემატკივრის განსაკუთრებული მხარდაჭერა ჩვენებს ნამდვილად დასჭირდებათ. სწორედ ამიტომ ამბობს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ხუციშვილი, რომ გულშემატკივარი მეთექვსმეტე მორაგბე უნდა გახდეს. როგორ ემზადება ჩვენი გუნდი პორტუგალიასთან მატჩებისთვის და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქართველები ფინალურ ეტაპზე გავლენ, ამის შესახებ გვესაუბრება ირაკლი ხუციშვილი.

**- ბატონო ირაკლი, რა მდგომარეობაა ამჟამად გუნდში? მოიყარა თუ არა თავი ნაკრებმა სრული შემადგენლობით?**

- გუნდი სრული შემადგენლობით სამშაბათს შეიკრიბება და სასტუმრო "ვარაზში" იცხოვრებს. ეს სასტუმრო საკმაოდ მაღალი დონისაა. გვინდა, რომ გუნდი სათანადოდ მოემზადოს გადამწყვეტი შეხვედრებისთვის და საამისოდ ყველაფერს ვიღონებთ. ძალიან გვეხმარებიან ჩვენი სპონსორები: "7-სქაი", საქაერონავიგაცია და "სილქ როუდ ბანკი", რომელიც ახალი შემოსულია საქართველოში და უკვე აქტიურად ჩაერთო ჩვენს ქვეყანაში რაგბის განვითარების საქმეში, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი.

ლეგიონერები პარიზი-თბილისის რეისით ორშაბათ ღამით ჩამოვლენ. ესპანეთთან მატჩისგან განსხვავებით, გუნდს დაემატებიან პალიკო ჯიმშელაძე და გია ლაბაძე. რაც შეეხება ირაკლი მაჩხანელს, მას კუნთი აქვს გაწყვეტილი. კარგი იქნება, თუ გუნდს განმეორებით მატჩში დაეხმარება, რომელიც 25 ნოემბერს ლისაბონში გაიმართება. ნაკრებს სამშაბათიდან ორჯერადი ვარჯიშები ექნება დილის 11 საათზე და საღამოს 5 საათზე.

**- თუ ჩვენი გუნდი საფრანგეთის საგზურს მოიპოვებს, როგორ მოემზადება გუნდი ფინალური ეტაპისთვის?**

- გვაქვს ჩვენი გეგმები, რომლებიც დასრულებულ სახეს პორტუგალიაში მატჩის შემდეგ მიიღებს. მოგეხსენებათ, თებერვალში იწყება ერთა თასის მორიგი გათამაშება. გუნდი ამ ტურნირის ფარგლებში 5 მატჩს გამართავს და ეს მსოფლიო თასისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად განიხილება. ამას გარდა, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ბარბაროსებთან, რომლებიც დაგვპირდნენ, რომ კიდევ გვეწვევიან თბილისში. თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, "ბარბაროსები", სავარაუდოდ, მაის-ივნისში გვესტუმრებიან. პარალელურად, როგორც მსოფლიო თასის მონაწილე გუნდი, რაგბის საერთაშორისო ფედერაციას ვთხოვთ ჩაგვსვას ტესტ-მატჩების კალენდარში და ერთი მეტოქე მაინც გამოგვინახოს. აგვისტოში კი (თითქმის უკვე გადაწყდა) ნაკრები გუნდი საფრანგეთში ერთთვიან შეკრებას გაივლის. შეთანხმების დეტალებზე მოსალაპარაკებლად საფრანგეთში გაემგზავრება ნიკოლოზ ლაზიშვილი. მისი დაბრუნების შემდეგ ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება.

**- კონკრეტულად სად შეიკრიბება გუნდი და ადაპტაციის გარდა რა დატვირთვა ექნება ამ შეკრებას?**

- გუნდი შეიკრიბება მონფერანში. ჯერ პორტუგალიასთან განმეორებითი მატჩის წინ და შემდეგ აგვისტოშიც. ამ გადაწყვეტილებას ობიექტური მიზეზები აქვს. "მონფერანის" ღირსებას ამჟამად გოდერძი შველიძე იცავს. გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და შთამბეჭდავად თამაშობს. "მონფერანს" წვრთნის ახალზელანდიელი სპეციალისტი. სწორედ მისი დამსახურებაა ამ გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებები. ჩვენ შევეხმიანეთ ზელანდიელ სპეციალისტს და ის დაგვეთანხმა, რომ საქართველოს ნაკრებს კონსულტაციას გაუწევს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მონფერანის ბაზაზე მოგვეწყო შეკრება. გვინდა, რომ "მონფერანის" მწვრთნელი მხოლოდ კონსულტაციებით კი არ შემოიფარგლოს, არამედ სერიოზულად იმუშაოს გუნდთან ერთად. ორი თვის განმავლობაში მაინც. ნიკოლოზ ლაზიშვილი საფრანგეთში სწორედ ამ საკითხს მოაგვარებს. თუ ზელანდიელი სპეციალისტი ჩვენთან თანამშრომლობას დათანხმდება, მაშინ საქართველოს ნაკრები აგვისტოში აუცილებლად შეიკრიბება "მონფერანის" ბაზაზე. მანამდე კი ამ ქალაქში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ორი თვით გაემგზავრებიან ნაკრების მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი. მოკლედ, გეგმების ნუსხა მრავალფეროვანია. მაგრამ ჯერ მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე უნდა გავიდეთ.

**- რეალურად, საქართველოს ნაკრები სათამაშო კლასით პორტუგალიას აღემატება. ამიტომ, წესით, გამარჯვება სწორედ ჩვენ უნდა დაგვრჩეს...**

- გეთანხმებით. ჩვენი გუნდი უკეთესი ხარისხის რაგბის თამაშობს, მაგრამ რაგბი სხვადასხვა გარემოებებისგან შედგება. მაგალითად, დიდი მნიშვნელობა აქვს მსაჯთა განწყობას ამა თუ იმ გუნდის მიმართ. ამ მხრივ პორტუგალიას უპირატესობა აქვს. პორტუგალიელებს ჰყავთ საკმაოდ ძლიერი ლობი ირბ-ში, რომელსაც, ბუნებრივია, სურს თავისი გუნდი მსოფლიო თასზე იხილოს და ამისთვის ყველაფერს იღონებს. თბილისურ მატჩში იმსაჯებს იტალიელი დამასკო, რაც ჩვენ მაინცდამაინც გულზე არ გვეხატება. დამასკომ საქართველოს ნაკრების ორ შეხვედრაში იმსაჯა და ორივე წავაგეთ. მათ შორის პორტუგალიაში შარშანდელი მატჩიც.

**- კი მაგრამ, თუ პორტუგალიელები ახერხებენ ირბ-ში ლობირებას, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია იგივე გავაკეთოთ და, ვთქვათ, ჩვენთვის არასასურველი მსაჯი შევცვალოთ, როგორც პორტუგალიასთან მატჩის წინ მოვახერხეთ და 40:0 მოვიგეთ?**

- ამის თაობაზე მივმართეთ ირბ-ის 2007 წლის მსოფლიო თასის დირექტორ კიტ მაკონელს და მსოფლიო თასის გათამაშების მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელს ო`ბრაიანს. წერილში ავუხსენით, რომ იტალიელი მსაჯი ტენდენციური იყო გარკვეულ შემთხვევებში და ვითხოვდით მის შეცვლას, მაგრამ პასუხი ასეთი მოგვივიდა: მსაჯი საქართველო - პორტუგალიის მატჩზე დანიშნა ირბ-ს მიუკერძოებელმა კომისიამ და მათ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

**- მოკლედ, პორტუგალიელებს სურთ ამ დამასკოს შეწევნით თბილისში 40:0 არ წააგონ, რომ განმეორებითი მატჩის წინ შანსი დაიტოვონ?**

- დაახლოებით ეგრეა, მაგრამ მსაჯი ხელაღებით ტენდენციური ვერ იქნება. საჩოთირო მომენტებში კი შეიძლება მეტოქეს წაეხმაროს. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ და, რომ იტყვიან, მეტოქეს, თუ დაგვჭირდება, მსაჯიანად უნდა მოვუგოთ. სწორედ ამიტომ ვამბობ: მაყურებელი მეთექვსმეტე მორაგბე უნდა გახდეს.




ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

# "დინამო" ისევ ჩაეშვა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური ორი ცენტრალური დაპირისპირებით აღინიშნა. მცხეთაში, "არმაზის" სტადიონზე, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ "ვიტ ჯორჯია" და "დინამო", ხოლო ზესტაფონში ადგილობრივმა "ზესტაფონმა" ბოლნისის "სიონს" უმასპინძლა.

"ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" მატჩი ჩვენს სპორტულ მედიაში კარგა ხანია "ქართულ სუპერკლასიკოდ" მოიხსენიება. მართალია, ამ მეტოქეობას სპორტული ოსტატობის თვალსაზრისით "რეალი" - "ბარსელონამდე" ბევრი უკლია და ნამდვილი "სუპერკლასიკოს" პაროდიადაც არ გამოდგება, მაგრამ ჩვენებურ "სუპერკლასიკოსაც" აქვს თავისი ეშხი. ყოველ შემთხვევაში, "ვიტ ჯორჯია" - "დინამოს" მატჩები დაძაბულობის ხარისხით და უკომპრომისობით საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული სანახაობაა.

ამჯერად ვითარებას ისიც ძაბავდა, რომ ტრადიციულ დაპირისპირებას პრინციპული სატურნირო ქიშპობაც დაერთო თან. მეთერთმეტე ტურამდე ორივე გუნდს 21-21 ქულა ჰქონდა დაგროვილი და მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი საგრძნობლად გაიუმჯობესებდა სატურნირო ვითარებას და უშუალო კონკურენტს მნიშვნელოვან ქულებს დააკარგვინებდა.

მატჩი ტრადიციული სცენარით წარიმართა და "ვიტ ჯორჯიამ", უკვე მერამდენედ, დაადასტურა, რომ "დინამოსთვის" უხერხული მეტოქეა. ანგარიში მე-9 წუთზე დათუნაიშვილმა გახსნა, ხოლო 33-ე წუთზე მელქაძემ მეორედ დალაშქრა სტუმართა კარი. შესვენებაზე "ვიტ ჯორჯია" ორბურთიანი უპირატესობით გავიდა. მეორე ნახევარში "დინამო" ბევრს ეცადა, მაგრამ ერთი საპასუხო გოლის გატანის მეტი ვერაფერი შეძლო. ეს მატჩის მიწურულს, 79-ე წუთზე, ხმალაძის დარტყმის შემდეგ მოხდა. საბოლოოდ "ვიტ ჯორჯიამ" გაიმარჯვა 2:1.

ზესტაფონში თემურ მახარაძის შეგირდებმა თამაშის დებიუტშივე ნამდვილი კოშმარი მოუწყვეს საქართველოს ჩემპიონს. მასპინძლებმა ბოლნისელებს პირველ ოც წუთში სამი გოლი გაუტანეს. შედეგიანი დარტყმები მიითვალეს საჯაიამ, კვასხვაძემ და იონანიძემ. მასპინძლებმა თამაში მათთვის ხელსაყრელ, დუნე კალაპოტში გადაფაიყვანეს და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

რაც შეეხება ლიდერებს, მათ მორიგი გამარჯვებები მიითვალეს. "ამერმა" "მერანს" სძლია, ხოლო "ოლიმპმა" "დილაზე" იყარა წინა ტურში "დინამოსთან" განცდილი მარცხისთვის ჯავრი.

**მეთერთმეტე ტური**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია - დინამო | 2:1 |
| ზესტაფონი - სიონი | 3:0 |
| ამერი - მერანი | 4:0 |
| კახეთი - ბორჯომი | 0:2 |
| ოლიმპი - დილა | 5:1 |
| ლოკომოტივი - ტორპედო | 0:3 |
| ჩიხურა - დინამო (ბთ) | 1:0 |

# შავი ამერიკის შვილმა ამერიკას ოცნება აუხდინა

*ამერიკელებს ძალზე აღიზიანებთ ის, რომ მძიმეწონოსანთა ეშელონის სათავეში ყოფილი სსრკ-ს წარმომადგენლები გაბატონდნენ. ფაქტობრივად, ყველა აფროამერიკელი, ვინც ყოფილი საბჭოელის წინაშე წარდგა, "შავი ამერიკის უკანასკნელ იმედად" შეირაცხა. მათ შორის შენონ ბრიგსიც, რომელიც გუშინ, გამთენიისას, მემფისის გაბრდღვიალებულ რინგზე ბელორუს სერგეი ლიახოვიჩს კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) საჩემპიონო ქამარში შეეცილა. კრივის გულშემატკივარი განსაკუთრებულსა და სენსაციურს არაფერს ელოდა. 34 წლის ბრუკლინის მკვიდრმა ორგანიზაციის ჩემპიონი მე-12 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და ამერიკა ოცნებასთან მიიყვანა.*

ბიბა გურასაშვილი

ორთაბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე ბრიგსს ჰკითხეს: ლიახოვიჩთან ჩხუბის შემდეგ გამარჯვების ნიშნად თუ ხელი აგიწიეს, პირველად რას გაიფიქრებო. ბრიგსმა უპასუხა: "როგორც იქნა". აი, ამას გავიფიქრებ, მერე კი საჩემპიონო ქამრების გაერთიანებაზე ვიზრუნებო".

როგორც იქნა, მძიმეწონოსანთა ძირითადი ფედერაციის - WBC (საბჭო), IBF (ფედერაცია), WBA (ასოციაცია), WBO (ორგანიზაცია) ერთ-ერთ მწვერვალზე ამერიკელიც მოკალათდა.

გონგის ხმა გაისმა თუ არა, აფროამერიკელი მეტოქეს ეკვეთა და თოკებთან მიაჯაჭვა, თუმცა დროებით. ლიახოვიჩი ბრიგსის მუშტებს დაუსხლტა. ამის მერე ყველაფერი ძალზე დუნედ წარიმართა. აშკარა იყო: არც ერთი მათგანი მოვლენებს არ აჩქარებდა. მოკრივეთა უმოქმედობით გაღიზიანებული აუდიტორია დროდადრო გაჰყვიროდა - აქ ერთმანეთის მოსაფერებლად ხართ მოსული თუ საჩხუბრადო. უკმაყოფილება პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა. სიტუაციაზე ალბათ იმანაც იქონია გავლენა, რომ მძიმეწონოსანთა საჩემპიონო ორთაბრძოლა ცოცხლად პირველად იხილეს არიზონელებმა.

...ამერიკელსა და ბელორუსს ერთმანეთის ტაქტიკა გადალეჭილი ჰქონდათ. ბელორუსმა იცოდა, რომ მეტოქე თავიდანვე ეკვეთებოდა, ამერიკელმა კი - ის, რომ ლიახოვიჩის მსგავს მოკრივესთან ძალების დაზოგვა იყო საჭირო, რაც მომდევნო რაუნდებში გახდა თვალში საცემი.

ბრიგსის ტაქტიკამ აშაკარად გაამართლა. დასკვნით რაუნდში პრეტენდენტი არცთუ დაღლილი ჩანდა. არადა, მე-12 რაუნდის დაწყებამდე სამივე მსაჯის დათვლით ჩემპიონთან ქულებით აგებდა - 104-105 და ორჯერ 103-106.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ორთაბრძოლის დასრულებამდე 27 წამით ადრე ლიახოვიჩი ნოკდაუნში აღმოჩნდა. წამოდგა, მაგრამ ბრიგსმა მოსვენება არ მისცა და უკვე გატეხილ ჩემპიონს სამჯერ უთავაზა. ის იყო, მეოთხედაც მოუღერა მუშტი, რომ წონასწორობადაკარგული ბელორუსი რინგიდან გადავარდა, ორთაბრძოლა შეწყდა და რეფერიმ ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვებულად შენონ ბრიგსი (48 გამარჯვება, აქედან 41 ნოკაუტით, 4 წაგება და ერთიც ფრე) გამოაცხადა. ბელორუსი სულის მოსათქმელად რინგს მიღმა სავარძელში ჩაესვენა, არენას კი რამდენიმე წუთის შემდეგ დაუბრუნდა.

"ეტყობა, ძალზე ადრე დავიჯერე გამარჯვება და მოვდუნდი. მეტოქემ დამიჭირა და უძლიერესი დარტყმა მომაყენა", - ორთაბრძოლის შემდეგ აცხადებდა ტიტულდაკარგული ლიახოვიჩი (23 გამარჯვება, აქედან 14 ნოკაუტით და 2 წაგება).

აღდგება თუ არა სტატუს კვო, ამას მომავალი გვიჩვენებს. საქმე ისაა, რომ ახლად გამომცხვარ ჩემპიონს ტიტულის დაცვა მოუწევს რუს სულთან იბრაგიმოვთან. ყოველ შემთხვევაში, კრივის მსოფლიო ორგანიზაციის მამებმა თქვეს, იბრაგიმოვს დღემდე არც ერთი ჩხუბი არ წაუგია და ამიტომ სატიტულო ორთაბრძოლის პრეტენდენტად მას ვხედავთო.

"მართალი გითხრათ, ნოკაუტისას არაქათი მქონდა გამოცლილი. ლიახოვიჩმა იცოდა ჩემი ტაქტიკის შესახებ და ელოდა, როდის გამომეცლებოდა ძალ-ღონე. ამიტომ ძალებს ვზოგავდი. პირობა დავდე, ამერიკას ჩემპიონის სარტყელს დავუბრუნებ-მეთქი, რაც ავასრულე კიდეც", - აცხადებდა შენონ ბრიგსი, რომელსაც 1998 წლის შემდეგ საჩემპიონო ორთაბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ კი ბრიტანელ ლეონოქს ლუისთან დამარცხდა.

და კიდევ: ლას ვეგასში შედგა ორთაბრძოლა, რომელსაც მეტი ინტერესით ელოდნენ ამერიკაში, ვიდრე ეს ლიახოვიჩი VS ბრიგსის შემთხვევაში იყო.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე, ამერიკელი ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი ნახევრად საშუალო წონის WBC-ს საჩემპიონო ქამრისთვის არგენტინელ კარლოს ბალდომირს შეერკინა. სამხრეთ და ჩრდილოამერიკელის დაპირისპირება თავიდანვე ისე წარიმართა, რომ მეივეზერის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ფლოიდი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე, რაც მსაჯთა დათვლებშიც აისახა - 120-108 და ორჯერ 118-110 მეივეზერ-უმცროსის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, ჩრდილოამერიკელმა საბჭოს ქამარი დაისაკუთრა და ამისთვის ჰონორარის სახით რვა მილიონი დოლარი ჩაიბიჯა. არგენტინელს კი 1,6 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

ბრიტანული ენის დარბაზი
გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.

■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)

■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**

ჩვენ მივდივართ დროს!

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**ულტრათანამედროვე
სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს
ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.

■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.

■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.

■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.

■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.

■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.

■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.

■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.

■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.

■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.

■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.

■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.

■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში

■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.

■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.

■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## რუსები ჩინურ ავიაბაზარზე დამკვიდრებას ცდილობენ

B4

### კავკასიის რეგიონში ამერიკულ დოლარებს ამზადებენ

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახური, რუსეთის, საქართველოსა და ისრაელის სპეცსამსახურებთან ერთად, ყალბი ამერიკული დოლარების გამოშვების საქმის გამოძიებას შეუდგა. გამოძიება ყალბი ვალუტის კვალმა ამჯერად კავკასიამდე მიიყვანა.

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლების აზრით, "ეჭვი იმის შესახებ, რომ 21558-სერიის ყალბი ამერიკული ბანკნოტები კავკასიის რეგიონში მზადდება, საფუძველს მოკლებული არ არის." დანაშაულებრივ საქმიანობაში, სავარაუდოდ, "ისრაელის მიერ ეჭვმიტანილად ცნობილი რუსეთი და საქართველო მონაწილეობენ."

პირველად, უმაღლესი ხარისხის ყალბი ამერიკული ბანკნოტები იერუსალიმში 1999 წლის მარტში აღმოაჩინეს. მას შემდეგ მთელ მსოფლიოში 23 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის ყალბი ბანკნოტები იქნა გამოვლენილი.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ბრუნვაში 750 მილიარდი დოლარია გაშვებული. აქედან დაახლოებით 450 მილიარდი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის გარეთ მოძრაობს, დაახლოებით 70 მილიონი დოლარი კი ყალბია. უფრო კონკრეტულად, ყოველი ათი ათასი ამერიკული ბანკნოტიდან ერთი ყალბია.

ამჟამად, ყალბი დოლარების დამზადების მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზე კოლუმბია და ჩრდილოეთ კორეაა. გასული წლის მონაცემებით, კოლუმბიაზე ყალბი ამერიკული ვალუტის 15 პროცენტი მოდიოდა.



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3436 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9877 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4725 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7355 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8103 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1334 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3033 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2155 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4167 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3338 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1818 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1482 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3103 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1885 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2576 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4045 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5320 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1497 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4064 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3178 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2690 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5733 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6296 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1124 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4552 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5115 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4081 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4383 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8512 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0031 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1357 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4450 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2414 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3933 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0788 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2205 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |




## საქმიანი და პოლიტიკური გაერთიანებები

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

### ახალი სუპერგაერთიანება?

*საწვავის ბაზარზე შექმნილი ვითარება, ერთი შეხედვით, ნავთობგიგანტებს დიდი მოგების მეტს არაფერს ჰპირდება. ბარელი "შავი ოქროს" ფასი 55 დოლარზე დაბლა არ ჩამოდის. წელს იყო პერიოდი, როცა ეს მაჩვენებელი 70 დოლარსაც ასცდა, რასაც ნავთობკომპანიებისათვის საარაკო მოგება უნდა მოეტანა. არც ისე დიდი ხანია, რაც ფასი 60 დოლარზე დაბლა დაეცა. მაგრამ ყველამ კარგად იცის - საკმარისია ახლო აღმოსავლეთში ვითარება გამწვავდეს, რომ ნავთობი ისევ გაძვირდება.*
*ტრანსნაციონალური კომპანიების წარმადობა წამყვანი სანავთობო ქვეყნების წარმადობას სჭარბობს. მაგალითად, "ექსონი" და "ბრიტიშ პეტროლიუმი" უფრო მეტ საწვავს მოიპოვებენ, ვიდრე კუვეიტი და ერაყი. "ბრიტიშ პეტროლიუმი" და "შელი" კი უფრო მეტ გაზს მოიპოვებენ, ვიდრე ირანი და საუდის არაბეთი ერთად.*

- ■ აფრიკა ჩინეთის ფრთის ქვეშ
- ■ ლუკაშენკოს უპერსპექტივო ენერგოალტერნატივა



B3

## თბილისი, როგორც კავკასიის პარიზი

### "ჯი-არ-დი-სი"-ს კინოქალაქი დსთ-ს სივრცეში უალტერნატივოა

ნინო ნატროშვილი

*კინოქალაქის პროექტის გენგეგმის ორი ვარიანტი უკვე მზად არის. ქართული ვარიანტი ჯი-არ-დი-სის შვილობილმა კომპანიამ "არქიტექტორები გე"-მ მოამზადა, ხოლო მეორე - ჰოლანდიურმა კომპანიამ "One Architecture"-მ. ამ კომპანიის წარმომადგენელი მატიას ბოუვი თბილისს სტუმრობდა. მას მსგავსი პროექტები განხორციელებული აქვს გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში. "24 საათი" მას ჯი-არ-დი-სის ოფისში ვიზიტისას ესაუბრა.*





B4

## ჯიმ როჯერსი: ევრო 20 წელიწადზე მეტს ვერ გაძლებს

ამბროსი გრიშიკაშვილი
კრაკოვიდან

*ჯიმ როჯერსის პროგნოზებს ექსპერტები და ინვესტორები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს. აქვთ კიდეც ამის საფუძველი: იგი მთელ მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი ინვესტორია. მან, ჯორჯ სოროსთან ერთად, 1969 წელს "Quantum Pund"-ი დააარსა, რომელიც მდიდარი ამერიკელების ფინანსებს მთელ მსოფლიოში წარმატებით აბანდებს. "Quantum"-მა განსაკუთრებით დიდი ფული გააკეთა 1970-იანი წლების ბოლოს, სავალუტო კრიზისის დროს. 1998 წელს როჯერსმა შექმნა ნედლეულის საერთაშორისო ინდექსი, რომლის მოგებამაც დღემდე 250 პროცენტი შეადგინა.*



ცხადია, ასეთი ადამიანის შეხედულებას ვალუტის ბედის შესახებ დიდი წონა აქვს, მით უმეტეს, რომ ასეთ განცხადებას გარკვეული საფუძველიც გააჩნია.

როგორც როჯერსი აცხადებს, ევროზონის ქვეყნები არაფრად დაგიდევენ მათ მიერვე მიღებული კანონების დაცვას, რომლებმაც ზონის საქმიანობა უნდა დაარეგულიროს. "მართალია, ჩემს საფინანსო პორტფელში ჯერჯერობით ევროსთვისაც მოიძებნა ადგილი, მაგრამ არა მგონია, ამ ვალუტამ 15, ყველაზე მეტი, 20 წელიწადი კიდევ იარსებოს," - განაცხადა სეულში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ინვესტორმა.

მისი აზრით, ევროზონის წევრი ქვეყნები არღვევენ მაასტრიხტის ხელშეკრულებას, რომელიც ამ საერთო ვალუტის შემოღებას დაედო საფუძვლად. "ყოველი ქვეყანა თავის ნებაზე ცვლის მას ან საერთოდ უგულებელყოფს მის მოთხოვნებს," - აცხადებს როჯერსი.

ძნელია, არ დაეთანხმო. მაგალითად, 2005 წელს ევროზონის წევრი ქვეყნების ერთ მესამედს გაცილებით მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი ჰქონდა, ვიდრე ამას მაასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს, ანუ მშპ-ს 3 პროცენტზე მეტი. ზონის ყველაზე დიდ ქვეყანას - გერმანიას აღნიშნული კრიტერიუმი 2002 წლის შემდეგ ერთხელაც არ დაუცავს (როგორც ცოტა ხნის წინ ამ ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, 2007 წლის ბიუჯეტი, პირველად ბოლო 5 წლის მანძილზე, ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით შედგა).

თითქმის ანალოგიურ სიტუაციაა საფრანგეთშიც.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა იტალიაში. ბრიტანეთის ევროპული რეფორმების სამეცნიერო ცენტრის პროგნოზების თანახმად, ამ ქვეყანას შეიძლება ევროზონის დატოვებაც კი მოუწიოს.

## ბიუჯეტიდან ჯანდაცვის სფეროზე გაწეულმა ხარჯმა 600,2 მლნ ლარი შეადგინა

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროზე გაწეულმა ხარჯმა 600,2 მლნ ლარი შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ათი თვის განმავლობაში საპენსიო უზრუნველყოფისათვის დაიხარჯა 336,1 მლნ. ლარი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის - 91,4 მლნ. ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციაისათვის - 37,6 მლნ. ლარი.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დასახმარებლად - 8,9 მლნ. ლარი.

ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაციისათვის - 11,9 მლნ. ლარი; სოციალური დახმარების პროგრამისთვის - 15,1 მლნ. ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტებსათვის - 18,2 მლნ. ლარი; სხვა ხარჯები - 81 მლნ. ლარი.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი 2 905,7 მლნ ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## წელს საგზაო ინფრასტრუქტურას 140,2 მლნ ლარი მოხმარდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 140,2 მლნ ლარი დაიხარჯა. აქედან გზების შეკეთებასა და რეაბილიტაციას 72,5 მლნ. ლარი მოხმარდა.

როგორც ფინანსთა სამინისტროდან გვაცნობეს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაზე 37,9 მლნ. ლარი დაიხარჯა.

საგზაო ინფრასტრუქტურის ხარჯებში შევიდა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე დახარჯული თანხა, რომელმაც 10,4 მლნ. ლარი, სხვა ხარჯების ოდენობამ კი 19,4 მლნ. ლარი შეადგინა.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი 2 905,7 მლნ ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქონლის იმპორტის მოცულობა გაზრდილია

2006 წლის განვლილი 6 თვის მონაცემების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ შეინიშნება საქონლის იმპორტის ზრდის ტენდენცია ექსპორტთან შედარებით.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, გასული წლის I ნახევართან შედარებით, საქონლის იმპორტის მოცულობა 50,1 პროცენტით გაიზარდა.

იმპორტის სერიოზული მატება გამოიკვეთა II კვარტალში, როდესაც მან, 2005 წლის II კვარტალთან შედარებით, 58 პროცენტით, ხოლო 2006 წლის I კვარტალთან შედარებით 29 პროცენტით მოიმატა.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ასეთი ვითარება, ერთი მხრივ, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასების ზრდამ, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ბუნებრივი აირის გაძვირებამ განაპირობა.

მარტო ამ ორი სახეობის წილად იმპორტის მთლიანი მატების 1/5-ზე მეტი მოდის, თუმცა, მნიშვნელოვნად გაიზარდა არაერთი ისეთი საქონლის მოცულობა, როგორიცაა: მსუბუქი ავტომობილები; ხორბალი (2,1 ჯერ); გადამცემი რადიო, ტელეაპარატურა და მანქანები მონაცემთა ავტომატური დამუშავებისათვის (1,8-ჯერ).

იმპორტის ასეთი ზრდა მნიშვნელოვანწილად საბაჟო პროცედურების გამარტივებასაც უკავშირდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი გაუარესდა

ქართულ პროდუქციაზე რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ უარყოფითი გავლენა მოახდინა ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობაზე.

სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, 2006 წლის ექვსი თვის განმავლობაში, სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი გაუარესებულია და მისმა დეფიციტმა 28 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ასევე დეფიციტური იყო სამშენებლო სადაზღვევო, ფინანსური და ზოგიერთი სხვა სახის საქმიანი მომსახურების ბალანსებიც, რომელთა მიხედვითაც საერთო დეფიციტმა დაახლოებით 30 მილიონი დოლარს მიაღწია.

თუმცა, მომსახურების საერთო ბალანსის მდგომარეობაზე უპირატესი გავლენა იმ დადებითმა ტენდენციებმა მოახდინა, რაც მილსადენის ტრანსპორტირებისა და ტურიზმის სფეროში მოხდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მილსადენი ტრანსპორტიდან მიღებული შემოსავლები იზრდება

ნავთობსადენის ამოქმედებისა და მისი სათანადო დატვირთვის კვალობაზე იკვეთება მილსადენი ტრანსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტენდენცია.

სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, 2006 წლის ექვს თვეში ნავთობის გადაზიდვით მიღებული შემოსავლები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 38,8 პროცენტით გაიზარდა და 26 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ეს მაჩვენებელი მომსახურების ექსპორტთა შემოსავლების 5 პროცენტს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## 2006 წლის 6 თვეში საქართველოში 234,2 ათასი უცხოელი შემოვიდა

ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის, ასევე, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მიმოსვლის პროცედურების ლიბერალიზაციის ფონზე, გამოიკვეთა საქმიანი და პირადი ტურიზმის მასშტაბების ზრდა.

2006 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოში შემოსული უცხოელების რაოდენობამ 234,2 ათასი შეადგინა.

ეს მონაცემი 84,3 ათასით, ანუ 40,2 პროცენტით აჭარბებს გასული წლის ანალოგიურ პერიოდში საქართველოში უცხოელთა ვიზიტის რაოდენობას.

განვლილ ნახევარ წელიწადში 47,6 პროცენტით გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში გასვლების რაოდენობა და 521,2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, ტურისტული მომსახურების დადებითმა სალდომ 126,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# თბილისი, როგორც კავკასიის პარიზი

პირველი გვერდიდან

**- რამ განაპირობა თქვენი "ჯი-არ-დი-სის" პროექტით დაინტერესება?**

- საქართველოს შესახებ პირველად ჩემი მეგობარი გოგონასაგან შევიტყვე, ის ისრაელში ცხოვრობს და ფანატიკურად უყვარს ქართული სამზარეულო. შესაბამისად, როცა თელ-ავივში ჩავდივარ, ქართულ რესტორანს ვსტუმრობთ. პირველი შთაბეჭდილება საქართველოს შესახებ სწორედ ამ ქვეყნის სამზარეულოს კერძების დაგემოვნების შემდეგ შემექმნა. ამიტომ, როცა მამუკა ხაზარაძის კომპანიამ თანამშრომლობა შემომთავაზა, დიდხანს არ მიფიქრია.

**- რითია მნიშვნელოვანი და საინტერესო კინოქალაქის პროექტი?**

- ეს პროექტი 65 მილიონი დოლარი ღირს. თანაც, ჯი-არ-დი-სი მზარდი და მომავალზე ორიენტირებული კომპანიაა. მამუკა ხაზარაძეს და მის პარტნიორს ბობ მეიერს განსაკუთრებული და დახვეწილი ხედვა აქვთ. თბილისი ვითარდება, იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა. და ჯი-არ-დი-სს თავისი წვლილი შეაქვს დედაქალაქის გალამაზებაში. საჭიროა შეიქმნას სწორი ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება კინოქალაქს, მიმაჩნია, რომ ეს უნიკალური პროექტია. ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე აშენდება პავილიონი, ექვსი კინოდარბაზი და მიუზიკჰოლი. ეს იქნება ადგილი, სადაც ადამიანები საღამოს დაისვენებენ და დროს გაატარებენ. ამის გარდა, გაჩნდა იდეა - კინოქალაქის ტერიტორიაზე ისეთი გარემო შეიქმნას, რომ დროის გატარების საშუალება ყველა ასაკის ადამიანს ჰქონდეს.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული კინოქალაქისთვის ტერიტორია?**



- ამ ტერიტორიას კარგი მდებარეობა აქვს. ალმაშენებლის გამზირი - ეს ერთ-ერთი ცენტრალური და ყველაზე ლამაზი ქუჩაა თბილისში, ისედაც ხალხმრავალი ადგილია და გასართობი ცენტრის მშენებლობის იდეა საკმაოდ მომგებიანია. აქ განიერი ტროტუარებია, არის ბევრი სივრცე, დაიდგმება სკამები, სადაც ხალხი დაისვენებს. ამ ქუჩაზე ძველი შენობებია, რომელსაც რესტავრაცია სჭირდება. იმედი მაქვს, კინოქალაქი თბილისის ერთიან სივრცეში აღიქმება. ქალაქში არის ღამის კლუბები, მაღაზიები, რომლებიც გაფანტულია. ამ პროექტის თანახმად კი ყველაფერი შეიკვრება. კინოქალაქი ერთდროულად კულტურული და საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის იქნება. კინოქალაქის კონცეფციის თანახმად, ეს არ იქნება იზოლირებული კუნძული, არამედ ეს იქნება საზოგადოების თავშეყრის ადგილი. ამისთვის საჭიროა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ გარემო, სადაც საზოგადოება დროს სასიამოვნოდ გაატარებს.

**- კიდევ რას შესთავაზებს კინოქალაქის ადმინისტრაცია საზოგადოებას?**

- კინოქალაქში იქნება სამუშაო კინოსტუდიები, ცოცხალი გარემო. არ იქნება პარკინგის პრობლემა, შენარჩუნდება სიმწვანე. ეს ქუჩა დაიხვეწება და განვითარდება. კინოქალაქის და სადგურის შუაში მდებარე ეს ნაწილი დაიხვეწება და განვითარდება. კინოქალაქის გენგეგმაში გათვალისწინებულია სამი მთავარი ელემენტი. პირველი, ეს არ იქნება ცალკე კუნძული; მეორე, კინოქალაქი არ იქნება მხოლოდ კომერციული დანიშნულების, აქ მივა ყველა ასაკის ადამიანი და დაისვენებს; და მესამე, საზოგადოების ყველა წევრი იპოვის აქ იმას, რასაც ეძებს. საგულისხმოა, რომ კინოქალაქის მსგავსი პროექტი დსთ-ს სივრცის არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა.

**- რა შთაბეჭდილებებით მიდიხართ თბილისიდან და როგორ შეაფასებთ მის არქიტექტურას?**

- თბილისი ყოველთვის კოსმოპოლიტური ქალაქი და კულტურის ცენტრი იყო, სადაც გახსნილი საზოგადოება ცხოვრობდა, რადგან აქ ერთად არის სინაგოგა, მეჩეთი და ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია. ვიცი, რომ თქვენს ქალაქს ძველად კავკასიის პარიზს უწოდებდნენ. არქიტექტურის თვალსაზრისით თბილისში მომეწონა საგზაო დეპარტამენტის შენობა. როგორც ჩანს, კომუნიზმის ეპოქაშიც იქმნებოდა არქიტექტურის შედევრები. რაც შეეხება ხარვეზებს, თბილისში ლოკალური მშენებლობა მიმდინარეობს. სამწუხაროა, რომ სამშენებლო კომპანიები დაგეგმარებისას არ ითვალისწინებენ გარემოს და მათ მიერ აშენებული შენობები გარიყულ კუნძულებს ჰგავს.

# ქანდაკებას, რომელიც მსოფლიოს ანათებს, 120 წელი შეუსრულდა

28 ოქტომბერს 120 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ნიუ იორკის ნავმისადგომის მახლობლად, თავისუფლების ქანდაკება აღიმართა, ქანდაკება, რომელიც ფრანგმა ხალხმა ამერიკას აჩუქა. ქანდაკების ნამდვილი სახელია "თავისუფლება, რომელიც მსოფლიოს ანათებს". ათწლეულების განმავლობაში, სხვა გამორჩეულ ნაგებობათა მსგავსად, ის ამერიკის შეერთებული შტატების სიმბოლოდ იქცა.

ჰოლივუდის ფილმებშიც, როცა რეჟისორებს ამერიკის და მთლიანად მსოფლიოს კატასტროფის გამოხატვა სურთ, ამას თავისუფლების ქანდაკების "მეშვეობით" აკეთებენ. ასეა, როცა ქანდაკება მხრებამდე წყლით, ან ყინულითაა დაფარული, ან როცა ნიუ იორკის ნაპირზე ფილმის მთავარი გმირი ქანდაკების თავს და ჩირაღდნიან მკლავს პოულობს. ბევრ ამერიკელზე და საერთოდ, ფილმის მნახველზე, ასეთი კადრები ძლიერ შთაბეჭდილებას (დამთრგუნავს) ახდენს.

იყო დრო, როცა საფრანგეთმა დიდი როლი შეასრულა აშშ-ის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ფრანგი გენერალი ლაფაიეტი კი ახლაც აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გმირია, რომლის სახელსაც ქვეყნის უამრავი ქუჩა, მოედანი, სკვერი თუ სხვა ადგილი ატარებს. ლაფაიეტის სახელობისაა ის ბაღიც, რომელიც თეთრი სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს.

ძველი დრო წარსულს ჩაბარდა, ახლა კი ფრანგებსა და ამერიკელებს შორის მეგობრობა ადვილად შესამჩნევმა მეტოქეობამ შეცვალა. საქმე კურიოზებამდეც კი მივიდა. მაგალითად, აშშ-ის კონგრესმა ბევრი რესტორნის მენიუში შემავალ კერძს "შემწვარი კარტოფილი ფრანგულად", სახელი "თავისუფლების კარტოფილით" შეუცვალა. სხვათა შორის, კონგრესმა თავისი გადაწყვეტილება ახლახანს შეცვალა, რაზეც ბევრი ხუმრობს კიდეც - თუ საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში ნიკოლა სარკოზი გაიმარჯვებს, მაშინ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაც ასევე გაუმჯობესდებაო.



ფრანგებს ამერიკელებისთვის თავისუფლების ქანდაკების ჩუქება აშშ-ის მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებიდან ასი წლისთავზე სურდათ. მაგრამ მათ ძალიან გაუჭიანურდათ ქანდაკების ასაგებად საჭირო თანხის შეგროვება, რის გამოც, საჩუქარმა ათი წელი დაიგვიანა.

ქანდაკებისთვის კვარცხლბეკის ასაგებად ამერიკელებმაც შემოწირულობათა შეგროვება გადაწყვიტეს - დიდი საქმე საერთო გარჯით უნდა გაკეთებულიყო. მათ დაიწყეს თეატრალური წარმოდგენების, ფესტივალების, საკრივო შეხვედრების ჩატარება, რომლებიდან შემოსულ თანხასაც თავისუფლების ქანდაკების ფონდში რიცხავდნენ.

შემდეგ საქმეში ნიუ იორკის საკანონმდებლო ხელისუფლებაც ჩაერთო, რომელიც მზად იყო, ქანდაკებისთვის 50 ათასი დოლარი გაეღო, მაგრამ შტატის გუბერნატორმა გროვერ კლივლენდმა ეს ინიციატივა დაბლოკა. გავიდა ცოტა ხანი და კლივლენდი აშშ-ის პრეზიდენტი გახდა. და, ბედის ირონიით, სწორედ მას ერგო თავისუფლების ქანდაკების გახსნის პატივი. ეს კი 1886 წლის 28 ოქტომბერს მოხდა.

თავისუფლების ქანდაკების სკულპტორია ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდი. მისი კარკასის კონსტრუქცია კი ალექსანდერ გუსტავ ეიფელის მიერაა შექმნილი. თავიდან ქანდაკება იმ მოედანზე ააგეს, სადაც ახლა ეიფელის კოშკი მდებარეობს. შემდეგ ის 350 ნაწილად დაშალეს და ფრანგული ფრეგატით გააგზავნეს ოკეანის მეორე მხარეს. ქანდაკების თავიდან აგებას ოთხი თვე დასჭირდა.

ქანდაკება ნორვეგიული სპილენძითაა შექმნილი. მისი მზიდი კარკასი კი ფოლადისაა. მოგვიანებით, ეიფელმა მისივე სახელის მატარებელი კოშკი ააგო, რაც პარიზის სიმბოლოდ იქცა. სხვათა შორის, ამ კოშკის აგებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, თუმცა როგორლაც ჩანაფიქრის განხორციელება მაინც მოხერხდა. თანაც, ეიფელის კოშკის წინ, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ამერიკაში გამგზავრებამდე, თავისუფლების ქანდაკება პირველად ააგეს, მისი მომცრო ასლიც დაიდგა.

თავისუფლების ქანდაკების შიგნით ხვეული კიბეა მოთავსებული, რომლითაც ტურისტებს ქანდაკების ზედა ნაწილში ასვლა და იქიდან ნიუ იორკის ხედით ტკბობა შეუძლიათ. ქანდაკების თავის ნაწილში, იქ სადაც გვირგვინი მდებარეობს, 25 სარკმელია ამოჭრილი, საიდანაც შესაძლებელია გადმოხედვა. ამ 120 წლის განმავლობაში იქიდან მხოლოდ ერთი ადამიანი, ვინმე რალფ გლისონი გადმოვარდა (1929 წლის 13 მაისს).

თავისუფლების ქანდაკება ტურისტებისთვის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაიხურა. მოგვიანებით, ტურისტებისთვის მხოლოდ ათსართულიანი სახლის სიმაღლის მქონე კვარცხლბეკი გაიხსნა, მაგრამ ქანდაკების ზედა ნაწილი კვლავაც დახურულია და არავინ იცის, იქიდან კიდევ როდის გადმოიხედავენ ტურისტები...

## ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფის შესანარჩუნებლად 107,7 მლნ ლარი დაიხარჯა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკის სამინისტროზე გაწეულმა ხარჯმა 178,5 მლნ. ლარი შეადგინა. სამინისტროს მონაცემებით, ენერგეტიკის სამინისტრომ ყველაზე დიდი ხარჯი - 107,7 მლნ ლარი, ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფისა და ტარიფის შენარჩუნების მიზნით ჩატარებულ სამუშაოებზე გასწია. დანახარჯის დანარჩენი ნაწილი კი შემდეგნარად გადანაწილდა: სარეაბილიტაციო ღონისძიებები- 50,1 მლნ. ლარი, საინვესტიციო პროექტები - 13,0 მლნ. ლარი; სხვა ხარჯები - 7,7 მლნ. ლარი. ცნობისთვის, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი 2 905,7 მლნ ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველო რუსული გაზის 230 დოლარად შესყიდვას არ აპირებს

საქართველო 1000 კუბომეტრ რუსულ გაზში 230 დოლარის გადახდას არ აპირებს - ეს შაბათს, გარდაბანში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა.

"თუ ეს რეგიონის საერთო კომერციული ფასი იქნება, მაშინ თანახმა ვართ. მაგრამ თუ ეს რაღაც სადამსჯელო ოპერაციაა საქართველოს წინააღმდეგ, ასეთ ფასს, რა თქმა უნდა, არ გადავიხდით". - თქვა მან. პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა, რომ გაზის მოწოდების შესახებ საქართველო თურქეთთან, აზერბაიჯანთან და ირანთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში დასრულდება. ჩვენ ჩამოთვლილი პარტნიორებიდან რომელიმეს ავირჩევთ, მოწოდების მასშტაბებისა და ფასის მოხედვით". - განაცხადა ნოღაიდელმა.

## "ვაშინგტონ პოსტი": "გაზპრომი" ბუნებრივ აირს დაბალ ფასში იმ ქვეყნებს აწვდის, რომელთაც მოსკოვთან კარგი დამოკიდებულება აქვთ

"გაზპრომის" გადაწყვეტილება, საქართველოსთვის ბუნებრივი აირის საფასურის შესაძლო გაზრდის თაობაზე, დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებისთვის მთავარი თემა გახდა. ამერიკული "ვაშინგტონ პოსტის" აზრით, რუსეთის მთავრობის მიერ კონტროლირებადი "გაზპრომის" განცხადება პოლიტიკური ზეწოლის იარაღია მოსკოვის ხელში. "რუსეთი აცხადებს, რომ მას აღარ შეუძლია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუბსიდირება და რომ ამ ქვეყნებმა დასავლეთის სტანდარტების შესაბამისი საფასური (250 აშშ დოლარი ათას კუბურ მეტრში) უნდა გადაიხადონ," - წერს გამოცემა.

პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, თუკი დასავლეთის ქვეყნებს სურთ, საქართველოს მხარი დაუჭირონ, მათ შეუძლიათ დაფარონ საქართველოსთვის რუსეთიდან მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის სხვაობა (დღეს საქართველო ათას კუბურ მეტრ აირში 110 აშშ დოლარს იხდის).

"გაზპრომი" ბუნებრივ აირს დაბალ ფასში აწვდის იმ ქვეყნებს, რომელთაც მოსკოვთან კარგი დამოკიდებულება აქვთ," - წერს გაზეთი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აშშ იმედს გამოთქვამს რომ საქართველო და გაზპრომი" გაზის ფასზე შეთანხმდებიან

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის შონ მაკკორმაკის განცხადებით, რუსულ გაზზე ფასები ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან უნდა გამომდინარეობდეს. აღნიშნული განცხადება მაკკორმაკმა "გაზპრომის" მიერ საქართველოსთვის გაზის 110 დოლარიდან 230 დოლარამდე გაძვირებასთან დაკავშირებით გააკეთა.

მან რუსეთს მოუწოდა "იყოს საიმედო პარტნიორი მყიდველებისთვის და ენერგორესურსების საიმედო მომწოდებელი". მაკკორმაკმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო და "გაზპრომი" გაზის ფასზე შეთანხმდებიან. **მედიანიუსი**

## ჩეხეთმა და გერმანიამ "ლუდის კოალიცია" შექმნეს

გერმანიისა და ჩეხეთის ფინანსთა მინისტრების განცხადებით, ორმა ქვეყანამ ერთგვარი "ლუდის კოალიცია" შექმნა. ამგვარად, გერმანია და ჩეხეთი ევროკავშირში ლუდზე სამომხმარებლო გადასახადის გაზრდის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებენ.

ორი მინისტრი იმედოვნებს, რომ ერთობლივი მოქმედებით ევროკომისიას ლუდის დამატებითი დაბეგვრისაგან თავის შეკავების მართებულობაში დაარწმუნებენ. ამ სასმელის უმსხვილესი მწარმოებლები აცხადებენ, რომ უსამართლოა ლუდის გადასახადის გაზრდა, როცა სამხრეთული ქვეყნების ზეწოლის შედეგად ევროკავშირში სამომხმარებლო გადასახადი ღვინოს საერთოდ არ ეხება.

## "ობოლონი" უპირატესობას მინერალურ წყალს მიანიჭებს

უკრაინული ლუდსახარში კომპანია "ობოლონი" თავისი საწარმოების ცალკეული პროდუქციის გამოშვებაზე სპეციალიზირებასა და კონცენტრირებას გეგმავს. კერძოდ, ლუდს კომპანიის კიევსა და ფასტოვში მდებარე ქარხნები ჩამოასხამს, ხოლო "ობოლონის" მთავარი, კრასილოვში მდებარე და კიდევ სევასტოპოლის ქარხანა მინერალური წყლების გამოშვებას შეუდგება.

გარდა იმისა, რომ "ობოლონის" პროდუქციის დიდი წილი უკვე მინერალური წყლით იქნება წარმოდგენილი, კომპანია ახალი ბრენდის ათვისებასაც აპირებს. კერძოდ, თუ აქამდე კომპანია მხოლოდ ერთი დასახელების მინერალურ წყალს “ობოლონსკას" უშვებდა, მომავალში კრასილოვის ქარხანაში მინერალური წყალი "პროზორა ვერშინა იაკოსტი" ჩამოისხმება. "ობოლონის" წარმომადგენელთა განცხადებით, ამგვარი რესტრუქტურიზაციის მიზეზი მინერალური წყლის ბაზრის მაღალი ტემპით ზრდაა.

## გერმანიაში აცივების გამო საფრანგეთი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა

საფრანგეთში ელექტრომომარაგების აღდგენას თითქმის საათნახევარი დასჭირდა, განაცხადა ფრანგული ელექტროგამანაწილებელი კომპანიის RTE-ს წარმომადგენელმა პიერ ბონარმა. კვირა ღამეს დასავლეთ ევროპის ელექტრომომარაგებაში მომხდარი არეულობის გამო საფრანგეთში ელექტროენერგიის გარეშე 5 მილიონი ოჯახი დარჩა.

"ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით მთელი ევროპის ჩაბნელებასთან" - თქვა ბონარმა.

RTE-ს მონაცემების მიხედვით ელექტროგამანაწილებელ სისტემაში პრობლემების მიზეზი გერმანიაში მკვეთრი აცივება გახდა, რამაც ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა გამოიწვია. ქსელმა გაზრდილ დატვირთვას ვერ გაუძლო და ორ მაღალი ძაბვის ხაზზე მოკლე ჩართვა მოხდა და ავტომატურად გამოირთო სხვა ხაზებიც.

## ისლამურ ეკონომიკურ ფორუმზე მუსულმანური ქვეყნების განვითარების საკითხებს განიხილავენ

კვირას, 5 ნოემბერს პაკისტანში მსოფლიო ისლამურმა ეკონიმიკურმა ფორუმმა დაიწყო მუშაობა. სამდღიანი საერთაშორისო შეხვედრების ყურადღების ცენტრში მუსულმანურ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ეკონომიკური განვითარების გზების ძიება და ისლამურ სამყაროში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საერთო სტრატეგიის ფორმირება იქნება. ფორუმზე მთავარ თემად წარმოდგენილია "ბაზრების პროგრესის შემაფერხებელი დაბრკოლებების დაძლევა განვითარებად ქვეყნებში".

პაკისტანის ოფიციალური წყაროების ცნობით, შეხვედრაზე 800-ზე მეტი ცნობილი ექსპერტი, ეკონომისტი და საქმიანი წრეების წარმომადგენელი, აგრეთვე 57 სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიკრიბება.მუსულმანური ქვეყნების დელეგაციების გარდა ისლამაბადში საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, კანადის და მთელი რიგი აზიისა და ევროპის ქვეყნების არაისლამური წარმომადგენლები ჩამოვლენ.

ისლამაბადის ფორუმი უკვე მეორე შეხვედრაა მსოფლიო ისლამური ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში. პირველი მსოფლიო ისლამური ეკონომიკური ფორუმი გასულ წელს მალაიზიაში ჩატარდა.

# საქმიანი და პოლიტიკური გაერთიანებები

პირველი გვერდიდან



კარგად თუ დავუკვირდებით, ნავთობკომპანიებს ახლა მეტად რთული გამოცდის ჩაბარება უწევთ. მართალია, ფასი საკმაოდ მაღალია, მაგრამ რეალურად არც ისე მაღალი. როცა 70-იანი წლების შუაგულში, არაბული ემბარგოს გამო, ბარელის ფასმა 15 დოლარს მიაღწია, ამან მართლაც შოკი გამოიწვია. ახლანდელი ფასები კი შოკს ნამდვილად არ იწვევს. საქმე ისაა, რომ იმ ინფლაციის გათვალისწინებით, რომელსაც 70-იანებიდან მოყოლებული ჰქონდა ადგილი, მაშინდელი 15 დოლარს მეტი მსყიდველობითი უნარი ჰქონდა, ვიდრე ახლანდელ 60-ს. ასე რომ, ახლანდელი ფასები, ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით, ნავთობკომპანიებისათვის არც ისეთი დიდი მოგების მომტანია.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ ნავთობმარაგი მსოფლიოში თანდათანობით იწურება. ტრანსნაციონალური კომპანიები დარჩენილი საბადოების მხოლოდ 20%-ს აკონტროლებენ, დანარჩენი კი ნავთობსახელმწიფოების ხელშია. 1997 წლის მონაცემებით, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა თავიანთი ნავთობმარაგი 40%-ით გაზარდეს. 2005 წელს კი მათ ახალი საბადოების ხარჯზე მთლიანად წარმოებული საწვავის მხოლოდ 75% მოიპოვეს. ასეთი მკვეთრი დაცემა მკაფიოდ მიანიშნებს შემაშფოთებელ ტენდენციებზე.

გარდა ამისა, ნავთობგიგანტები რთულ მდგომარეობაში არიან გაზრდილი გადასახადების გამო. რამდენიმე თვის წინ აშშ-ს ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ 90-იან წლებში დაწესებული შეღავათები, გაძვირებული საწვავის ფონზე, ნავთობკომპანიებისათვის ზედმეტი ფუფუნება იყო და ისინი ერთი ხელის მოსმით გააუქმა. ამას ისიც ემატება, რომ ნავთობის გაძვირებით გათამამებული ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ვენესუელა, ბოლივია და რუსეთი, ავიწროებენ ტრანსნაციონალურ კომპანიებს - უძვირებენ მათ გადასახადებს, ბრალს სდებენ გარემოს დაცვის ნორმების დარღვევაში და ა.შ. ამგვარ მანიპულაციებს უკვე შეეწირა ისეთ კომპანიათა ინტერესები, როგორებიცაა "შელი," "ბრიტიშ პეტროლიუმი," "ექსონი," "ტოტალი." ამ ტენდენციაში თავისი კანონზომიერებაა - 90-იან წლებში, როცა ნავთობი გაიაფდა და ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების ხაზინაც დაცარიელდა, მათი ხელისუფალნი ტრანსნაციონალურ კომპანიებთან ყველანაირ (თუნდაც, მათთვის წამგებიან) პირობებზე მიდიოდნენ. მაგრამ ახლა, როცა ნავთობის გაძვირებამ ეს ქვეყნები მოაძლიერა, მათ ძველი პირობების გადახედვა მოუნდათ.

მართალია, თავად ნავთობკომპანიათა ექსპერტები 2006 წლის ბოლოსთვის ნავთობზე ფასის მომატებას წინასწარმეტყველებენ, რამაც ვენესუელისა და რუსეთის ტიპის ქვეყნებს ინვესტორთა შევიწროების ხალისი უნდა დაუკარგოს, მაგრამ ამჟამად ფასის დაცემას მოგების შემცირებაც მოჰყვება. აუთვისებელი საბადოები არც ისე დიდი რაოდენობით დარჩა, რომ ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მარაგი შეავსონ. ახლახან "შელიმ" კანადაში მდებარე საბადოებში აქციონერებისგან წილი გამოისყიდა. ეს საბადოები მეტად სპეციფიურ ადგილას მდებარეობს და იქ ბარელი ნავთობის მოპოვება 35 დოლარი მაინც დაჯდება. "შელის" მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ყველა იოლად ასათვისებელ საბადოზე ნავთობის მოპოვება უკვე მიმდინარეობს. ასე რომ, ფასების დაცემის ტენდენცია საბოლოო ჯამში ისევ უარყოფით შედეგს გამოიღებს.

სწორედ ამ ფონზე გაიჟღერა ცნობამ ორი ნავთობგიგანტის - "ბრიტიშ პეტროლიუმისა" და "შელის" შესაძლო გაერთიანების შესახებ. "ბრიტიშ პეტროლიუმის" თავმჯდომარე ლორდი ჯონ ბრაუნი ამ საკითხზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ მოვლენათა ლოგიკა და "ბრიტიშ პეტროლიუმის" გაფართოების პრაქტიკა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გაერთიანებაზე მსჯელობა დაწყებულია. "ბრიტიშ პეტროლიუმმა" გაფართოებისკენ პირველი ნაბიჯი (ამერიკული "ამოკოს" შესყიდვა) მაშინ გადადგა, როცა ბარელი ნავთობი 12 დოლარი ღირდა. ნაბიჯმა გაამართლა და შემდგომში კომპანიამ "არკო" და "ბერმა კასტროლი" შეისყიდა, რის შედეგადაც ნავთობგიგანტებში მეორე ადგილი დაიმკვიდრა "ექსონის" შემდეგ.

თუკი გარიგება შედგება, გაერთიანებული გიგანტი "ექსონს" მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებს უკან. მისი ნავთობმოპოვება დღეში 4,6 მილიონ ბარელს შეადგენს (რაც "ექსონზე" 71%-ით მეტი იქნება). გარდა ამისა, გაერთიანება შეამცირებს ხარჯებს და გაზრდის ეფექტიანობას, რისი გამოისობითაც გიგანტი დიდი ხნით შეინარჩუნებს ლიდერობას.

ოდესღაც აშშ-ს ხელისუფლებამ როკფელერის კუთვნილი სანავთობო მონოპოლია "სტანდარდ ოილი" წვრილ-წვრილ კომპანიებად დაშალა. ეს მაშინ კონკურენციისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობით იყო გამოწვეული. 90-იანების ბოლოს როკფელერის იმპერიის ერთ-ერთი ნამსხვრევი "ამოკო" "ბრიტიშ პეტროლიუმმა" შეისყიდა. კიდევ ორი ნამსხვრევი, "ექსონი" და "მობილი" კი საერთოდ ერთმანეთთან გაერთიანდა. 90-იანების ბაზარმა ახალი მოთხოვნილებები დააყენა, რომელიც გადარჩენის აუცილებლობაში მდგომარეობდა. გადარჩენის საუკეთესო გზა კი სხვასთან გაერთიანების გზით ხარჯის შემცირება იყო. ვნახოთ, იგივე მოთხოვნებს დააყენებს თუ არა ბაზარი ახლაც.

## აფრიკა ჩინეთის ფრთის ქვეშ

გასულ კვირას პეკინმა აფრიკული ქვეყნების სამიტს უმასპინძლა. ღონისძიებას დაახლოებით 50 ლიდერი დაესწრო და მისი თემა საქმიან თანამშრომლობას უკავშირდებოდა. ჩინეთის პრეზიდენტმა ჰუ ძინტაომ სამიტზე განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მომავალი სამი წლის განმავლობაში აფრიკისათვის გამოყოფილ დახმარებას ორჯერ გაზრდის და 5 მილიარდ დოლარზე აიყვანს. ასე რომ, უკვე ცნობილი ხდება პასუხი შეკითხვაზე, რომელიც დიდი ხანია აწუხებს მსოფლიო თანამეგობრობას - რა ბედი ელის აფრიკას? აფრიკის ბედი, ალბათ, ჩინეთს დაუკავშირდება. დეკოლონიზაციისა და დასავლური სახელმწიფოების კონტროლისგან გათავისუფლების შემდეგ აფრიკული ქვეყნების დიდი უმრავლესობა დღემდე ამაოდ ცდილობს ცივილიზებული სახელმწიფოს აშენებას. სახელმწიფო გადატრიალებები, ომები და უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვება აქ სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. დასავლეთმაც თითქოსდა იმედი დაკარგა, რომ აფრიკას ნორმალური განვითარების გზაზე დააყენებდა. მაგრამ ახლა სცენაზე ჩინეთი გამოდის, რომელსაც ამ კონტინენტზე მთელი რიგი ინტერესები აქვს.

ამ ინტერესებიდან უმთავრესი ისევ ნავთობს უკავშირდება. აფრიკის კონტინენტი ერთადერთი რეგიონია მსოფლიოში, სადაც ჯერ კიდევ დარჩა აუთვისებელი რესურსები და რომლის მიმართაც დასავლური კომპანიები დიდ ენთუზიაზმს არ იჩენენ (მაღალი რისკ-ფაქტორებისა და არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის გამო). ჩინეთი კი, რომელსაც მინერალური რესურსები ესაჭიროება და დიდი რაოდენობით კაპიტალი დაუგროვდა, მზადაა ეს რისკი გასწიოს. ჩინური კაპიტალი მხოლოდ ნავთობითა და სხვა ნედლეულით არ იფარგლება - მისი წყალობით ვითარდება ელექტროსადგურები, გზები, სატელეფონო ხაზები და ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები. ამავე დროს, აფრიკა ერთობ მოგებიანი ბაზარია იაფი ჩინური პროდუქციისათვის. ეს ფაქტორი გარკვეულწილად უარყოფით როლსაც თამაშობს აფრიკისათვის, რადგან ჩინური საქონლის იმპორტი ადგილობრივ მრეწველობას ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის და მის განვითარებას ხელს უშლის. ჩინური ექსპანსიის კრიტიკოსები მიუთითებენ ჩინელების მიერ კონტროლირებად საწარმოებში ადგილობრივი მუშახელის უფლებათა დარღვევაზე. ამაზე კიდევ უფრო დიდ პრობლემად მიიჩნევა ის, რომ ჩინური დახმარება სიცოცხლეს უხანგრძლივებს აფრიკის დიქტატორულ რეჟიმებს. მაგრამ საბოლოო ჯამში უმრავლესობა აღიარებს, რომ ჩინეთთან ურთიერთობით აფრიკა მაინც მოგებას ნახულობს. მით უმეტეს, რომ დემოკრატია ერთობ საჩოთირო თემაა. ეს რეგიონი (და არა მხოლოდ ეს რეგიონი) არაერთხელ გამხდარა იმის მოწმე, თუ როგორ სრულდებოდა დემოკრატიის დანერგვის მცდელობა ეკონომიკურად ჩამორჩენილ და დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში - არეულობითა და ქაოსით. ასე რომ, არავინ უწყის, რომელია უკეთესი გამოსავალი - დიქტატურული ქვეყნისათვის ეკონომიკური დახმარება ამ დიქტატურის დემოკრატიაში გადაზრდის პერსპექტივით, თუ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების ჩატარება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეკონომიკურ დახმარებასთან ერთად აფრიკა ჩინეთზე დამოკიდებული ხდება. ჩინეთი დემოკრატიული სახელმწიფო არაა და შესაბამისად, აფრიკისათვის ახლო მომავალში დემოკრატიზაციის დიდი სტიმული არ იარსებებს.

ჰუ ძინტაოს განცხადებით, მომავალი სამი წლის განმავლობაში აფრიკული ქვეყნები პრეფერენციული სესხების სახით 3 მილიარდ დოლარს, საექსპორტო კრედიტების სახით კი 2 მილიარდ დოლარს მიიღებენ. გარდა ამისა, ჩინურ სასწავლებლებში უფასოდ მიიღებს განათლებას 15 ათასი აფრიკელი ახალგაზრდა. დაგეგმილია განვითარების ფონდების დაარსება სკოლებისა და საავადმყოფოების ასაშენებლად.

## ლუკაშენკოს უპერსპექტივო ენერგოალტერნატივა

დაახლოებით ორი კვირის წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ბელარუსს სტუმრობდა. გასულ კვირას კი უკვე თავად ბელარუსის სამთავრობო დელეგაცია ეწვია ბაქოს. ვიზიტის ძირითად მიზანს დიდი ამოხსნა არ სჭირდება - ბელარუსი ენერგორესურსების ალტერნატიულ წყაროს ეძებს. მას შემდეგ, რაც ლუკაშენკოს ორჭოფობამ კრემლისათვის აშკარა გახადა, რომ "ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" თავისი ქვეყნის რუსეთისათვის მიერთებას არ აპირებს, გადაწყდა, ურჩი მეგობრის წინააღმდეგ ნაცადი ხერხი გამოეყენებინათ - გაზზე ფასის აწევა და ნავთობმიწოდების შემცირება.

რუსეთ-ბელარუსის "ანშლიუზი" იდეალური ვარიანტი იქნებოდა პუტინისათვის და რუსეთის მოსახლეობის იმ ნაწილისათვის (რომელიც, ალბათ, უმრავლესობას შეადგენს), რომელიც შიშით შეჰყურებს 2008 წელს - პუტინის პრეზიდენტობის ამოწურვის ვადას. თუკი "ანშლიუზი" შედგა, პუტინს საშუალება ექნება, პრეზიდენტის რანგში არა მხოლოდ მესამე, არამედ მეოთხედაც უხელმძღვანელოს აწ უკვე ბელარუსის ხარჯზე გაფართოებულ ქვეყანას. გარდა ამისა, ეს საბჭოთა კავშირისა და მასთან ერთად შელახული იმპერიული ამბიციების აღდგენისკენ გადადგმული ერთი პატარა ნაბიჯი იქნება.

მაგრამ, როგორც გაირკვა, ლუკაშენკოს საბჭოთა კავშირსა და სოციალიზმზე უფრო მეტად საკუთარი ძალაუფლება უყვარს და მას არაფერზე გაცვლის. ენერგომუქარის საპასუხოდ მინსკის პოლიტიკური წრეები ბელარუსის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაძევებით დაიმუქრნენ. ლუკაშენკომ კი, გაზისა და ნავთობის სანაცვლოდ, აზერბაიჯანს ლამის მთელი ევროპის ბაზარი შესთავაზა. მისი პროექტის მიხედვით, ბელარუსის ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანული ენერგორესურსები ბალტიისპირეთსა და ევროპის კიდევ უფრო დასავლეთ ნაწილში უნდა წავიდეს. ბალტიისპირეთისთვის ეს კარგი ვარიანტი იქნებოდა. რუსეთმა ახლახან ლიტვაში მიმავალი ნავთობსადენი გადაკეტა იმ საბაბით, რომ მილი შეკეთებას საჭიროებს. თუმცა ნამდვილ მიზეზს ყველა ხვდება - ლიტვამ თავისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ერთ-ერთ პოლონურ კომპანიას მიჰყიდა და უარით გაისტუმრა რუსული კომპანია (იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი ნაკლებს იხდიდა).

რამდენად პერსპექტიულია ეს პროექტი? ჯერჯერობით, აზერბაიჯანული ნავთობი ახლადამოქმედებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულად დასატვირთადაც არ არის საკმარისი. რაც შეეხება გაზს, მას უახლოეს მომავალში შაჰდენიზის მილსადენის დატვირთვის ფუნქცია ექნება. ანუ, ბელარუსისთვის აზერბაიჯანს ენერგორესურსები, ჯერჯერობით, აშკარად არ მოეპოვება. გარდა ამისა, გაუგებარია, როგორ უნდა მიეწოდოს აზერბაიჯანული გაზი თუ ნავთობი ბელარუსს - საამისო ინფრასტრუქტურა ჯერჯერობით არ არსებობს. მასზე მუშაობას კი დიდი დრო დასჭირდება. იქამდე რუსულ გაზსა და ნავთობს ალტერნატივა ნამდვილად არ ექნება. ამიტომაც იყო, რომ აზერბაიჯანის მხარე ამ გიგანტურ პროექტებს არც ისე დიდი ენთუზიაზმით შეხვდა; რომ მაინდამაინც არც მოსკოვში აღელვებულან ლუკაშენკოს ალტერნატიული ენერგოპროექტების გამო. "ევროპის უკანასკნელ დიქტატორს," რომელმაც დასავლეთისკენ მავალი გზა თავად მოიჭრა, სხვა გზა არ დარჩენია - ან რუსეთთან მიერთება, ან ცივი ზამთარი. ეს, ალბათ, ყველას ხვედრია, ვინც იაფ რუსულ გაზს ზედმეტად(!) ეჩვევა.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გასული კვირის ბოლოს აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა ნავთობის გაძვირებამ და მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა მოახდინა. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ ოქტომბერში უმუშევრობა 4,4 პროცენტამდე შემცირდა. ეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია, რამაც ინვესტორთა იმედი, რომ ფედერადური სარეზერვო ფონდი ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდა, გაქრა.

საბოლოოდ, Dow Jones Index-ი 0,27 პროცენტით, 11.986,04 პუნქტამდე შემცირდა. 0,14 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.330,79 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,22 პროცენტით, 1.364,3 პუნქტამდე მოიკლო. სულ, გასული კვირის განმავლობაში სამი ინდექსი დაახლოებით 0,9 პროცენტით შემცირდა.

## ნავთობის ფასმა მოიმატა

პარასკევს, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 58,9 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 59,14 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. სულ, გასული კვირის განმავლობაში Brent-ის მარკის ნავთობი 3,5 პროცენტით, Light-ის მარკის ნავთობი კი 2,7 პროცენტით გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმა ისევ მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,884 დოლარი შეადგინა. სულ, გასულ კვირაში ბუნებრივი აირი 0,7 პროცენტით გაძვირდა. ამის მიზეზი აშშ-ში ამ ტიპის საწვავის მარაგის კლება და, აცივების და ატომურ ელექტროსადგურებზე რემონტის გამო, მოხმარების ზრდა გახლდათ.

"შავი ოქროს" ფასის ზრდა გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდა და ნიგერიაში ნავთობის საბადოებზე მეამბოხე ოპოზიციის თავდასხმის მოლოდინმა განაპირობა. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მიმდინარე კვირაში ნავთობის ფასმა შეიძლება ოდნავ ისევ მოიმატოს, მაგრამ 1 ბარელის ღირებულება 60 დოლარს არ ასცდება.

## ძვირფასი ლითონები კვლავ გაძვირდა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე კვლავ ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასმა 0,4 პროცენტით მოიმატა და მისმა ღირებულებამ 629,2 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 0,11 პროცენტით, 12,635 დოლარი/უნციამდე, პლატინა 3,9 პროცენტით, 1209,4 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 2,5 პროცენტით, 335,1 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. სულ, გასული კვირის განმავლობაში ოქრო 4,7 პროცენტით, ვერცხლი 4,6 პროცენტით, პლატინა 12 პროცენტით, პალადიუმი კი 3,7 პროცენტით გაძვირდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და ძვირფასი ლითონების გაძვირება ნავთობის ფასის ზრდამ და ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ დაძაბულობის მოლოდინის ზრდამ განაპირობა. ექსპერტთა აზრით, მიმდინარე კვირაში ოქროს ღირებულება 617-630 დოლარი/უნციის ფარგლებში იმერყევებს.

## ხორბალი სარეკორდოდ გაძვირდება

სააგენტო Bloomberg-ის ინფორმაციით, ხორბლის დეფიციტის ზრდა უახლოესი 6 თვის განმავლობაში მის სარეკორდო გაძვირებას გამოიწვევს. ავსტრალიაში, უკრაინასა და აშშ-ში გვალვის გამო მოსავლიანობის შემცირებამ უკვე განაპირობა ხორბლის 50 პროცენტით გაძვირება. ექსპერტები თვლიან, რომ ხორბლის ფასის ზრდა კვლავ გაგრძელდება, მომავალი 6 თვის განმავლობაში დაახლოებით 47 პროცენტს მიაღწევს და 1 ბუშელის (0,03637 კუბური მეტრი) ღირებულება 7,5 დოლარის ფარგლებში იქნება. აღსანიშნავია, რომ გასული კვირის ბოლოს ჩიკაგოს ბირჟაზე 1 ბუშელი ხორბალი 5,085 დოლარი ღირდა.

## ბილ გეითსი ფულს ენერგეტიკაში აბანდებს

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის ბილ გეითსის პერსონალური საინვესტიციო კომპანია Cascade Investment LLC-ი უახლოეს მომავალში, ელექტროენერგეტიკულ კომპანია PNM Resources Inc-თან ერთად, ერთობლივი საწარმოს შექმნას აპირებს, რომელიც ელექტროენერგიის წარმოებასა და ვაჭრობაში იმოღვაწევებს. სავარაუდოდ, ერთობლივ საწარმოში მხარეები წილებს თანაბრად გადაინაწილებენ. ინვესტიციების სავარაუდო რაოდენობა ჯერჯერობით კონფიდენციალურია.

## ჩინეთი მსოფლიო გემსაშენ ბაზარზე გაბატონებას აპირებს

უახლოეს მომავალში ჩინეთი სამი თანამედროვე გემსაშენი ბაზის აგებას აპირებს. სააგენტო “სინხუას" ინფორმაციით, არსებული პროექტის განხორციელების შემდეგ, 2010 წლისათვის ჩინეთში აგებული გემების საერთო წყვალწყვა 23 მილიონ ტონას მიაღწევს, რითაც ეს ქვეყანა მსოფლიოს გემსაშენი ბაზრის 25 პროცენტს აითვისებს. ხოლო გემების ექსპორტის მოცულობა 12 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ გემების მშენებლობის სფეროში ჩინეთმა, უკვე 2003 წელს, ევროპა გვარიანად უკან ჩამოიტოვა და სფეროს ლიდერებთან - იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. ზემოთ აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ ჩინეთი უკვე სფეროს ლიდერი გახდება.

## ეკონომიკური განვითარების სამინისტროში იუსტიციის სამინისტროს შენობის გასხვისებას არ გამორიცხავენ

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია იუსტიციის სამინისტროს კუთვნილი შენობის გასხვისებას არ გამორიცხავს.

"ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გამაჩნია, თუმცა ობიექტის პრივატიზაცია თეორიულად შესაძლებელია," - განუცხადა დამენიამ "ინტერპრესნიუსს".

მისი თქმით, კონკრეტული მყიდველის ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის.

ინფორმაცია აღნიშნული შენობის გასხვისების შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც ფინანსურმა პოლიციამ რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზია "სონის" ცენტრსა და კაფე "რუსთაველში" საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო. ორივე ობიექტი იმ შენობაში მდებარეობს, სადაც იუსტიციის სამინისტროა განთავსებული.

თავად იუსტიციის სამინისტროსთვის შენობის გასხვისების შესახებ არაფერია ცნობილი. როგორც სამინისტროში განაცხადეს, შენობის ყიდვა-გაყიდვის გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროზე არ არის დამოკიდებული.

არსებული ინფორმაციით, რუსთაველის N30-ში მდებარე შენობით თბილისის მერიაა დაინტერესებული და იქ საერთაშორისო დონის სასტუმროს მშენებლობაა დაგეგმილი.

თბილისის მერიაში აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის სერგო ქავთარაძის განცხადებით კი, იუსტიციის სამინისტროს შენობის გასხვისების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, რადგან ეს საკითხი მერიის კომპეტენციას სცილდება. **ინტერპრესნიუსი**

## "ემ-სი-ჯიმ" აზერბაიჯანულ კომპანიასთან კონტრაქტი გააფორმა

ფონდმა - "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") აზერბაიჯანულ კომპანია "ხაზარდენიზნეფტეგაზტიკინგი"-სთან ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალურ გაზსადენზე სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად კონტრაქტი გააფორმა.

ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები 8,5 მილიონი დოლარის ღირებულებისაა და ის 120 დღეს გასტანს.

კონტრაქტის თანახმად, აღდგენითი სამუშაოები მაგისტრალური გაზსადენის ოთხ ყველაზე სახიფათო მონაკვეთს ჩაუტარდება. ის "ემ-სი-ჯი"-ს ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩატარდება.

შესაბამის კონტრაქტს აზერბაიჯანულ კომპანიასთან ხელი 3 ნოემბერს მოეწერა. **მედიანიუსი**

## ხილზე ფასის მატებას მცირემოსავლიანობით ხსნიან

გასულ წელთან შედარებით, წელს ადგილობრივ, ქართულ პროდუქციაზე ფასები თითქმის ორჯერ არის გაზრდილი.

თუკი შარშან ამ დროს 1 კგ. მანდარინის ფასი 60-80 თეთრი იყო, წელს მისი ფასი 1 ლარიდან 1,50 ლარამდე მერყეობს; თუ 3 კგ. ვაშლი ერთ ლარამდე ღირდა, ახლა 1 კგ. ვაშლის ფასი 70-80 თეთრამდეა გაზრდილი. მომატებულია ფასები აგრეთვე ყურძენზე 50-60 თეთრიდან 1,30 ლარამდე. 1 კგ. ნიგვზის ღირებულება 10-11 ლარიდან დაახლოებით 16-17 ლარამდეა გაზრდილი. შარშან 4-5 კგ. მწვანე ლობიო თუ ერთი ლარი ღირდა, წელს მისი ფასი 1 კგ-ზე 70 თეთრია. ფასების ამგვარ მომატებას გლეხები მცირე მოსავლიანობით ხსნიან და იმასაც აღნიშნავენ, რომ პროდუქციის ხარისხის გაზრდისათვის აუცილებელი შესაწამლი მასალის ღირებულება თითქმის სამჯერ არის გაზრდილი. რაც შეეხება საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ ხილს, მათი ფასი გაცილებით მაღალია; მაგალითად, სომხეთიდან შემოტანილი ვაშლისა და ყურძნის ფასი 2 ლარიდან 3 ლარამდე მერყეობს. **მედიანიუსი**

## თბილისს ნიდერლანდების ბანკის პრეზიდენტი ეწვევა

დღეს საქართველოს ნიდერლანდების ბანკის პრეზიდენტი და ბაზელის კომიტეტის საბანკო კონტროლის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი ნოუტ ველლინკი ეწვევა.

ველლინკი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან რომან გოცირიძესთან.

შეხვედრისას მხარეები საქართველოსა და ჰოლანდიის ბანკებს შორის თანამშრომლობის განვითარებასთან და ნიდერლანდების ბანკში ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. **მედიანიუსი**

## ამინდი

| | 6/11 | 7/11 | 8/11 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 25 | 26 |

# რუსები ჩინურ ავიაბაზარზე დამკვიდრებას ცდილობენ

მერაბ ლორთქიფანიძე


სუ-33.

ჩინეთის ქალაქ ჯუჰაიში მიმდინარეობს ავიაკოსმოსური დათვალიერება-სალონი "ეარშოუ ჩაინა-2006", რომელზეც მსოფლიოს ყველა წამყვანი ავიაკოსმოსური და თავდაცვითი კომპანია მონაწილეობს. ჩინეთის ავიასალონი პირველად 1996 წელს ჩატარდა, მას შემდეგ კი მეექვსედ იმართება (ორ წელიწადში ერთხელ ტარდება). ამჯერად მასში 33 ქვეყნის 550 კომპანია მონაწილეობს, რაც მის მნიშვნელობასა და პრესტიჟზე თავისთავად მეტყველებს. განსაკუთრებით მრავალფეროვანი ექსპოზიცია აქვს წარმოდგენილი რუსეთს, რომელმაც ჯუჰაიში თავისი 51 საწარმოს პროდუქცია გამოფინა.

რუსულ პროდუქციაში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს "სუხოის", "მიგ-ის" "კამოვის" სამხედრო თვითმფრინავები და ვერტმფრენები. გარდა ამისა, დამთვალიერებლებს რუსული წარმოების თანამედროვე სამოქალაქო ლაინერების ხილვის საშუალებაც აქვთ - ჯუჰაიში გამოფენილია სამგზავრო ლაინერები ტუ-334-100 და ტუ-204-300.

რუსები არ მალავენ, რომ თავიანთი ავიაკოსმოსური ინდუსტრიის აღორძინების გზაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩინური ბაზრის ათვისებას, რაც პერსპექტივაში, მათ დიდ მოგებას პირდება. ამჟამად კი ჩინურ ბაზარზე ამერიკული და ევროპული გიგანტები - "ბოინგი" და "ეარბასი" დომინირებენ, თუმცა რუსები თვლიან, რომ აგრესიული სამარკეტინგო პოლიტიკის წყალობით, ცისქვეშეთში ადგილი მათთვისაც მოიძებნება.

რუსული ავიაკოსმოსური ინდუსტრიის განვითარებისთვის ჩინურ ბაზარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის ავიამრეწველობის სააგენტოს შეფი ბორის ალიოშინი, ვისაც მიაჩნია, რომ ჩინეთის ბაზარზე რუსული პროდუქციის დასამკვიდრებლად აუცილებელი იქნება პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედება, რასაც, მისი თქმით, აქტიურად იყენებენ რუსების მთავარი კონკურენტები ამერიკიდან და ევროპიდან.

თუ რუსები ჩინურ სამოქალაქო ავიაბაზარზე ახლა იკვლევენ გზას, სამხედრო ავიაციის მხრივ, ამ ქვეყანაში "შინაურებად" ითვლებიან, რადგან უკვე რამდენიმე დეკადაა, ჩინეთი სწორედ რუსულ სამხედრო თვითმფრინავებს ყიდულობს და მათ ლიცენზიით თავადაც აწარმოებს.

ჯუჰაიში რუსებმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო შვეულმფრენები გამოფინეს. მათს პავილიონებში წარმოდგენილია საბრძოლო ვერტმფრენები მი-28ნე, კა-50, კა-50-2, სადესანტო-სატრანსპორტო მი-17-1ბე, სამხედრო-სატრანსპორტო მი-171შ, მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო მი-26, საგემბანო სატრანსპორტო-საბრძოლი კა-29 და რადიოლოკაციური დაზვერვის შვეულმფრენი კა-31.

რუსების ექსპოზიციაში ასევე წარმოდგენილია ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მრავალგვარი სისტემები, როგორებიცაა საზენიტო-სარაკეტო სისტემა ეს-300 პმუ-2 "ფავორიტი", "პეჩორა-2 ემ", "ტუნგუსკა-ემ1", საშუალო და მცირე სიშორის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები "ტორ-ემი" და "ოსა-აკმ", საზენიტო თვითმავალი "შილკა" და ხელით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "იგლა".

ჯუჰაის ავიასალონს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თვითონ ჩინელებიც, რომლებიც იმედოვნებენ, რომ თავიანთი პროდუქციით დააინტერესებენ უცხოელ მყიდველებს. ჩინური სამხედრო-საჰაერო ტექნიკა თანდათან დიდ ადგილს იკავებს მსოფლიოს იარაღის ბაზარზე და შესაძლოა, ამერიკელებს, ევროპელებსა და რუსებს მალე მათი სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდეთ.

ჯუჰაიში ჩინელებმა ოცზე მეტი რაკეტა და რეაქტიული ჭურვი წარადგინეს. გარდა ამისა, მათ ექსპოზიციაში შეიძლება როგორც სამხედრო თვითმფრინავების, ასევე კოსმოსური რაკეტების და სხვადასხვა დანიშნულების თანამგზავრების ნახვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთვარეზე გასაგზავნი თანამგზავრის მოდელი, მზის საკვლევი ტელესკოპი, ასევე ჩინური პილოტირებადი კოსმოსური ხომალდის დასაბრუნებელი კაპსულა "შენჯოუ-6", რომლითაც შარშანდელი კოსმოსური ვოიაჟის შემდეგ, ჩვენს პლანეტაზე დაბრუნდნენ ჩინელი ასტრონავტები ფეი ცზუნლუნი და ნე ჰაიშენი.

ჩინეთის ავიასალონის ინიციატორია ჩინეთის მთავრობა, ორგანიზატორები კი ქვეყნის თავდაცვითი ტექნიკის, მეცნიერებისა და მრეწველობის კომიტეტი, ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო და ორი ჩინური ავიაკოსმოსური კორპორაცია - "ავიკ-1" და "ავიკ-2" არიან. ავიასალონი ჩინეთის სპეციალურ ეკონომიკურ ზონა ჯუჰაიში ტარდება.

■ ■ ■

ჩინეთის სამხედრო უწყებას 2016 წლამდე სამი ავიამზიდის აგება აქვს განზრახული. მაგრამ რამდენადაც საგემბანე ავიაციას ჩინური ავიაინდუსტრია ჯერ არ ამზადებს, ავიამზიდებისთვის სამხედრო თვითმფრნავებს ჩინელები უცხოეთში შეიძენენ. პირველ რიგში, დაგეგმილია საცდელად ორი ცალი რუსული სუ-33-ის შეძენა. არაა გამორიცხული, რომ ამათი ტესტირების შემდეგ, ჩინელებმა კიდევ 48 ცალი გამანადგურებელი შეისყიდონ. თუ ასე მოხდა, რუსული სამხედრო ინდუსტრიისთვის ეს იქნება მოცულობით მეორე უდიდესი გარიგება.

ჩინელები უკვე აშენებენ პირველ ავიამზიდს, რომლის დასრულება 2010 წლისთვისაა ნავარაუდები. პარალელურად, ისინი მოდერნიზაციას უტარებენ უკრაინისგან 1999 წელს შეძენილ ავიამზიდ "ვარიაგს", რომელიც დალიანის პორტში დგას. ორივე ავიამზიდი უცხოური წარმოების თვითმფრინავებით აღიჭურვება, რადგან ჯერჯერობით ჩინეთი არ აწარმოებს საგემბანე ავიატექნიკას.

ჩინეთსა და რუსეთს შორის დადებული კონტრაქტით, პირველი ორი სუ-ს ტესტირების შემდეგ, ჩინეთმა შეიძლება ამ ტიპის კიდევ 48 საბრძოლო მანქანა (თითოეულის ღირებულება 50 მილიონი დოლარია) შეუკვეთოს. ამ შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის გარიგების მოცულობა 2.4 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ამაზე დიდი გარიგება კი რუსებს მხოლოდ ინდოეთთან აქვთ დადებული. ცნობისათვის, ეს კონტრაქტი, რომელიც რუსული ლიცენზიით ავიაგამანადგურებელ სუ-30მკი-ს წარმოებას ინდოეთს დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

ექსპერტების ვარაუდით, იმ გარემოებას, რომ ჩინეთი არ ჩქარობს რუსებისგან სამხედრო თვითმფრინავების მთელი პარტიის (48) შეძენას, ობიექტური გარემოება განაპირობებს. საქმე ისაა, რომ ჩინეთი თავად აპირებს საგემბანე ავიაგამანადგურებლის შექმნას, რისთვისაც საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, უკრაინისგან ერთ-ერთი პირველი საცდელი სუ-33 შეიძინა. იმ დროს ეს გამანადგურებელი ფრენებისთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, მაგრამ რაც მთავარია, ის აღჭურვილია ყველა იმ სისტემით, რომლებიც თვითმფრინავს გემბანზე დასაჯდომად ესაჭიროება.

გარდა ამისა, ჩინელები იმედოვნებენ, რომ მალე ევროსაბჭო მათ მოუხსნის სანქციებს, რომლებიც ევროპელებს ჩინეთისთვის სამხედრო ტექნიკის არმიყიდვას ავალდებულებს. ამ საქნციის გაუქმებით, პირველ რგში, საფრანგეთია დაინტერესებული, რომელსაც ჩინეთისთვის საგემბანე გამანადგურებელ "რაფალის" მიყიდვა სურს.

ევროკავშირის გარდა, ჩინეთისთვის სამხედრო სფეროში სანქციის მოხსნის წინააღმდეგია ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელიც ჩინეთს თავის სტრატეგიულ მეტოქედ განიხილავს და აქედან გამომდინარე, მისი გაძლერება არ აწყობს.

არადა, რიგი პარამეტრების გამო, ჩინელებს ყველაზე მეტად სწორედ "რაფალის" ტიპის გამანადგურებლების შეძენა აწყობთ. ასე რომ, თუ ევროკავშირი სანქციებს მაინც მოხსნის, მაშინ ჩინეთი სუ-ს ნაცვლად თავის არჩევანს სწორედ ფრანგულ საბრძოლო მანქანაზე შეაჩერებს და ეს გაცილებით იაფიც დაუჯდება.

## ბენზინის გაიაფების გამო აშშ-ში მეტი მანქანა იყიდება

2005 წლის ოქტომბერთან შედარებით, რომელიც აშშ-ს ყველა ავტომეწარმისთვის უიღბლო აღმოჩნდა, General Motors-ის გაყიდვები 17,3 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა პიკაპებზე იყო, რადგან მათი საწვავის ფასი შესამჩნევად დაეცა. აშშ-ში ბენზინზე ფასმა მეოთხედით დაიწია მაისთან შედარებით.

"ტოიოტას" გაყიდვები ოქტომბერში 9,2 პროცენტით გაიზარდა, "ფორდის" - 8 პროცენტით, "დაიმლერ კრაისლერის" მოგება კი 1,6 პროცენტით დაეცა და "მერსედეს ბენცის" გაყიდვების ზრდა რომ არა, შეიძლება უფრო მეტად შემცირებულიყო.

General Motors-მა, მსოფლიოში მანქანების უმსხვილესმა მწარმოებელმა, ერთ თვეში 301 ათასზე მეტი მანქანა გაყიდა, "ფორდმა" - 214 ათასზე მეტი, "ტოიოტამ" - 189 ათასზე მეტი.

## რუსეთი სომხეთს ბუნებრივ აირს კვლავ 110 დოლარად მიაწვდის

რუსეთი სომხეთს ბუნებრივ აირს არ გაუძვირებს, - ამის შესახებ ინფორმაციას რუსული ინტერნეტ-გამოცემა "პგკ" სომხეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის, ვარდან ხაჩატრიანის განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც ხაჩატრიანი აღნიშნავს, 2009 წლის 1 იანვრამდე "გაზპრომი" სომხეთს არსებულ ტარიფს - **1000** კუბურ მეტრზე **110** დოლარს შეუნარჩუნებს.

გარდა ამისა, ოფიციალური ერევანი რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ირან-სომხეთის გაზსადენის ექსპლუატაციის უფლებების გადაცემის შესახებაც. საქართველოს მთავრობის რეაქცია, რუსეთის მიერ სომხეთისთვის ტარიფის შენარჩუნებაზე, ჯერჯერობით უცნობია. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა კი არაერთხელ აღნიშნეს, რომ რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის საკითხი მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როდესაც რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის გაზის მიწოდების ღირებულება გაირკვევა.

ნოღაიდელმა 4 ნოემბერს, ენერგოობიექტების მონახულებისას აღნიშნა, რომ საქართველო რუსეთისგან ბუნებრივ აირს არაკომერციულ ფასში არ შეიძენს.

როგორც ცნობილია, 2007 წლიდან რუსული "გაზპრომი" საქართველოს 1000 კუბურ მეტრ გაზს, 110-ის ნაცვლად, 230 დოლარად მიაწვდის. **ინტერპრესნიუსი**






24 საათი

# აფხაზეთი

გამომცემელი ასოციაცია "აფხაზია.ინფო"

გამოცემა მზადდება "ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს" მხარდაჭერით

# ჩვენ!!!



გვ.2



"მთავარი მიზანი - ლტოლვილთა და დევნილთა დახმარება და დაცვა"

გვ.3

## "ბოლომდე მომთმენი გადარჩება"

მარი ჩიტაია

**დალი ხომერიკი** ამერიკის საელჩოს პრესისა და კულტურის განყოფილებაში პროგრამების და საელჩოში არსებული დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის კოორდინატორია. მეათე წელია, რაც ამერიკის საელჩოში მუშაობს. ახალგაზრდა დევნილისთვის საკუთარი ნიჭის რეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა წარმატებული აღმოჩნდა. დედაქალაქში დევნილის სტატუსით ჩამოსულმა, ადვილად შეძლო სინამდვილესთან შეგუება და აქტიურად ჩართვა მშობლიურ, მაგრამ იმხანად მისთვის უცხო საზოგადოებაში. რთული და დაძაბული წარსული უკან ჩამოიტოვა. ადაპტაციის პერიოდმაც თითქმის შეუმჩნევლად განვლო. შედეგმაც არ დააყოვნა.

მიაჩნია, რომ წარმატება შეფარდებითი ცნებაა და მისი არსებობა უამრავი ფაქტორით არის განპირობებული. -**"ზოგისთვის წარმატება ძალიან ძნელად მოდის, დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგად, ასე ვთქვათ, უზღვავი ენერგიის ხარჯზე, ზოგისთვის კი, უბრალოდ, იღბალია. ბუნებით კრიტიკოსს ჩემი თავის ამ ამპლუაში წარმოდგენა საოცრად მიჭირს. დღევანდელი ჩემი მდგომარეობა თვითკმაყოფილების უფლებას არ მაძლევს, სულ უფრო და უფრო მეტის კეთებას ვცდილობ. საერთოდ, წარმატებაზე საუბარი ერთი ჩამოყალიბებული და დადგენილი კრიტერიუმით შეუძლებელია. საზღვრებს ძნელად ჰგუობს, ჩარჩოში ვერ მოაქცევ. ინიციატივა, ენთუზიაზმი, საქმის გადაუღებლობა, მუდმივი განვითარება, საკუთარ თავზე მუშაობა, ინფორმირებულობა და ა.შ. ჩამოთვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს, რადგან წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი უამრავია. ყველაფერი ეს გეხმარება, რომ შენი საქმე გააკეთო ხარისხიანად, ეფექტურად და კეთილსინდისიერად.**

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ჩვენ!!!

მარი ჩიტაია

აფხაზეთის ომის ფსიქოლოგიურად დამანგრეველი გავლენა დღემდე მოგვყვება. საზოგადოებაში არსებული დისბალანსის მიზეზებს ფსიქოლოგები სწორედ ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკურ კონფლიქტებში ეძებენ. ფიქრობენ, რომ ხიდი ამჯერადაც ჩატყდა, ოღონდ - დევნილებსა და ადგილობრივებს შორის.

უფრო ვრცლად, როგორია ამ ურთიერთობების სინამდვილე? რამ გამოიწვია აგრესია? რატომ ვერ იქცა პრობლემა საერთო ტკივილად? რაა საჭირო მოსალოდნელი ადაპტაციისთვის და რამ შეიძლება შეუწყოს ხელი ამ პროცესის სწორად წარმართვას? - ამ და სხვა საკითხებზე ფსიქოლოგი **ნანა ჩაჩუა** გვესაუბრება:





*ნანა ჩაჩუა*

თითქოს ოფიციალურად დაერქვა ყველაფერს "ჩვენ" და "თქვენ", ადამიანები ერთმანეთში ეძებდნენ დამნაშავეს და სწორედ ამ ძიებამ მიგვიყვანა ხიდჩატეხილობამდე

- "ადაპტაციას წინ უამრავი ფაქტორი უძღვის. პირველ რიგში, ის დაძაბულობა, რომელიც საერთო ვითარებიდან გამომდინარეობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე დევნილების მხრიდან. ასე თუ ისე, ეს ხდება იმ რეალობაში, რომელიც ორივესთვის (დევნილი და ადგილობრივი) არსებობს. სხვა შეფასება ექნებოდა, პიროვნება სხვა ქვეყანაში რომ გადაადგილებულიყო. მოხდა ისე, რომ ქართველები საქართველოშივე აღმოჩნდნენ განდევნილნი, ანუ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი დაკარგეს და არა ქვეყანა. აფხაზეთიდან არიან ასევე დევნილები, რომლებიც უცხო ქვეყნებში გადაადგილდნენ. ეს სხვა მდგომარეობაა. დევნილი თუ იმავე ქვეყნის შვილია, ეთნიკური ერთიანობა არის და შეუთავსებლობა მაინც მოხდა, ეს უკვე საერთო პრობლემის ვერგაცნობიერებითაა გამოწვეული ან პირიქით, გაცნობიერებული არის, პირდაპირ ტკივილითაა მიღებული და შინაგანად ისეთი განცდაა, რომ პრობლემა გადაუჭრელია, დროში უსასრულოდ გაწელილი. მოკლედ, ფრუსტრირებულია და მისი გადაწყვეტა პერსპექტივაში არ იკვეთება, არ ჩანს. შეიძლება, ეს დაძაბულობა ამით იყოს გამოწვეული. მთავარი მიზეზი მაინც სოციალური პრობლემების წამოჭრაა. აი, სწორედ მაშინ ღიზიანდებიან ადამიანები როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან და განტევების ვაცის მდგომარეობაში პრობლემასთან ყველაზე ახლოს მდგომნი აღმოჩნდებიან.

**- ამ "გაუცნობიერებელ" პრობლემებს შორის უპირველესად უნდა მოვიაზროთ საქართველოში არსებული კონფლიქტები. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით რა ფაქტორმა იმოქმედა ამ ორად გახლეჩილ ადამიანებზე, რა ვერ გავითვითცნობიერეთ?**

- ეს არის ის, რომ არ ჩანს პერსპექტივა. ომის პერიოდშიც, აგრესია ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილებს შორის გამოწვეული იყო იმითაც, რომ არც ომის მიზეზი ჩანდა, არც მისი მიმდინარეობა, ანუ პროცესები არ იყო გამჭვირვალე. როცა იცი მიზეზი, დამოკიდებულება თვით ამ პროცესების, ამ სირთულეების მიმართ ადეკვატური გაქვს. ბუნებრივია, აგრესია ჩნდება, როცა არ იცი, რატომ დაიწყო ომი და რა მიზანს ემსახურებოდა მისი მიმდინარეობა, არც ის, რა მიმართულებას შეიძენს მომავალში. უფრო ხშირად ეს აღიქმებოდა ქვეყანათა შორის ინტერესებად ან იკვეთებოდა კონკრეტული ადამიანების პიროვნული ინტერესები. დიდ მნიშვნელობას იძენს მოარული ხმების ფაქტორიც. ის კი, რასაც მოარული ხმები ამბობენ, რიგით, ჩვეულებრივ ადამიანებზე ძალიან დიდ მნიშვნელობას ახდენს. ინტერესი იმის გასაგებად, თუ რა დევს ხელშეკრულებაში, რა პოლიტიკური დაკვეთებია და როგორი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მასაზე უდიდეს გავლენას ახდენს. მართალია, ნაკლებად მოქმედებს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, მაგრამ აისახება შედეგებში ანუ რეალური ხმები რასაც ამბობენ, ამ შემთხვევაში ადამიანზე არის მოქმედი. პროცესი, აფხაზეთის ომის სახელწოდებით, დღესაც აბსულუტურად დახურულია. ესეც ამ დაყოფის ერთ-ერთი მიზეზია. რეალობა გაუგებარი გახდა მონაწილეებისთვისაც კი, რომლებიც ამ ომში იბრძოდნენ და, მითუმეტეს, მოსახლეობისთვის. როდესაც ასეთი გაუგებრობა-გაუცხოება ხდება, ის ერთ საერთო პრობლემად ვერ აღიქმება. იმთავითვე ამას დაერქვა ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტი, რაც არ იყო სიმართლე. ყველაფერი ეს იმ პროცესების ნაწილია, რეზულტატი, რომელიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს.

**- თქვენის აზრით რამდენად შეგუებულია დღეს დევნილი თავის ხვედრთან? თუ გავითვალისწინებთ, რომ მოხდა თაობათა ცვლა, იმ მოზარდებში, რომლებიც დევნილობაში დაიბადნენ და გაიზარდნენ, ძნელია შეუგუებლობის ელემენტების დანახვა. ხომ არ ფიქრობთ, რომ მათ ცნობიერებაში ის ღირებული, რაც საკუთარ ფესვებს უკავშირდებოდა, გადაფასდა? რა ხდება სინამდვილეში, რა პროცესებთან გვაქვს საქმე, ხომ არ არის ეს იმ ადაპტაციის საწყისი, რომლის არარსებობაზე ასე ხშირად ვსაუბრობთ საზოგადოებაში?**

-როგორც ასეთი, შემგუებლობა ადამიანის, საერთოდ, ცოცხალი ორგანიზმის ერთ-ერთი პოზიტიური მხარეა. თუმცა ამ შემგუებლობას აქვს მეორე მხარეც, საკმაოდ ნეგატიურია მოვლენები, რომელსაც ადამიანი შინაგანად ვერასოდეს ვერ მიიღებს და ვერ შეეგუება. არის პირიქითაც, შეეგუები და სწრაფადაც. მაგალითად, თუ ქართველობა, ქართული არის არსებობის ღერძი, მაშინ ტკივილი შეუგუებელია, მაგრამ თუ სოციალური, მატერიალური არსებობა გახდება პიროვნებისთვის პრიორიტეტული, სამშობლო ვერასოდეს ვერ იქნება არსებობის არსი. ახალი თაობა, რომელიც მოდის და კიდევ მოვა, თანდათან კარგავს ერთიანი ქვეყნის მნიშვნელობას. ეს ღირებულება ვერ თავსდება მასში, უბრალოდ, ადგილი არ რჩება. საერთოდ, ადამიანისგან ღირებულების მიღებას გარკვეული ზღვრები გააჩნია. აქ, მცნებათა ამ სამყაროში სიტყვები მოქმედებენ. იქ კი, სადაც სიტყვები არიან მომქმედნი, მცნება "სამშობლო", "ერთიანი ქვეყანა" ვერ იქნება დიდი მნიშვნელობის მატარებელი.

**- ანუ გადაფასება მოხდა?...**

- დიახ, ხდება და ეს არის ეპოქის პროცესი. პოლიტიკური მიმართულების ორი გზა არსებობს. ერთი გზა ამ მცნებათა სამყაროში სამშობლოს არ იტოვებს, მეორე გზა კი სწორედ ამ მცნებაზეა აგებული. რა მიმართულებით მიდის დღეს კაცობრიობა და რა მიმართულებითაც მიდის საქართველო, ეს საკითხი გადაწყვეტს იმ მომავალი თაობის ადგილსაც. გავა დრო, წარმოიდგინეთ, ბარიერი არ იქნება.

აქვე მინდა გავუსვა ხაზი, არსებობს მოთხოვნილებათა იერარქია: ფუნდამენტალური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების და ა.შ. უსაფრთხოების მოთხოვნილებაა, რომ დაცული იყოს ადამიანი, ეკუთვნოდეს ერთ ქვეყანას, ერთ ტრადიციას, ერთ კულტურას... ეს სამშობლოა, მაგრამ ვილაცისთვის არ არის აქ ადგილი, რადგან მთავარი ფუნდამენტალური მოთხოვნილებები არ არის სრულყოფილი. აქ არის, ამ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი, რომ ასაზრდოოს თავისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება. ეს ხდება მისთვის პრიორიტეტული ანუ მოთხოვნება და გემოვნება გადაკვეთილია. ამ ყველაფრის გარეშე ძნელია მაღალ ღირებულებებზე გადასვლა.

**- ბუნებრივია, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანი ადამიანის მიმართ გაუცხოვდა. როგორც ახსენეთ, ვერც საერთო ტკივილი გახდა გასაგები. რა ფაქტორს შეუძლია ამ შემთხვევაში გავლენის მოხდენა დაშორიშორებულ მხარეებზე?**

**როგორ ფიქრობთ, დღეს დევნილი და ადგილობრივი საზოგადოება რამდენად არის მზად, რომ შემცირდეს მათ შორის, არსებული დისტანცია?**

- ამ გაუცხოების, არსებული დისტანციის მიზეზს მე მაინც აფხაზეთის ომიდან ვპოულობ. საერთოდ, ამ ადამიანებისთვის პრობლემა იმთავითვე იყო გაბუნდოვანებული იმ თვალსაზრისით, რომ არ იცოდნენ, რა ხდებოდა საქართველოში. ერთნი თავდადებულნი იყვნენ, მეორენი ამით სარგებლობდნენ. საერთო ჭირი არ არსებობდა. როდესაც ილია ხიდჩატეხილობაზე საუბრობს, შემოერტყაო ერთ ჭირსა და ლხინს ღობე, მეორე ჭირსა და ლხინს - სხვა. იგივე პრობლემაა დღესაც. იქ სხვა ჭირი და ლხინი აღმოჩნდა, აქ -სხვა. ერთ საერთო პრობლემად ვერ გაცნობიერდა მომხდარი. ნურავინ მიწყენს, სიტყვა სამშობლო არ არსებობდა, როდესაც პრობლემაზე (კონფლიქტზე) უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა. მაშინ რთული დასანახი იყო, ახლა უფრო იკვეთება, რომ მუშაობა არ წავიდა ამ მიმართულებით. თითქოს ოფიციალურად დაერქვა "ჩვენ" და "თქვენ", ერთმანეთში ეძებდნენ დამნაშავეს და სწორედ ამ ძიებამ მიგვიყვანა ხიდჩატეხილობამდე.

**- ქალბატონო ნანა, ალბათ, დრო ყველაფერს დაარეგულირებს, როგორც ამბობენ, მოხდება ადაპტაცია და ეს ადამიანებიც ერთმანეთისთვის აღარ იქნებიან უცხონი. რამ შეიძლება შეუწყოს ხელი ამ პროცესის სწორად წარმართვას?**

- ადაპტაციისთვის, პირველ რიგში, გაცნობიერებაა საჭირო, პრობლემების სახელდება, რომ გაცხადდეს მომხდარი. იმას კი არ ვგულისხმობ, ვინ გვიღალატა და როგორ ოყო, მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ, ჩვენსავე ხასიათში და მენტალიტეტში. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ საკუთარ თავზე მჯიღის ცემა იყო აფხაზეთის ომი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქართველთა გამანადგურებელი. დიდია ფიზიკური მსხვერპლი, მაგრამ ასევე დამანგრეველია ფსიქიკისთვის. აფხაზეთში ფსიქოლოგიური ომი მოხდა, რადგან დარტყმის ობიექტს ამ შემთხვევაში საკუთარი ღირსება წარმოადგენდა. უნდა დაცემულიყო თვითშეფასება და დაეცა კიდეც. ჯერ ფსიქოლოგიურად გაიხლიჩა ხალხი, ერთი საერთო ინტერესი გაქრა. გაჩნდა ურთიერთუნდობლობა, შემდეგ კი - საერთო გლობალური უნდობლობა და ნიჰილიზმი. გულგრილობის საუკეთესო ნიმუშები თვალწინ გვაქვს. გარე სამყარომ იმდენად ჩაკეტა ადამიანი, რომ აბსოლუტურად სხვად იქცა. წარმოიდგინეთ, ფანჯრიდან იყრება ნაგავი, რაც არ უნდა დაასუფთავო, ქუჩაში ნაგავი ყრია, ადამიანისთვის ყველაფერი გაუცხოვდა. ის ნეგატიური, უარყოფითი მხარე, რომელიც ყოველთვის შეიძლება იყოს ქვეყანაში, არსებობის საფუძველი გახდა.

**- თავად თქვენ, ამ შემთხვევაში, როგორც თბილისელს, რამდენად გაქვთ შეხება დევნილებთან, როგორ ფიქრობთ, იცნობთ ამ ხალხს?**

- რა თქმა უნდა, ხშირად ვურთიერთობ დევნილ ახალგაზრდობასთან. როგორც ფსიქოლოგს, ხშირად მომმართავენ, მოდიან სხვადასხვა პრობლემებზე რჩევისთვის. სამწუხაროდ, ეს გამოწვეულია მათი სოციალური მდგომარეობით. მიდგომებით, რომლებიც საერთოდ არსებობდა დევნილების მიმართ ხელისუფლების მხრიდან. საკუთარი თავის მიმართ ამ ადამიანებს ისეთი დამიკიდებულება აქვთ, რაც ზრდის ფაქტორს "ჩვენ" და "ისინი". ისინი უნდოდ არიან საერთო პრობლემის მიმართ, თავიანთ სამყაროში ჩაიკეტნენ. თითქოს არც ფიქრობენ, რომ მათი პრობლემით ვინმეა შეწუხებული. მე მგონია, საკუთარი თავი მიუღებლად, გარიყულად წარმოიდგინეს და ასე წარსდგნენ დანარჩენი საზოგადოების წინაშეც.

**- ხომ გახსოვთ მწერლის ფრაზა? - "ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან - არ ვიცით ხოლმე"... იქნებ, ამ ადამიანებისთვის ასეთ ქალაქებად იქცნენ (თუ უკვე არ იქცა) თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, სენაკი... ხომ შესაძლებელია?**

- ვფიქრობ, უკვე იქცა! მეტსაც ვიტყვი, მთელი სამყარო... შეიძლება ეს სევდიანად ჟღერს, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა!

**მთავარი რედაქტორი:** ირაკლი კორძაია. **ჟურნალისტები:** მარი ჩიტაია; ინგა ალავიძე; ზაზა ფაჩუაშვილი
**ტელ.:** 39-19-18
**პუბლიკაციებში დაფიქსირებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას**

# ბერით ოლსენი: "მთავარი მიზანი - ლტოლვილთა და დევნილთა დახმარება და დაცვა"

## ინტერვიუ კავკასიაში ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს რეგიონალურ დირექტორთან



*ბერით ოლსენი*

*"ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მიზანი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ანუ დევნილთა დახმარება და დაცვა გახლავთ. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორი ჯგუფის გამიჯვნა - ლტოლვილი ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასული ადამიანია, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირი ანუ დევნილი - ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირი. მათ დახმარებას და დაცვას ჩვენ მთელი რიგი სპეციფიური პროგრამების საშუალებით ვახორციელებთ: მშენებლობის, განათლების და იურიდიული დახმარების პროგრამები, ამბობს ბერით ოლსენი, საერთაშორისო ბიუროს ორგანიზაციის რეგიონალური ხელმძღვანელი.*

**- როგორ შეაფასებდით "ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს" მუშაობას საქართველოში?**

- საქართველოში 1994 წლიდან ვმუშაობთ. თავდაპირველად რეგიონალური ოფისი დაფუძნდა. მთავარი საზრუნავი დევნილების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა გახლდათ, ამიტომაც დავიწყეთ იმ შენობების შეკეთება, სადაც ისინი მთავრობამ შეასახლა. ვარიგებდით საყოფაცხოვრებო საგნებს. 1995 წლიდან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა წამოვიწყეთ, რომელმაც ოთხი წელი გასტანა. ამას გარდა, ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა, რომლის მეშვეობითაც დევნილთა საჭიროებების რეალური სურათი მივიღეთ. ჩატარდა მთელი რიგი ტრენინგები კონფლიქტოლოგიის თემაზე დევნილი ახალგაზრდებისა და, ასევე, ჟურნალისტებისათვის. შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა, რომლის დახმარებითაც დევნილებს საკუთარ უფლებებზე ვაწვდით ინფორმაციას.

**წარმოიდგინეთ, საკუთარ სახლებს და ქალაქებს მოწყვეტილი ადამიანები. მათი მდგომარეობა მხოლოდ სევდით და ნოსტალგიით როდი შემოიფარგლება.**

**- როგორ ფიქრობთ, რა საჭიროებებს განიცდიან დევნილები დღეისათვის, გაიზარდა თუ არა პრობლემების რიცხვი და რა ღონისძიებებია ჩასატარებელი?**

- წარმოიდგინეთ, საკუთარ სახლებს და ქალაქებს მოწყვეტილი ადამიანები. მათი მდგომარეობა მხოლოდ სევდით და ნოსტალგიით როდი შემოიფარგლება. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამ ხალხს უჭირს თავი წარმოიდგინოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით 45% კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს. ამდენად, თავად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მათი საყოფაცხოვრებო პირობები - უმეტესობა საერთო სველი წერტილებით სარგებლობს. ვისაც უფრო გაუმართლა, ან საერთო საცხოვრებელში იპოვა თავშესაფარი ან სახელმწიფო აგარაკებზე. ვისაც არა - ან პოლიკლინიკის შენობაში ცხოვრობს ან საავადმყოფოში. წარმოიდგინეთ, ერთ ოთახში ოჯახი ცხოვრობს, კედლის იქეთ კი პალატაა. ასეთი მძიმე ყოფის ერთ-ერთ მიზეზი საკუთარი უფლებების არცოდნაა. "ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო" ამ მიმართულებით დიდი ხანია მუშაობს - ვცდილობთ, მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ დევნილებს საკუთარ უფლებებზე. ვახორციელებთ სპეციალურ პროექტს, ვუწევთ იურიდიულ კონსულტაციას თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. იურისტებით დაკომპლექტებულ მობილური ჯგუფები ხშირად გადიან კოლექტიურ ცენტრებში და კონსულტაციას უწევენ დევნილებს როგორც ადგილზე, ასევე ჩვენი იურიდიული დახმარების ცენტრებიდან.

**- კითხვა, რომელიც განსაკუთრებით დააინტერესებს დევნილ მოსახლეობას - რა ტიპის პროექტებს განახორციელებს თქვენი ორგანიზაცია უახლოეს ხანებში, შეიცვლება თუ არა პრიორიტეტები?**

- უპირველესად ჩვენ შევეცდებით განვაგრძოთ უკვე წამოწყებული პროექტები.

ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოს დამოკიდებულება დევნილთა მიმართ, ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა, რათა არ განმეორდეს ისეთი შემთხვევა, როგორსაც ადგილი ჰქონდა აჭარაში: როდესაც დევნილებს სასტუმროებიდან იძულებით ასახლებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ხოლო შეთავაზებული ალტერნატიული ფართი არსებითად აუარესებდა მათ ყოფას და რისკის ქვეშ აყენებდა მათ ჯანმრთელობას. ამავე დროს, დამაიმედებელია ის გარემოება, რომ ხელისუფლება მუშაობს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე. ამ პროცესში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, "ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო" აქტიურ მონაწილეობას იღებს. სტრატეგია მიზნად ისახავს დევნილთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებას და მათ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთანავე, დევნილთა ნებაყოფლობით, ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისთვის სათანადო პირობების შექმნას.

**ჩვენი სტრატეგია მიზნად ისახავს: დევნილთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებას და მათ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.**

***"აფხაზეთი"***

---

ანა კორძაია-სამადაშვილის სვეტი



## ავრამიკო

ავრამიკო სოხუმელი იყო, დეპოელი. იმხანად, დიდი-დიდი, 23 წლისა იქნებოდა, მაგრამ მე მთლად ახალგაზრდა ვიყავი და მეგონა, რომ ავრამიკო "ვზროსლია". ავრამიკო ბერძენი ბრძანდებოდა და დღესაც შემიძლია გულზე ხელის დადებით ვთქვა: მე იმაზე ლამაზი კაცი არასოდეს მინახავს.

ავრამიკო აკორდეონზე უკრავდა. ქორწილებში იწვევდნენ ხოლმე. მოიხვევდა მკლავზე თეთრ პირსახოცს - შიგ სტუმრები ფულს უტენიდნენ - გადაწელავდა თავის სასწაულ საკრავს და მღეროდა. ჰოი, რას მღეროდა! ყველაზე ბრიყვული სიმღერაც კი გულიდან სისხლს გადენდათ. თან, როგორც მოგახსენეთ, ძალიან ლამაზი ბიჭი იყო.

ლადარიას ქუჩაზე იმდენნი ვცხოვრობდით, იმდენი სხვადასხვა ჯიშ-ჯილაგისანი! ჩვენი ბინა სოხუმის მულტიკულტურულობის ნათელი სახე იყო. ავრამიკოს მიაჩნდა, რომ ქალის საჭმელი კაპიკად არ ვარგა და იმის საჩვენებლად, თუ როგორ უნდა საქმის კეთება, პურის ცხობისგანაც კი დიდ შოუს მართავდა. გააქანებდა ცომის გუნდას, მაგიდაზე დაახეთქებდა - ბახ! და ამაყად გადმომხედავდა ხოლმე. ძალიან შთამბეჭდავი იყო.

- ავრამიკო! - მოსძახოდა პატარა საძინებლიდან მასპინძლის მამა, სედრაქი, ჩვენში დარჩეს და, ავი და საძაგელი კაცი.

- ჰაჯანა! - ყვიროდა ავრამიკო და კვლავ - ბახ!

- გამოცხვა? - იმას კი ვერ ეუბნებოდა, ნუ აბრახუნებო.

ავრამიკოს ასავალ-დასავალი აღარ ვიცი. ათიოდე წლის წინათ მითხრეს, საბერძნეთშიაო. თუ ასეა, კიდევ რა უშავს, თუმცა ძალიან კი ეჯავრებოდა თავისი ისტორიული სამშობლო: ცხელა, ხე არ იზრდება, ხალხი უჟმურიაო. ე, რა ვიცი...

ვერ დავიბრალებ, რომ დღედაღამ ავრამიკოზე ვფიქრობ. უბრალოდ - ხომ ვერაფრით მიხვდები, რა პრინციპით ამოაგდებს ხოლმე მეხსიერება რაღაც ამბავს - მეზობელი, ჩანს, ხორცს ბეგვავდა ან რაღაც ასეთი ხდებოდა, და დილის ტკბილ ძილში შემოიჭრა: ბახ!

სოხუმში მინდა, ლადარიაზე. მინდა ავრამიკოს გამომცხვარი პური და ჯანდაბას, სედრაქას ყვირილსაც ავიტან. ოღონდ დროზე მინდა, თორემ სიბერეს რომ იქ გავატარებ, ეგ ისედაც ვიცი. ისიც ვიცი, რომ სიბერეს ავრამიკოც იქ გაატარებს, მაგრამ თუ იმ დროისთვის ისე მოხუცდა და მოტყდა, რომ ველარც იმღერა და ველარც პური გამოაცხო, მაშინ რაღა ხეირი...

# ლეგიტიმური ხელისუფლება - ზემო აფხაზეთში

მარი ჩიტაია

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის მთავრობის გადასვლამ ფუნქციების გადანაწილება გამოიწვია ლეგიტიმურ ხელისუფლებაში. თითქმის ახლახან დასრულებული რეორგანიზაციის პროცესი შესაძლოა უახლოეს მომავალში ისევ განხორციელდეს, ამჯერად განსხვავებული ფორმით. ნებისმიერი დევნილი სტრუქტურა, რომელიც თავს იყრის დედაქალაქში, პარალელურად იმუშავებს კოდორის ხეობაში და ასევე ყველა რეგიონში, სადაც დევნილთა უმეტესობაა თავმოყრილი. მათ აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობა ადგილზე მოემსახურებათ. ლეგიტიმური ხელისუფლების შემადგენლობა შეიცვლება პერმანენტულად. ასეთია პრეზიდენტის გადაწყვეტილება. მასში ცალსახადაა გამოხატული უდიდესი პასუხისმგებლობის პოლიტიკური ფუნქციები, რომლებიც მიმდინარე და შემდგომ ეტაპებზე დაეკისრება დევნილ მთავრობას მოლაპარაკების პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენისა და, საერთოდ, ტერიტორიული მთლიანობისათვის სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საკითხებში.

რა ფუნქციური დატვირთვით იმუშავებს ლეგიტიმური ხელისუფლება? ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე **პაატა კაკულია.**


*პაატა კაკულია*

**- როგორ განისაზღვრა დევნილი მთავრობის ფუნქციები მისი მორიგი სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ? საერთოდ, რა შეიცვალა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ზემო აფხაზეთში გადასვლიდან დღემდე?**

- რამდენადაც ცნობილია, კოდორის ხეობის სპეცოპერაციის შემდეგ აფხაზეთის მთავრობის ამოცანები და ფუნქციები ძირფესვიანად შეიცვალა. ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ის, რომ, აფხაზეთის მთავრობა უნდა განთავსდეს ზემო აფხაზეთში და სწორედ ამ ტერიტორიაზე გააგრძელოს უფლებამოსილება. ამ მიმართულებით გატარებულია რიგი სამუშაოები, მომზადდა შესაბამისი ოფისები და უკვე ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ ლეგიტიმურ ხელისუფლებას გააჩნდეს ნორმალურ პირობებში არსებობის საშუალება. რაც მთავარია, უშუალოდ მას დაევალა დევნილებთან მუშაობა, მათთვის საყოფაცხოვრებო, სოციალური და სხვა პირობების გაუმჯობესება. ეს ფუნქცია დევნილობაში ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს ამ მთავრობისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ ჩვენი სტრუქტურების შემადგენლობა და საქმიანობაც შეიცვალა. ახლახან შეიქმნა ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ადგილზე განახორციელებს აფხაზეთის მთავრობის საქმიანობას. 2004 წლის დასაწყისში ჩვენს სტრუქტურებში 17 სამინისტრო იყო, დარჩა - 4. ადრე 5 ათასამდე პირი ირიცხებოდა სამთავრობო დაწესებულებების შემადგენლობაში, ახლა მათი რიცხვი დაახლოებით ხუთასია. მოხდა სტრუქტურული და საკადრო შემცირება. ის სამსახური, რომელიც თითქმის უფუნქციო მდგომარეობაში იმყოფებოდა, გაუქმდა. ამ ეტაპზე ყველა ჩვენი სტრუქტურა წარმოდგენილია ოპტიმალური სახით. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის მთავრობისთვის ახალი პრიორიტეტები ისახება, რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს. ახლა კი ძირითადად შენარჩუნებულია ის უწყებები, რომელთა არსებობაც მთავრობის შემადგენლობაში აუცილებელია. ეს არის ფინანსთა სამინისტრო, დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, ეკონომიკის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები. ის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზემო აფხაზეთის განვითარებას, ამ უწყებების ერთობლივი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

**- თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, მოსალოდნელ რეორგანიზაციაზე მაინც საუბრობთ. რა შეიცვლება ძირითადად და როგორ აისახება ეს პროცესი აფხაზეთის სტრუქტურებში მომუშავე კადრებზე?**

- ჯერჯერობით ეს საუბრის დონეზეა. რეორგანიზაცია განხორციელდება გამომდინარე იქიდან, რა ამოცანებსაც დაგვისახავს ცენტრალური ხელისუფლება. დამოკიდებული იქნება იმაზე, რა მიმართულებითაც გაძლიერდება მუშაობა. ვფიქრობ, რომ ეს იქნება უფრო სტრუქტურული რეორგანიზაცია, ვიდრე კადრების შემცირება.

**- ამ ეტაპზე რა დატვირთვა შეიძინა ლეგიტიმური სტრუქტურების ფუნქციონირებამ ხეობაში?**

- ვისაც ნამდვილად წაადგა ჩვენი სტრუქტურების იქ ყოფნა, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობაა. ხეობა დიდი ხნის განმავლობაში იყო მივიწყებული, ხალხი ნორმალურ ცხოვრებას ჩამოშორდა, არ გააჩნდათ ელემენტარული არსებობისთვის საჭირო პირობები. მეტიც, სახელმწიფოს არც კი ახსოვდა ამ ხალხის არსებობა. ამიტომაც არის ჩვენი იქ ყოფნა გამართლებული, უპირველესად სწორედ ამ ადამიანებისთვის. ბოლოს და ბოლოს, ხალხმა ამოისუნთქა.

# სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა და ჯანმრთელობა

*სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მთავარი ღირებულება ჯანმრთელობის დაცვის პოლისია, რომელიც პროგრამაში მონაწილე თითოეული დევნილისთვის 2000 ლარის ღირებულების სამედიცინო დახმარებას ითვალისწინებს. ის დევნილები, რომლებმაც ამ შეღავათის აუცილებლობა გაითავისეს, თავგამოდებით ითხოვენ პროგრამაში მოხვედრას, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. განაცხადის შემდეგ ყოველ ოჯახს სოციალური აგენტი ამოწმებს, სიღარიბის დონეს აფასებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება. პროგრამასთან დაკავშირებით ვესაუბრებით აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის და სოციალური დაცვისა დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ* ***მზია ჯალაღონიას.***

ზაზა ფარუაშვილი

**მზია ჯალაღონია:** ეს პროგრამა დროული და აუცილებელი იყო, ვინაიდან, მართლაც ბევრია ისეთი ხალხი, ვისაც ძალიან უჭირს. მაგრამ ამ პროგრამის ავკარგიანობა ბევრისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია. ზოგი პროგრამაში მოხვედრას დაჟინებით ითხოვს, ვინაიდან უმუშევარია და სხვა საარსებო სახსარი არ გააჩნია. სხვათა შორის, იმ დევნილთა 80%, რომელმაც განაცხადი გააკეთა, უმუშევარია.

თავდაპირველად სიღარიბის სახელმწიფო პროგრამაში ცოტა დევნილი ჩაერთო, რაც, ალბათ, ინფორმაციის ნაკლებობით იყო გამოწვეული (დევნილებს ეგონათ, რომ თუ სახლში ტელევიზორი ან მაცივარი ექნებოდათ, პროგრამის მონაწილე ვერ გახდებოდნენ). ამ მხრივ აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ქალბატონმა დალილა ხორავამ დიდი სამუშაო გასწია და ეს სტერეოტიპი მოისპო. ყველამ გაიგო, რომ დევნილებისთვის ამ პროგრამაში მონაწილეობა მათთვის სასარგებლო იქნებოდა. სწორია ის მოსაზრებაც, რომ დევნილი სოციალურ დახმარებას ერთ ადგილას უნდა ღებულობდეს და აქეთ-იქით სიარული არ სჭირდებოდეს.

**- ვის შეუძლია გახდეს პროგრამის მონაწილე?**

- პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მიჩნია, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. სხვა საკითხია, ვინ დააკმაყოფილებს პროგრამის პარამეტრებს და მიიღებს სახელმწიფო დახმარებას.

**- როგორია პარამეტრები?**

- ვინც მოაგროვა 52 ათასი ქულა და ნაკლები მან მიიღო სოციალური შემწეობა და სამედიცინო პოლისიც. ყოველთვიური შემწეობა ოჯახზე არის 30 ლარის ოდენობით, პლუს 12-12 ლარი ყველა ოჯახის წევრზე. რა თქმა უნდა, ეს თანხა სამყოფი ვერ იქნება, მაგრამ, პურის ფული მაინცაა. 100 ათას ქულამდე ვინც დააგროვა, ყველამ მიიღო ჯანდაცვის პოლისი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა, ვინაიდან პოლისი რეალურად ფინანსდება და დევნილი ყველა საჭირო სამედიცინო დახმარებას იღებს.

**- როგორია პროგრამაში მონაწილეობის მექანიზმი?**

- ადამიანი აკეთებს განაცხადს, რის შემდეგაც მის ოჯახში მიდის სოციალური აგენტი. აგენტი ავსებს სპეციალურ კითხვარს, რომლის მიხედვითაც დგინდება ქულებში გამოხატული სიღარიბის დონე - რა შემოსავალი აქვს ოჯახს, რა ქონებას ფლობს, რამდენი ავადმყოფი ჰყავს და ა.შ. ეს სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციაა და უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება იქ შეიძლება.

**- განცხადებიდან რამდენ ხანში შეიძლება დახმარების მიღება?**

- განცხადებიდან თვენახევარში სოციალური აგენტი ვალდებულია მივიდეს ოჯახში და შეაფასოს მისი სიღარიბის დონე. ამის შემდეგ უკვე დახმარების მიღებაც შეიძლება.

**- რამდენი განცხადება გაკეთდა სულ და რამდენი დაკმაყოფილდა?**

- თბილისში დეკლარირებულია 28 065 ოჯახი, დახმარებას იღებს - 8 191. სოციალურ დახმარებას იღებს 8 122 ადამიანი, სამედიცინო პოლისით სარგებლობს 22 552 ადამიანი, ელექტროენერგიაზე ვაუჩერს ფლობს - 7 964 ადამიანი.

**- აქამდე ისინი რა დახმარებას იღებდნენ?**

- დევნილები იღებენ შემწეობას 14 ლარის ოდენობით კერძო სექტორში მცხოვრებნი და 11 ლარის ოდენობით კომპაქტურად ჩასახლებულები. ამის გარდა 2002 წლიდან მუშაობს სოციალური დახმარების პროგრამა ე.წ. საოჯახო დახმარება, რომელიც გათვლილია 7 კატეგორიაზე (მატროხელა პანსიონერები, ობოლი ბავშვები, უმწეო ოჯახები, პირველი ჯგუფის უსინათლოები, 18 წლამდე ინვალიდები და. ა.შ.), რომელიც ყოველთვიურად დამატებით ღებულობენ 22 ლარს.

ამასთან დაკავშირებით ერთი პრობლემა წარმოიშვა. მარტოხელას მაგალითს მოვიყვან, რომელიც ღებულობს შემწეობას 14 ლარს და სოციალურ დახმარებას 22 ლარს. თუ ის სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაში მოხვდება წინა დახმარება ეხსნება და ენიშნება 30 ლარი, ანუ 6 ლარით ნაკლები. ეს აშინებს ზოგიერთს, მაგრამ ჩვენ ყველას ვუხსნით, რომ იმ 6 ლარის მაგივრად (თუ შეიძლება ასე ითქვას) დევნილი იღებს ჯანდაცვის პოლისს, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველას ვუხსნით, მაგრამ ზოგს მაინც ის 6 ლარი ურჩევნია.

ზოგს კი ჰგონია, რომ რადგან შემწეობა მოესნება, დევნილის სტატუსიც დაეკარგება. ეს აბსურდია და ამ საკითხზეც მუდმივად გვიწევს განმარტების მიცემა, მაგრამ დევნილებს ამისი მაინც ეშინიათ. ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, ჩვეული შემწეობები დაეტოვებინათ იმ დევნილებისთვის, ვინც "სიღარიბის პროგრამაში" მოხვდა. თუმცა, დაფიქსირებული ამ გაუგებრობის მხოლოდ ერთეული შემთხვევებია.

# ორიენტირი - სოციალური სფერო




*ქართველი ბავშვები სამკურნალოდ უკრაინაში იმყოფებიან*

ზაზა ფაჩუაშვილი

*აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის* ***დალილა ხორავას*** *განცხადებით, ავტონომიური რესპუბლიკის მომავალი წლის ბიუჯეტი დევნილთა სოციალურ პრობლემებზე იქნება ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით ბიუჯეტში საგრძნობი მატებაცაა მოსალოდნელი, რათა საქართველოში ყველაზე დაუცველი ფენა - დევნილები სიღატაკის მსხვერპლნი არ გახდნენ. ამ საკითხებთან დაკავშირებით ქალბატონ* ***დალილა ხორავას*** *ვესაუბრებით.*

**- როგორია აფხაზეთიდან დევნილთა აღრიცხვის მონაცემები?**

- ბოლო მონაცემებით, რომელიც გაავრცელა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, საქართველოში 248 ათასი დევნილი ცხოვრობს. ჩვენი, აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, დევნილთა რაოდენობა ცოტათი მეტია. ეს ყველაფერი დაზუსტდება დევნილთა ხელახალ რეგისტრაციისას, რომელიც, სავარაუდოდ, წელს მოხდება.

**- როგორ ცხოვრობენ დევნილები?**

- დევნილების 80% უმუშევარია და მათი ძირითადი მასა დასავლეთ საქართველოს რეგიონებშია თავმოყრილი. ქალაქებში - თბილისში, ბათუმში და ქუთაისში დევნილები ასე თუ ისე დასაქმებულები არიან მცირე ბიზნესით. სხვაგან უმუშევრობა და დიდი გაჭირვებაა.

ეს ხალხი ძირითადად სახელმწიფო დახმარებით არსებობს. მართალია 14 ლარი და ინდივიდუალური დახმარება დიდი შვება არაა, მაგრამ თქვენ იცით, რომ საქართველოში აგვისტოდან პრაქტიკულად ამუშავდა სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც დევნილებიც არიან ჩართულნი. ამ პროგრამის შესაბამისად მთელ საქართველოში რეგისტრაცია გაიარა 33 ათასმა ოჯახმა, რაც ჯამში 200 ათას ადამიანს შეადგენს. რეგისტრირებულებიდან სახელმწიფო დახმარებას იღებს 10 517 ოჯახი.

**- რა დახმარებაზეა საუბარი?**

- პირველი კომპონენტია ფინანსური დახმარება, მეორე - ჯანდაცვის პოლისის გაცემა, მესამე - დახარჯული ენერგიის საფასურის ანაზღაურება. არიან ისეთი დევნილები, სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრებნი, რომლებიც სამივე დახმარებას იღებენ (ასეთია 10%-მდე).

ეს პროგრამა იმით არის კარგი, რომ მოიცავს ძალიან სერიოზულ ჯანდაცვით კომპონენტს. ერთ ადამიანზე გათვლილია 2000 ლარის დახმარება და ეს არ არის ის აუნაზღაურებელი პოლისი, რომელიც ჩვენ გვახსოვს. საქმე გვაქვს რეალურად ანაზღაურებად პოლისებთან. ამ პოლისის მფლობელ ადამიანს საშუალება ეძლევა, იმკურნალოს საუკეთესო კლინიკებში. თანაც ეს ეხება არა გადაუდებელ მდგომარეობებს, რაც 75%-ით ისედაც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით, დევნილებისთვის გადაუდებელი მდგომარეობები 100%-ით დაფინანსდება.

ჯანდაცვის მხრივ დევნილებისთვის წელსაც დიდი საქმე გაკეთდა. მაგალითად, დავიქირავეთ კომპანია (ჯავრიშვილის "ოფთალმიჯი"), ჩავედით ზუგდიდში და ყველა დევნილს, ვისაც სჭირდებოდა, კატარაქტის ოპერაცია გავუკეთეთ. კლინიკა ძალიან დაგვეხმარა იმით, რომ ექიმებმა საკუთარი შრომის ანაზღაურებაზე უარი თქვეს.

ადამიანები წლობის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ იყვნენ ბრმანი, რომ კატარაქტის ოპერაციის გასაკეთებელი ფული არ ჰქონდათ (დღეს მისი ღირებულება 680 ლარია). თვალებახილულნი კი ... ბებიამ მოითხოვა, შვილიშვილი მანახეთო; ერთმა ზევით აიხედა და თქვა, რა ლამაზი ყოფილა ცაო და ა.შ.

ახლა მთელი იმერეთი გვეხვეწება, ჩვენთანაც ჩამოდითო და უკვე პაციენტთა სიებს ვადგენთ.

მეორე საკითხია დიაბეტით დაავადებულ დევნილ ბავშვთა დახმარება, რომლებისთვისაც შევიძინეთ ერთი წლის სამყოფი ჩხირები და მათ უფასოდ ვარიგებთ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი მეგობარი ქვეყნის, უკრაინის დახმარება. მადლიერების გრძნობის გამოსახატავად სიტყვები არ მყოფნის. კოდორში და გალის რაიონში ცხოვრობენ ბავშვები, რომლებიც ნაღმზე აფეთქდნენ და სხვადასხვა სახის სერიოზული ტრავმები მიიღეს. ზოგმა თვალის ჩინი დაკარგა, ზოგმა - კიდურები. ჩვენ დახმარებისთვის მივმართეთ უკრაინის ელჩს ბატონ მიკოლა სპიცსს, რომელმაც დიდი გულისხმიერება გამოიჩინა. მან 11 ბავშვი გაამგზავრა უკრაინაში, რომლებიც სამი კვირის განმავლობაში მკურნალობდნენ. კოდორელ შავლეგ გუჯეჯიანს ქვედა კიდურების პროტეზირება გაუკეთდა ისე, რომ იცეკვა კიდეც; გალელ ლადო შონიას თვალის ჩინი დაუბრუნეს და ა.შ.

**- კოდორში თუ ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები და როგორია მათი სოციალური პირობები?**

- მოგეხსენებათ, რომ კოდორი აფხაზეთის ტერიტორიაა. იქ მცხოვრებ ყველა ადამიანს დევნილის სტატუსი აქვს და მათ სახელმწიფო ეხმარება. ახლახან ჩამოვედი კოდორიდან. წაყვანილი გვყავდა ექიმთა 20 კაციანი ჯგუფი. გავსინჯეთ 1400 ადამიანი. ჩვენი მონაცემებით კოდორში 2500-მდე ადამიანი ცხოვრობს. მათ შორის ღრმა მოხუცები და ბავშვები. 22 ახალშობილიც დაგვხვდა. კოდორში ძალიან ბევრი ჰუმანიტარული დახმარება შევიდა და ამ საქმეში თავისი წვლილი არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შეიტანეს.

კოდორში ყველას, ვისაც სჭირდებოდა, პროტეზირება გავუკეთეთ.

აჟარაში აშენებულია 12 საწოლზე გათვლილი და აღჭურვილი საავადმყოფო. ამჟამად მიმდინარეობს კადრების მობილიზაცია და გადამზადება, რათა ახლო მომავალში კოდორის საავადმყოფოში ქირურგიული ოპერაციებიც ჩატარდეს.

**- დაძაბულობის შემდეგ როგორია გალში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მდგომარეობა?**

- ამასთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ ერთი პერიოდი მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, მაგრამ ახლა აღდგენილია. გალის საავადმყოფოში ქართველი ექიმები ისევ მუშაობენ. გალში უცხოელი ექიმებიც არიან.

**- არასამთავრობო ორგანიზაციები თუ გეხმარებიან დევნილთა სოციალური პრობლემების მოგვარებაში?**

- ძალიან გვეხმარება ამერიკული ორგანიზაცია "UMCOR"-ი. ამ ორგანიზაციამ ჩვენს ყველა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, საკუთარი ჰუმანიტარული დახმარებით - წამლებითა თუ სხვა სპეციფიკური ტვირთით. ასევე შემიძლია დავასახელო ადგილობრივი ორგანიზაცია "თანადგომა", რომლის წარმომადგენლები ყველა გასვლაზე ჩვენთან ერთად არიან თავიანთი ტრანსპორტით და ჰუმანიტარული ტვირთით. მინდა დავასახელო კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰერა-21", რომელიც ასევე დაგვეხმარა.

**- რამდენად იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი სოციალური სფერო?**

- ჩვენი მთავრობა ორიენტირებულია ძირითადად სოციალურ პრობლემებზე და ეს მომავალი წლის ბიუჯეტშიც აისახება. ზუსტი პარამეტრების დასახელება ნაადრევია, მაგრამ ერთი რამის თქმა ამთავითვე შეიძლება, მომავალი წლის სოციალური ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდება.

კახა კაციტაძის სვეტი



## მხოლოდ ჩვენ!

აფხაზეთზე ლაპარაკისას, პირველ რიგში იბადება კითხვა: რატომ არაფრით არ ხერხდება ამ კონფლიქტის გადაწყვეტა? პასუხი მრავალია: დაწყებული რუსთა სიმუხთლით და დამთავრებული საერთაშორისო საზოგადოების უუნარობით რამენაირად ჩაანაცვლონ რუსული ძალები საერთაშორისო სამშვიდობოებით. გაეროს რეზოლუციის შემდეგ მრავალთ გაუჩნდათ აზრი, რომ ამერიკამ საერთოდ გაგვყიდა და რუსთა ხელში დაგვტოვა. მე არ ვაპირებ ამ თვალსაზრისების განხილვას, რომელთაგან ზოგი მეტ-ნაკლებად ადეკვატურად მიმაჩნია, ხოლო სხვები - არასწორად, აბსურდულადაც კი. მაგრამ აქ სხვა კითხვა მინდა დავსვა: ეგებ კონფლიქტის გადაწყვეტის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის ხერხებსა და საშუალებებს არაადეკვატურად ვუყურებთ?

საყოველთაოდაა გავრცელებული აზრი, რომ აფხაზეთი ჩვენ არ დაგვიკარგავს. ის ვიღაც სხვამ, რუსეთმა "წაგვართვა" და ასევე ვიღაც სხვამ უნდა "დაგვიბრუნოს". თავდაპირველად ამ "ვიღაც სხვაში" ისევ რუსეთი იგულისხმებოდა. ამ "თეორიის" მომხრეები მიიჩნევდნენ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას რუსეთი "გავაბრაზეთ" და ამიტომაც წაგვართვა აფხაზეთი. საკმარისი უნდა ყოფილიყო, რუსეთის გული მოგვეგო, რომ ამ უკანასკნელს წყალობა მოეღო და აფხაზეთი უკან დაებრუნებინა. როდესაც დსთ-ში შესვლის აუცილებლობაში გვარწმუნებდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ დსთ-ში შესვლით რუსეთის გულს მოვიგებდით, რასაც აფხაზეთის დაბრუნება მოჰყვებოდა. გამოხდა ხანი და გაირკვა რომ ეს შეხედულება, რბილად რომ ვთქვათ აბსურდული იყო. ახლა იმაზე ალაპარაკდნენ, რუსეთი ისევ ნაწყენია, რამეთუ ნატოსკენ მივიწევთო. ნეიტრალიტეტი რომ გამოვაცხადოთ, რუსეთი გულს მოიბრუნებს და აფხაზეთს ლანგრით დაგვიბრუნებსო. ბატონებო! მოლდოვამ კონსტიტუციაშიც კი ჩაწერა ნეიტრალური სახელმწიფო ვარ და ნატოში არ შევალო, მაგრამ დაუბრუნა ვინმემ მას დნესტრისპირეთი? სხვებმა რუსეთზე ხელი ჩაიქნიეს და განაცხადეს, რახან რუსეთი არ გვიბრუნებს, ამერიკას ვეძმოთ და ის დაგვიბრუნებსო. გაეროს რეზოლუციის შემდეგ ეს ხალხი შოკშია, რაღა უნდა ამერიკას, ყველაფერი გავუკეთეთ და რატომ არ გვიბრუნებს აფხაზეთსო.

იქნებ მოვიდა დრო, რომ უმარტივესი ჭეშმარიტება გავიგოთ: აფხაზეთს არავინ დაგვიბრუნებს. ან სად გინახავთ ასეთი რამ, რომ ერთ ქვეყანას, მეორე ქვეყნის ჯინაზე მესამე ქვეყნისათვის ამ უკანასკნელისგან გამდგარი ტერიტორია დაებრუნებინოს? სანამ არ გავიგებთ, რომ აფხაზეთის დაბრუნება, ჩვენი, მხოლოდ ჩვენი და უპირატესად ჩვენი საქმეა, აფხაზეთის საკითხში ერთ ადგილზე მარადიული ტკეპნისთვისა ვართ განწირულნი.

# "ბოლომდე მომთმენი გადარჩება"

პირველი გვერდიდან

**გარწმუნებთ, ამის არდანახვა შეუძლებელია. მითუმეტეს, შესაბამისი ნიჭიც თუ გაგაჩნია, არც შედეგი აგვიანებს"** - ასეთია დალი ხომერიკის მიერ "გაშიფრული" წარმატების საიდუმლო... ის თავად მოგვითხრობს საკუთარ საქმიანობაზე, სოხუმთან ასოცირებულ ტკივილზე, ამ ტკივილთან დარჩენილ თანატოლებზე და... იმედზეც.

## ჩაკეტილი სივრცე

დევნილობის პირველი წლები თბილისიდან აითვალა. **"წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციაში დავიწყე მუშაობა. საინფორმაციო განყოფილებაში თავდაპირველად საერთაშორისო დელეგატის თანაშემწეს წარმოვადგენდი, მოგვიანებით კი პრაქტიკულად თვითონ ვასრულებდი ამ საერთაშორისო დელეგატის მოვალეობას. წითელი ჯვრის ფედერაციის პროგრამის მთავარი მიზანი იყო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ხალხის დახმარება. საქართველოში თითმის ყველა კომპაქტური დასახლების ცენტრი მოვიარეთ. ეს იყო ამანათებით დახმარების პროგრამა, სამედიცინო და რეაბილიტაციის პროგრამები, რომელშიც უშუალოდ ვიღებდი მონაწილეობას. ერთი სიტყვით, თავის დროზე ძალიან დამეხმარა ის ფაქტი, რომ ჩემი საქმიანობით საკუთარ ხალხზე მიწევდა. შემეძლო მათი სატკივარი მიმეტანა დონორთან და იმ ორგანიზაციასთან, რათა ყველა დევნილს დაეძლია სტრესი და კრიზისული პერიოდი. ზოგმა ეს მოახერხა კიდეც. თუმცა უმეტესობისთვის ბარიერი ძნელად გადასალახი აღმოჩნდა. საერთოდ, ადაპტაციის პერიოდი ყველამ სხვადასხვაგვარად გაიარა. ვიღაცას სურვილი ჰქონდა მეტი, ვიღაცას - ნაკლები. ვიღაც მეტ აპათიაში იყო, ვიღაც - ნაკლებში. იმ ადამიანებმა, რომლებმაც გამოიჩინეს დიდი ძალისხმევა, შრომისუნარიანობა და იმუშავეს საკუთარ თავზე, მოერგნენ კიდეც ამ საზოგადოებას და კუთვნილი ადგილი იპოვეს. აქ, ამერიკის საელჩოში რამდენიმე დევნილი მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც მოღვაწეობს, რაც ძალიან მახარებს. ჩემს თაობაში ბევრია ისეთი, ვინც თავის დროზე დიდი პოტენციალის მატარებელი იყო, მაგრამ თავისი ადგილი ამ სისტემაში ვერ იპოვა. საერთოდ, ადამიანის ბედი არაერთგვაროვნად განვითარდა. რაღაც ისეთი უნდა გაკეთდეს, რაც შეძლებს ახალგაზრდების გამოყვანას ჩაკეტილი სივრციდან. პირველ რიგში, უნდა შევძლოთ ინტეგრაცია იმ საზოგადოებასთან, რომელშიც ვიმყოფებით. აქაც სხვადასხვა დონეა. არიან ადამიანები, რომლებიც გულწრფელად თანაგიგრძნობენ და ტკივილი განუყრელად მიაჩნიათ. არიან ისინიც, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ და სხვისი ჭირი თუ ლხინი არად უღირთ. ხდება გამიჯვნა. სამწუხაროდ, ჩვენში არსებობს ურთიერთობების პრობლემა და ეს ძალიან მტკივნეულია. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ადამიანები ჩაიკეტნენ საკუთარ თავში. დევნილბთან კი ეს ჩაკეტილი სივრცე გაორმაგდა: ისინი წარსულთანაც ჩაიკეტნენ. ურთიერთობენ მხოლოდ ძველ მეგობრებთან, კავშირებს იმ პირებთან ცდილობენ, ვინც აფხაზეთს და წარსულს აგონებთ. ამდენად, მათი დაახლოება არადევნილებთან ვერ მოხერხდა. ძნელია, მაგრამ უნდა გათავისუფლდნენ ნეგატიური ემოციებისგან. საამისოდ მყარ საფუძველს იძლევა სამსახური, საზოგადოებრივი ასპარეზი, რაც პრობლემას წარმოადგენს არსებულ პირობებში. გასაჭირის გადატანა იოლდება, როცა ადამიანი ახდენს თვითრეალიზაციას, ჩნდება საერთო საქმე, საერთო მიზანი და ვერც კი ამჩნევ, როგორ თანდათან არღვევ ჩაკეტილ სივრცეს, როგორ თანდათან უახლოვდები მას, ვისაც სულ რამდენიმე ხნის წინ "სხვად" აღიქვამდი..."



დალი ხომერიკი

ამ მხარეს არიან ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად უნდათ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება და აფხაზეთის აღმშენებლობა აფხაზებთან ერთად. არც იმის ილუზია მაქვს, რომ კონფლიქტის მოგვარებისთანავე მოგვარდება ურთიერთობებიც. ბუნებრივია, იქნება პრობლემები, მაგრამ ორივე მხარეს მოუწევს მუშაობა საკუთარ თავთან, რომ აღმოვფხვრათ უარყოფითი ემოცია და ჩავკლათ შურისძიების ჟინი.

## "ბოლომდე მომთმენი გადარჩება"

"სოხუმი 19 წლისამ დავტოვე, 1993 წლის 25 სექტემბერს. ახლა, როდესაც ვუყურებ რეტროსპექტივაში, ასე მგონია, ეს იყო სხვა სიცოცხლე, რომელმაც სადღაც ჩაიარა და ეს ეტაპიც დასრულდა. მახსოვს, აფხაზეთიდან ბოლო გემი გამოდიოდა. წინასწარ გაგვაფრთხილეს, არაფერი წამოიღოთ, მხოლოდ და მხოლოდ პასპორტებიო. სახლში მე და დედაჩემი ვიყავით (მამა ომამდე გარდაიცვალა). უკანასკნელად შევირბინე ოთახებში, ვეძებდი წამოსაღებ ნივთს, რაც მომაგონებდა ჩემს სოხუმს და ამ განშორებას რაღაცნაირად გამიადვილებდა. ოთახში მამაჩემის ნაქონი "ახალი აღთქმა" ვიპოვე, მიტროპოლიტ დავითის ნაჩუქარი. ხელი ვტაცე ამ წიგნს, ვიფიქრე, მამასაც გამახსენებს და მიტრიპილიტსაც, ვისთანაც ჩვენს ოჯახს დიდი სითბო აკავშირებდა. ნერვიულობის გამო, ხელიდან გამივარდა. წიგნი გადაშლილად დაეცა. ავიღე და ვკითხულობ: "ბოლომდე მომთმენი გადარჩება"... გამაჟრჟოლა. წარმოიდგინეთ, "ახალი აღთქმა" გზაზეც დამივარდა და ორჯერვე ერთსა და იმავე გვერდზე გადაიშალა. ამან ძალა შემმატა, რწმენით ამავსო. მოხდა ისე, რომ ჩვენი გემი დაზიანდა და ბათუმის ნაცვლად ოჩამჩირეში აღმოვჩნდით. ოთხი-ხუთი საათი ვიდექით ნეიტრალურ წყლებში, არ ვიცოდით, ირგვლივ რა ხდებოდა, მძევლად ვიყავით, თუ რა მდგომარეობაში. როგორც იქნა, ხმელეთზე გადმოვედით. ოჩამჩირე, ფაქტობრივად, ომის ხაზი იყო. სატვირთო მატარებლით, დილამდე ფეხზე დგომით, რის ვაი-ვაგლახით ჩამოვაღწიეთ თბილისში. ჩასვლისთანავე გადავშალე.

საოცრად მძიმე წლები გამოვიარეთ. თავდაპირველად ვცხოვრობდით გლდანში, უშიშროების საერთო საცხოვრებელში, სადაც არავითარი საარსებო პირობები არ გაგვაჩნდა. ფიზიკურად, სულიერად თუ ფინანსურად ძალიან გვიჭირდა. ყველა თანაბარ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. ხომ ჭირდა, მაგრამ ადამიანები მაშინ უფრო თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს. დრო გადიოდა. ვიღაც წელში გაიმართა, ვიღაცა უკეთ გახდა, უკვე ტკივილიც გაიყო, დახარისხდა და ხალხიც ერთმანეთს გაემიჯნა. სამწუხაროდ, ასე მოხდა. ამას მოჰყვა ადგილობრივი საზოგადოებისგან გამიჯვნაც. გაჩნდა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება თვითონ დევნილის მიმართ. მაგრამ აქვე არ შემიძლია არ ვისაუბრო იმ თბილი განწყობის შესახებაც, რასაც ვიღებდით თბილისელებისგან, შემდეგ უკვე - კოლეგებისგან. პირადად მე, ალბათ, ისიც დამეხმარა, რომ მალევე დავიწყე სამსახური და უცებ მოხდა ჩემი გადართვა ორგანიზაციულ საქმიანობაზე. პრობლემების დაძლევაში ძალიან დამეხმარა სამსახური, ურთიერთობები. მძიმე პერიოდი იყო, რომლის დასასრულსაც არ უჩანდა ბოლო. ამ სასტიკ სინამდვილესთან შეგუება ადამიანებს ტკივილამდე გაუჭირდათ..."

## აქაც ლამაზად წარმოჩნდება საქართველო

"აფხაზეთში ქართული სკოლა დავამთავრე. ამდენად, აფხაზი თანაკლასელები არ მყოლია. მაგრამ იყვნენ აფხაზი მეზობლები, მათ შორის თანატოლებიც. ჩემმა დამ მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა სოხუმში, სადაც მრავალი აფხაზი მეგობარი შეიძინა. ერთი წრე გავხდით. ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობები გვქონდა. სამწუხაროდ, ეს კავშირებიც დაიკარგა. მათგან უმეტესობა დღეს მოსკოვში ცხოვრობს, არსებულ მდგომარეობას გაერიდნენ. ნაწილიც იქ დარჩა. რამდენიმემ ისიც შემოგვითვალა, პოლიტიკა ამ ურთიერთობებს არ შეხებია, ჩვენს მეგობრობაში არაფერი შეცვლილაო... შეხვედრებს გვთხოვდნენ. რა თქმა უნდა, ყველაფერი იცვლება. ახალი თაობა, რომელიც მოდის, ქართველებს არ იცნობს. არ უცხოვრია მათთან და არ იცის, რას ნიშნავს გყოლოდა ქართველი მეზობელი, ქართველი მეგობარი და გყვარებოდა ის. ამ თაობის დამოკიდებულება ქართველისადმი უფრო და უფრო ნეგატიური ხდება. ჩვენი თაობის ახალგაზრდებს რაღაც მაინც შემორჩათ, ახსოვთ ამ ორ ხალხს შორის არსებული სითბო და კეთილგანწყობა. ჩვენ ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში, ერთად დავდიოდით საღამოებზე და ეს ყველაფერი წარსულს და ერთმანეთს გვანატრებს. ძალიან მინდა, აი, თუნდაც თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო აფხაზ მეგობრებს და ახლობლებს, მაგრამ ძალიან მიჭირს. არ ვიცი, როგორ მიიღებენ მას ენგურს გაღმა... გულწრფელად მინდა დაინახონ, რომ ამ მხარეს არიან ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად უნდათ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება და აფხაზეთის აღმშენებლობა აფხაზებთან ერთად. არც იმის ილუზია მაქვს, რომ კონფლიქტის მოგვარებისთანავე მოგვარდება ურთიერთობებიც. ბუნებრივია, იქნება პრობლემები, მაგრამ ორივე მხარეს მოუწევს მუშაობა საკუთარ თავთან, რომ აღმოვფხვრათ უარყოფითი ემოცია და ჩავკლათ შურისძიების ჟინი. აფხაზეთს ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ამიტომ აღმშენებლობისთვის, კარგი მომავლის შექმნისთვის მოსახლეობა ერთმანეთს უნდა შეურიგდეს და შეეჩვიოს კიდეც. პირველ რიგში, ნეგატიური დამოკიდებულება უნდა განეიტრალდეს. როგორც ვხედავთ, დაპირისპირებამ შედეგი ვერ გამოიღო. მოლაპარაკებების რესურსი ამოწურული არ არის. ომი და უბედურება უკვე ვიწვნიეთ და ვერ გავიმეორებთ. ერთი ადამიანის სისხლიც რომ დაიღვაროს, ტრაგედიაა. დაე, საქართველო იყოს ის პირველი ქვეყანა, რომელიც თავის მიწა-წყალზე არსებულ კონფლიქტს მშვიდობიანად მოაგვარებს. ბევრი ოპონენტი გვყავს და ხშირად გვახსენებენ, რომ უსისხლოდ არც ერთი კონფლიქტი არ გადაწყვეტილა. საქართველოს უყვარს საკუთარი თავის ლამაზად წარმოჩენა. მას უკვე არც ამჯერად, აფხაზ ხალხთან დამოკიდებულებაში შეეშლება. ყოველ შემთხვევაში, მინდა ეს მჯეროდეს...

# ჩემი სახლი

## ინვესტორებს ინტერესი უნელდებათ



მარი ჩიტაია

"ჩემი სახლი" - ასე ეწოდება საპრეზიდენტო პროგრამას, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე უძრავი ქონების აღრიცხვას ითვალისწინებს. პროექტი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თაოსნობით ხორციელდება. თბილისსა და დანარჩენ რეგიონში მცხოვრებ დევნილებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დეკლარაციის პროცესში და საკუთარი მემკვიდრეობა დაიკანონონ. დეკლარაციაში მონაწილეობა ხელმისაწვდომია ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. ამ შემთხვევაში მათ მომსახურებას საქართველოს საელჩოები და საკონსულოები უზრუნველყოფენ. ამ პროცედურებში მისაღებად ყველა დევნილის და ლტოლვილის უფლება და შესაძლებლობა იქნება დაცული.

ამ ეტაპზე სადეკლარაციო წიგნაკის შესავსებად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში და შესაბამის უწყებებში მისულმა დევნილებმა სასურველია წარადგინონ საბინაო წიგნაკი, ბინის ორდერი, მიწის ნაკვეთის გეგმა-მონახაზი ან ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები. აუცილებელია ოჯახის ერთ-ერთ წევრს გააჩნდეს საბჭოთა კავშირის დროინდელი წითელსიმბოლიკიანი პასპორტი, უკიდურეს სიტუაციაში, თუ აღნიშნული მოწმობები არ გააჩნია, მერიიდან ან გამგეობიდან სათანადო ცნობა, რომ მითითებული მისამართი პირის საკუთრებას წარმოადგენდა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის **ლაშა ბრეგვაძის** განმარტებით, ამ საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში პირველი ნოემბრის შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში იმ საარიცხვო მოწმობის საფუძველზე, რომელსაც დევნილები წარადგენენ, ისინი საკუთარი ქონების დაკანონებას და მისი შთამომავლობისათვის მემკვიდრეობით გადაცემას შეძლებენ. დაბრუნების შემთხვევაში კი მათ დეკლარაციის საფუძველზე დაუმტკიცდებათ კუთვნილი ქონება. "ამიერიდან ნებისმიერ დევნილს ეცოდინება, რომ იქ საკუთარი ქონება გააჩნია. რა დროშიც არ უნდა დაბრუნდეს, კუთვნილს თითოეული მათგანი უპრობლემოდ მიიღებს. ეს გარდაუვალი პროცესია, რომელიც იქნება ხელშეუხებელი, აღიარებული საყოველთაო დეკლარაციით და ევროპული ქარტიით, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების კონვენციით", - აცხადებს ბრეგვაძე. მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამა წარმატებით ხორციელდება, რასაც საინფორმაციო კლიპის გავრცელებამ და დევნილებამდე სათანადო ინფორმაციის მიტანამ შეუწყო ხელი.

ყოველდღიურად, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით 300 - მდე დეკლარაცია ივსება, მხოლოდ თბილისში შეივსო დაახლოებით 17 ათასი დეკლარაცია. დევნილთა უძრავი ქონების აღწერის პროცესის შემდეგ უშუალოდ აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო ქონების აღნუსხვა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაიწყება.

რამდენადაც ცნობილია, უძრავ ქონებას აფხაზეთში წლების განმავლობაში იძენდნენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი ინვესტორები. თუმცა მათი მცდელობა საგრძნობლად შეაფერხა საქართველოში მიმდინარე დეკლარაციის პროცესმა.დაეცა გასაყიდი ობიექტების ფასი.

**ლაშა ბრეგვაძე:** "აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სოხუმსა და გაგრაში, ბინებისა და კერძო სახლების გაყიდვა შემცირდა. შეიძლება ითქვას, შედეგი უკვე გვაქვს. ჩვენში მიმდინარე დეკლარაციის პროცესმა ფასები მნიშვნელოვნად დასწია. ინვესტორი უკვე დაინტერესდა, რასაც ყიდულობს, ხომ არ არის ეს დევნილის სახლ-კარი...

# ბაგების სტუდქალაქის პრობლემა

უკვე ორ თვეზე მეტია, რაც ბაგების სტუდენტურ საცხოვრებელს, რომელშიც დევნილები ცხოვრობენ, ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდება. დევნილები ამბობენ, რომ შუქი დღე-ღამეში მხოლოდ ორი საათი მოდის. ამ მიზეზით, დევნილებს პრაქტიკულად არ მიეწოდებათ წყალიც, ხოლო მაცხოვრებლების უმეტესობა რამდენიმე საათით მიწოდებული წყლის მომარაგებას ვერ ახერხებს.

შესაბამის უწყებებში განმარტავენ, რომ, სტუდენტური საცხოვრებლისთვის ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდების მიზეზი გადასახადის გადაუხდელობაა და თუ მოხდება გადასახადების გადახდა და გადახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება, მაშინ ბაგების სტუდქალაქს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგება.

ამავე დროს, ფაქტია, რომ, დევნილებს საკუთარი შემწეობებიდან ექვითებათ ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალური გადასახადები, ხოლო ინდივიდუალური მრიცხველები მათ ბინებში დამონტაჟებული არ არის.



"ყველაფერი დეტალურად უნდა იყოს აღრიცხული, უნდა მოეწესრიგდეს ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟების პრობლემა, რათა გაირკვეს კონკრეტული ადამიანის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის მაჩვენებელი" - ამბობს სტუდქალაქში მცხოვრები გივი ბერაია.

ბაგების სტუდქალაქში ძირითადად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან კომპაქტურად ჩასახლებულნი. ცხოვრობენ სტუდენტებიც. თუმცა, ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა, ყოფითი პირობების გაუარესების გამო, სხვაგან არჩია გადასვლა.

უშუქობის გამო სტუდქალაქში თანდათან სანიტარული პირობებიც უარესდება.

სწორედ ამ მიზეზით ბაგების სტუდქალაქის მცხოვრებლებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.

დიმიტრი მონიავას სვეტი



# აკადემიკოს პავლოვის ცუგა

არის ერთი ძველი (ანტი)საბჭოთა ანეკდოტი: უცხოელი მკვლევარი ცდილობს დაადგინოს, თუ რა სატრანსპორტო საშუალებებია ყველაზე პოპულარული კომუნიზმის დიად სამშობლოში. -რა ტრანსპორტით დადიხართ სამსახურში?- კითხულობს იგი. ტროლეიბუსით!- პასუხობს საბჭოელი. -ქალაქგარეთ? -ქალაქგარეთ ავტობუსით! -საზღავარგარეთ? -საზღვარგარეთ არ შეიძლება, სწრაფად პასუხობს სსრკ-ს მოქალაქე... და მაინც? - არ ეშვება სოციოლოგი. - არ შეიძლება მეთქი!!! - გთხოვთ წარმოიდგინეთ (ბოლო ცდა), რომ მოგიწიოთ საზღვარგარეთ წასვლა, რა ტრანსპორტით წახვიდოდით? თუ მომიწევს, - წამით ყოვნდება საბჭოელი... თუ მომიწევს, რა თქმა უნდა, ტანკით!!!

აღწერილი პერიოდის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, დაინგრა ბერლინის კედელი, დაიმსხვრა საბჭოთა კავშირი, ამ ნანგრევებზე წამოიზარდა ახალი თაობა, თუმცა სააზროვნო სტერეოტიპები დიდად არ შეცვლილა და ტანკი როგორც სივრცის ათვისების, აღქმის და შემდგომი შემეცნების ინსტრუმენტი კვლავინდებურად აქტუალურია. სიმართლე რომ ვთქვათ, აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში ბევრი მას, (რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში), სამშვიდობო დარეგულირების ყველაზე საიმედო საშუალებად მიიჩნევს.

ომის დროს პროპაგანდის საბოლოო მიზანი შემდეგია: საზოგადოება და მისი თითოეული წევრი ომთან და მოწინააღმდეგესთან დაკავშირებულ ნებისმიერ გამაღიზიანებელზე უნდა რეაგირებდეს ქცევის კონფრონტაციულ მოდელზე გადასვლით ავტომატურ რეჟიმში, რეფლექსის დონეზე. ისე სწრაფად, როგორც აკადემიკოს პავლოვის ცუგა ძველი სახელმძღვანელოს მოყვითალო ფურცლებზე. შედეგი სახეზეა, მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობაზე ვსაუბრობთ, ომი კვლავ ჩვენთანაა, იგი ჩვენს შიგნითაა და ჩვენ მას მუდამ თან დავატარებთ.

წარმოვიდგინოთ, რომ საჩუქარი უნდა გავუკეთოთ დავაჟკაცებულ შვილს, რომელიც დამოუკიდებელ ცხოვრება იწყებს. ცოტა ვინმეს თუ მოუვა აზრად აჩუქოს მას ერთი მოძველებული შაშხანა, ტყვია-წამალი და წიგნი "სნაიპერის ხელოვნება" ბონუსის სახით (ბესტსელერი ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე).

მაგრამ სწორედ ასე ვუტოვებთ მომავალ თაობას ჩვენ დაუსრულებელ ომს, რომლის დასრულების თავი და ნებისყოფა ჯერ-ჯერობით არ გვაქვს.

არის ერთი სენტიმენტალური ფილმი ალ პაჩინოს მონაწილეობით: "ქალის სურნელი". პოლკოვნიკზე, რომელმაც არაერთი ომი გამოიარა, დაბრმავდა (სხვათა შორის, არა საბრძოლო მოქმედების, არამედ ხელყუმბარებით ჟონგლირების დროს, რაც ფრიად საგულისხმოა); იგი ვერა და ვერ პოულობს გამოსავალს, გზას სამშვიდობოს, უბრალოდ ვერ ხედავს მას. მას ეხმარება მის სიახლოვეს სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი ბიჭი, ხოლო პოლკოვნიკი, თავის მხრივ, ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ამ ახალგაზრდას. უხეშად რომ ვთქვათ, - ეს ფილმი ჩვენზეა; ჩვენზე და ჩვენს შემდეგ მომავალ თაობაზე. იმისთვის, რომ დავასრულოთ ომი, ჩვენ (სიტყვა "ჩვენ" ვრცელდება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარეზე) უფრო ხშირად უნდა ვესაუბროთ ახალგაზრდებს და, რაც მთავარია, მაქსიმალური ყურადღებით მოვუსმინოთ მათ. შესაძლოა, ცოტა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მეჩვენება, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ომის დასრულებას ასეთი დიალოგის გარეშე.

# სოხუმში ჩავალ და ჩაკეტილ სამყაროს "ბურატინოს გასაღებით" გავხსნი...

მარი ჩიტაია

*ძნელია, საკუთარ ქვეყანაში დევნილის სტატუსით იცხოვრო, მაგრამ უფრო ძნელი - დევნილობაშიც დევნილი გერქვას... ასეთია კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის დღევანდელი მდგომარეობა. ძველი და ახალი ხელისუფლების, ძველი და ახალი პერსონების მოღვაწეობა რატომღაც თეატრის პრობლემატიკას ძალიან გაემიჯნა. სამწუხაროდ, იმ თეატრისას, რომელიც ქართული კულტურის, ენისა და ხელოვნების სადარაჯოზე იდგა აფხაზეთის მიწა-წყალზე. თეატრალურ არენაზე წარმატებით მოღვაწეობს დასის წამყვანი მსახიობი* ***ლილი ხურითი****. სტუმრის სტატუსით ის ჩვენი გაზეთის მკითხველებს აფხაზეთის ქართულ თეატრზე მოუთხრობს. შიგა და შიგ იკვეთება შტრიხები მსახიობის პორტრეტისათვის...*



*ნაწყვეტი სპექტაკლიდან ლილი ხურითის მონაწილეობით*

**ლილი ხურითი:** სოხუმის თეატრი ეპოქის მოთხოვნებს ყოველთვის პასუხობდა. დევნილობამდეც კი, ის არ მოიაზრებოდა პერიფერიების თეატრად. დღესაც, ღვთის მადლით, აქ არის ბირთვი, რომელიც, სიძნელეების მიუხედავად, ინდივიდუალობის შენარჩუნებას მაინც ახერხებს. გვყავს ნიჭიერი მსახიობები, რომლებსაც იწვევენ სხვადასხვა თეატრების რეპერტუარებში და ფილმებში. თავიდან, დევნილობის პირველსავე დღეებში რომ გვცოდნოდა, ასე დაუსრულებლად გაგრძელდებოდა დაბრუნების მოლოდინი, ალბათ, ცხოვრება კოშმარად გვექცეოდა. გვეგონა, თითოეული დღე მიზანთან გვაახლოებდა - ამ თვის ბოლოს, იმ თვის ბოლოს, ამ წლის შემდეგ... ახლა ვეღარ, მაგრამ იმ წლის შემდეგ... ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ხდება ხოლმე, როცა ტკივილი არ ნელდება, მაგრამ შენი გრძნობის შემადგენელ ნაწილად იქცევა და უკვე ბუნებრივადაც მიიჩნევ მის არსებობას. ხვდები, რომ ცხოვრება უნდა გაგრძელდეს და აკეთებ იმას, რაც აქედან წასულმა იქ უნდა ჩაიტანო. ეს არის აფხაზეთიდან წამოსული, უკვე თანმდევი და ნასათუთევ-ნალოლიავები კოლორიტი სული.... საგულისხმოა თვითონ ურთიერთობები, დამოკიდებულებები მსახიობებსა და პარტნიორებს შორის. შეიძლება, ვიღაც მეტად გიყვარდა, ვიღაც - ნაკლებად, მაგრამ აქ ყველა ერთიანად გახდა ძვირფასი, რადგან თითოეული შენი ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილია. უძრავი, რაც იყო, იქ დაგვრჩა, სხვა დანარჩენი, რის შენარჩუნებაც შევძელით, ერთმანეთს ვუფრთხილდებით, ველოლიავებით. ასე ვცდილობთ ამ სასტიკი სინამდვილის გაიოლებას. ბევრს ვფიქრობთ ომამდელ ურთიერთობებზეც აფხაზებთან. ზოგიერთმა ჩვენგანმა შეძლო ჩაკეტილი სივრცის გადალახვა და აფხაზი მეგობრების მონახულება. სამწუხაროდ, მე ეს ვერ შევძელი, სატელეფონო საუბრის დონეზეც კი. ტელეფონში ნათქვამ ორიოდე სიტყვას რა აზრი აქვს! შეიძლება, რაღაც ვერ გაიგო სწორად, ან მან ვერ გაიგოს და იმ ნომრის აკრეფაც უკვე აღარ მოგინდეს...

## მეგზურად ენგურს გაღმა...

ის, რაც თეატრმა ითავა, დიდი შერიგების პირველ ნაბიჯადაც შეიძლება ჩაითვალოს. აფხაზეთზე მიძღვნილმა სპექტაკლმა, "ზღვა, რომელიც შორია", თავად გადაწყვიტა მეგზურობა, მართალ სიტყვად ჩადგომა ქართველებსა და აფხაზებს შორის. ხელოვნების ენაზე ნათქვამ სიმართლეს ბევრი გულისყურით მოეკიდა, თუმცა ყველაზე ნაკლებად ის - ვის გასაგონადაც ითქვა. რატომღაც ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო გულისყურით მოკიდებოდა, გაეცნობიერებინა სცენაზე ნანახი. -

სათქმელი მართლაც ბევრი დაგვიგროვდა. საბედნიეროდ, თეატრი ჩვენი ნაფიქრალ განცდილის გადმოცემის საშუალებას გვაძლევს, - ამბობს მსახიობი, - ამ ტკივილის ენგურს გაღმა გატანა, ალბათ, ამ ურთიერთობებში ბევრ რამეს შეცვლიდა. არსებობს ეს იდეა, თუმცა მისი განხორციელება მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. პირველ რიგში, უნდა სჭირდებოდეს მას, ვინც კონფლიქტის მოგვარების მისია იკისრა. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ და მოვამზადეთ. აქაც და იქაც, ახლა ეს ვიღაცას უნდა დასჭირდეს. სხვათაშორის, ამასწინათ თბილისში უცხოელი კონფლიქტოლოგები და ჟურნალისტები ჩამოვიდნენ. მათ ნახეს ჩვენი სპექტაკლი და ვერ დაფარეს გაოცება, ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ქართველებს შეგეძლოთ ასე ღიად და ობიექტურად დაგეფიქსირებინათ თქვენი პოზიციაო. საერთოდ, უდიდესი ემოცია მოჰყვა გურამ ოდიშარიას ნაწარმოებზე თემურ ჩხეიძის მიერ ჩვენს თეატრში დადგმულ სპექტაკლს, "ზღვა, რომელიც შორია". ბატონ გურამს ბევრმა სთხოვა ვიდეო მასალა, მაგრამ ამაზე არ დათანხმდა. ეს ყველაფერი ცოცხლად უნდა ნახო, რომ განიცადო ან სპეციალურად სატელევიზიო ვარიანტი უნდა არსებობდეს..

სპექტაკლის სანახავად თბილისში მცხოვრები თითქმის ყველა აფხაზი მოვიდა. ქართველების მიერ ასე სრულად ნათქვამმა სიმართლემ ისინი გააოცა. ბაღაბშის და მარშანიას სანათესაო იყო მოსული, ამ სანახაობას თვალცრემლიანი შესცქეროდნენ. აფხაზებს მე და მერაბ ბრეკაშვილი ვასახიერებდით. გულში ჩაგვიხუტეს. ის ფაქტი, რომ აფხაზმა ეს სპექტაკლი ნახა, თავისად მიიღო და დადებითი ემოციებით აივსო, იმაზე მეტია, რასაც პოლიტიკოსები გვთავაზობენ ქაღალდზე ხელშეკრულებების სახით...

## სტუმრად სოხუმის თეატრში

დევნილობა, ახალი ურთიერთობები, ახალი სამყარო... ამ სამყაროში აფხაზეთის თეატრმა სცადა და შეძლო კიდეც თავისი ადგილის დამკვიდრება. სიტყვა, რომელიც თეატრმა ამოთქვა, იყო არსებითად განსხვავებული დანარჩენთაგან. დედაქალაქში ჭირისუფალივით შეხიზნულ თეატრს დარდის გამზიარებელიც ბევრი აღმოაჩნდა. **რობერტ სტურუა, გიზო ჟორდანია, თემურ ჩხეიძე, გიორგი სიხარულიძე, დათო დოიაშვილი** - თბილისელ რეჟისორთა ეს კრებული საკუთარი სათქმელით მოვიდა სოხუმის თეატრში. მათ შემოქმედებაში თანდათან გაჩნდა აფხაზეთის თემატიკაც, დევნილთა ტკივილით გაჯერებული.

- ყველა თავისი პოზიციით მოდიოდა, ჩვენ ჩვენი პოზიციით ვხვდებოდით, ღირსეულ სტუმარს თეატრიც ღირსეულად მასპინძლობდა, - ამბობს ხურითი, - ერთად ვცდილობდით ქვეყნის ტკივილის გამოხატვას, მაქსიმალურად დაბალანსებულად და გაწონასწორებულად. სათქმელი კი მრავლად დაგვიგროვდა. მისია მარტო ჩვენ რომ გვეკისრა, შეიძლება, უფრო მწვავეები, უფრო რადიკალურები ვყოფილიყავით, მაგრამ ეს ყველაფერი ბალანსდებოდა. მოდიოდნენ თბილისელი რეჟისორები... ჩვენმა ხელოვნებამ მოიცვა ამ დარგში მომუშავე ყველა წარმატებული რეჟისორის პოზიცია ანუ ნაკრები გახდა. ეპოქის ტკივილზე უკვე ერთად გვეთქმის. ეს არ არის აფხაზეთიდან დევნილ მსახიობთა რაღაც განყენებული, სუბიექტური პოზიცია, არამედ ჩვენს სფეროში მომუშავე მოაზროვნე შემოქმედთა პოზიციაა ერთად შეჯერებული. მასში ცნობილ რეჟისორთა თითქმის ყველა თაობამ მიიღო მონაწილეობა. თავიანთი შემოქმედებით ისინი ჩვენს პრობლემებს ეხმიანებოდნენ. ხდებოდა ისეც, რომ ზოგჯერ მათი მხრიდანაც იკვეთებოდა რადიკალური პოზიცია. ვაშოშმინებდით, ვუხსნიდით, როგორ იყო სინამდვილეში. ვარწმუნებდით, რომ აფხაზეთში უამრავი ადამიანია, ვისაც ომი არ უნდოდა. ასეც არის, იქ გვეგულებოდნენ ახლობლები, მეზობლები, მეგობრები, ნათლული თუ ნათლია აფხაზები და ვერ გავწირავდით! შეიძლება, პირდაპირ არა, მაგრამ ეს პრობლემა თითქმის ყველა სპექტაკლში ჩანს. ალბათ, ამას მაყურებელიც ამჩნევს.

## როცა საკუთარ სათქმელში მართალი ხარ...

იმის აღიარება, რომ მსახიობისთვის თეატრი მთელი ცხოვრებაა, ვიღაცას პათეტიკად მოეჩვენება. თუმცა საზღვარი "მე"-სა და თეატრს შორის ლილი ხურითისთვის მართლაც არ არსებობს. საკუთარ თავზე საუბრისას, ვფიქრობ, ვერც კი ამჩნევს, როგორ თანდათან გადადის "სხვა სამყაროში", სადაც ტკივილის გარეშე საუბარი უჭირს... ისევ სოხუმის თეატრი! აქ სათქმელიც მეტია, მისი პიროვნება კი კვლავ შეუვალი ხდება. ცხოვრება თეატრში, ალბათ, ასე ჰქვია მსახიობის მიერ განვლილ თუ გასავლელ გზას.

**ლილი ხურითი:** ცხოვრება თეატრსა და მის გარეთ ერთმანეთს საოცრად დაემსგავსა. ადრე უფრო ვცდილობდი მეთამაშა ის პერსონაჟი, ვისაც ვასახიერებდი. ახლა ჩემი პერსონაჟი პოზიციის დაფიქსირებაში, საკუთარი თავის ძიებასა და შეცნობაში მეხმარება. ხანდახან, ხდება რაღაც მოვლენა და გინდა მიაგნო შენს დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი. ამ ყველაფერს ყოფით ცხოვრებაში გამოხატავ, მაგრამ იმის ძიება, რეალიზება, ვიღაცისთვის გაზიარება და გადამოწმება, რამდენად სწორად აღიქვამ სამყაროს, მთელი ცხოვრებაა. ზოგჯერ "ეს" და "ის" ისე დაუახლოვდება ერთმანეთს, რომ უკვე ვერც ასხვავებ, სად არის ნამდვილი ცხოვრება, სად ემიჯნება ერთმანეთს "აქ" და "იქ"... ზოგისთვის წარმატება პოპულარობასთან ასოცირდება, ჩემთვის ეს სხვა რამეა. თუმცა საუბრის სხვა თემაა და ამაზე, ალბათ, სხვა დროს ვისაუბრებთ. ერთი რამ კი ცხადია, წარმატებას არ უნდა გამოეკიდო, თორემ დააფრთხობ. ნელი ნაბიჯებით უნდა მიჰყვე და მაშინ ის თვითონ მოვა შენთან. საკუთარ სათქმელში ძალიან მართალი უნდა იყო და გულწრფელად მოგისმინენ. კარგი მომსმენი ყველას სჭირდება. დეფიციტი კი ამ მხრივ ნამდვილად არსებობს. იშვიათად, რომ ვინმემ დრო დაგითმოს შენი პრობლემის მოსასმენად, რა ფორმითაც არ უნდა გამოხატო ის... ამ ეტაპზე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა თეატრია, რომელსაც დღემდე ერთგულად ვემსახურები. ყველაზე მეტადაც მისი კატასტროფული მდგომარეობა მაშფოთებს. უკვე ამ სიტყვის თქმაც მეხამუშება, რადგან ამ "კატასტროფას" შევეჩვიეთ და გულს ამით ვერავის ავუჩუყებთ. თეატრს მოევლება, ჯერ სხვა პრობლემებია მოსაგვარებელი, - სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულებაა ჩვენი თეატრისადმი. შეიძლება იმიტომ, რომ ვინც პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა იმისთვის, კარგად რომ გაერკვეს, საიდან დაიწყოს... თუ სულ ერთი ჰგონიათ როგორი თეატრიც ექნებათ, მაშინ სწორად იქცევიან!..

ძნელია, ძალიან ძნელი, რომ "სხვები" დავაჯერო ჩვენი თეატრის უნიკალურობაში. თავი მოგვაქვს იმით, რომ მუხა დგას ჩვენთან ორასი წლის, თეატრი კი ას ოცი წლისაა! ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. წარსულს თუ დავკარგავთ, რასაც დღეს ვაკეთებთ ან ხვალ გავაკეთებთ, ფსევდოხელოვნება, ფსევდოთეატრი გამოგვივა. რაღაცით ხომ უნდა მოგვწონდეს თავი?! ჩემთვის ეს ას ოცი წლის სოხუმის თეატრია. ამ პოზიციას ყოველთვის დავიცავ!..

**P.S. უკომენტაროდ:** "... და კიდევ, ჩემი კარის გასაღები ის ერთადერთი განძია თბილისში, რომელიც "ღირებული" მხოლოდ ჩემი ოჯახისთვისაა. იცით რატომ? სოხუმიდან მხოლოდ ის შემრჩა... როცა კარები გამოვიხურე და საგულდაგულოდ ჩევკეტე, გასაღები თან გამოვიყოლე. ახლა თეონა თამაშობს ამ გასაღებით, მაგრამ ყოველთვის უკან აბრუნებს, არ კარგავს! ვიყო ჯიუტი ოპტიმისტიც, დღესაც ასე მგონია, ჩავალ და ჩაკეტილ სამყაროს ამ "ბურატინოს გასაღებით" გავხსნი"...